პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

წელიწადი მეშვიდე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერთ ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 25 აგვისტო 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 192 (1937)

## დ ღ ი უ რ ი

- გაიხსნა პანაფრიკული კონგრესი.
- საფრანგეთის წარმომადგენლად ერთა ლიგაში დე-ჟუვენელის მაგივრად ასახელებენ გიუბერს
- უნგრეთში გაუქმდა მოკავშირეთა სამხედრო კონტროლი.
- ალბა-იულიაში (რუმინეთი) აფეთქდა სამხედრო საწყობი.
- სან-ფრანცისკო-გონოლულუს გადაფრენაში მონაწილე დაკარგული ჰაეროპლანები აქამდი ვერ აღმოაჩინეს.
- მიწისძვრა ნამანგანში გრძელდება.
- ბაქოში დაიწყო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის შენობა.

„კომუნისტი“
მიიღება ხელის მოწერა
სექტემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

# ოპოზიცია და პარტიული დისციპლინა

„ყრილობა მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ დაშლილ იქნეს გამოუკლებლივ ყველა **ჯგუფები**, რომლებიც შეიქმნენ ამა თუ იმ პლატფორმის ნიადაგზე და ავალებს ყველა ორგანიზაციებს სასტიკად ადევნონ თვალ-ყური იმას, რომ ადგილი არ ექნეს რაიმე ფრაქციულ გამოსვლებს. ამ დადგენილების შეუსრულებლობას შედეგად უნდა მოჰყვეს დამნაშავეთა დაუყოვნებლივ გარიცხვა პარტიიდან ყოველ მიზეზს გარეშე“.

(პარტიის მეათე ყრილობის რეზოლიუციიდან, რომელიც შემუშავებული იყო ლენინის მონაწილეობით).

ჩვენი პარტია იყო და უნდა იყოს მომავალშიც ურყევი და უძლევი თავისი დისციპლინითაც. ვერც ერთი კოლექტივი, ვერც ერთი პარტია ვერ მისცემს დაუსჯელათ თავს ნებას—არ გაუწიოს ანგარიში ამ დიდ ფაქტორს ყოველი ორგანიზაციის ცხოვრებაში. სალი აზროვნებიდან მარცხნივ და უკიდურესად მარცხნივ „დაქანებული“ ანარქიზმის სხვადასხვა მიმდინარეობანი, რომლებმაც თავიანთი სპეციფიური გინების მდიდარი ლექსიკონიც კი ამოსწურეს ძველი სოციალ-დემოკრატიისა და შემდეგ კომუნისტების ლანძღვაში იმის გამო, რომ ისინი შემბორკავი დისციპლინით ადუნებენ „თავისუფალი პიროვნების შესაძლებლობათა ლაღ გაქანებას“-ო (ასეთი იყო ხოლმე მათი გაცვეთილი „სიტყვიერების“ „თაიგული“) და ქებითა და დიდებით იხსენიებდნენ თავიანთ „თავისუფალთა კრებულებს“—თვით ისინიც ფაქტიურად, მუშაობისა და „ბრძოლის“ დროს ატარებდენ უსასტიკეს დისციპლინას და ყოველ შემთხვევაში იმდენად „მოჰკუიანდენ“, რომ ნაკლები გატაცებით ლაყბობენ ახლა ამ მათ მიერ ოდესღაც ყბადაღებული დისციპლინის წინააღმდეგ. ამგვარადვეა საქმე ასეთი თუ ისეთი მეტ-ნაკლებობით ყველა ბურჟუაზიულ ორგანიზაციებშიც და ცხადი უნდა იყოს ყველა ჩვენი ამხანაგებისათვის, თუ რას ნიშნავს მით უმეტეს კომუნისტური პარტიისათვის მისი რიგების სიმტკიცე, შეთანხმებული მუშაობა და ბრძოლა, რას ნიშნავს მისი დისციპლინა. ჩვენი პარტიის მუშაობა—ეს ხომ არ არის ჩვეულებრივი და „ნორმალური“ მუშაობა. ის არის ბრძოლა, არის ომი. ომი საუკუნეთა მსვლელობაში გამაგრებულ წესების ძირ-ფესვიანათ ამოსაგდებათ, ამ წესების დამცველთა გასანადგურებლად შიგნით და მათ დამხმარეთა დასაძლევად გარედ. ეს უკანასკნელი გარემოება, ე. ი. მტრული გარემოცვა საზოგადოთ და, მით უმეტეს, არსებულ გართულებათა პირობებში, კიდევ უფრო კატეგორიულად და ბრძანების კილოთი გვიკარნახებს ჩვენი რიგების სიმტკიცეს, მთლიანობასა და დისციპლინას. ეს აშკარაა, ეს უდაოა. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია პარტიის წევრი, რომელსაც ეს არ ჰქონდეს შეგნებული, რომელიც არ იყოს ჩამწვდარი დისციპლინის ღრმა აზრში ჩვენი პარტიისათვის.

ესმის თუ არა ასევე ეს საკითხი ოპოზიციას და მის ბელადებს? ისინი გვარწმუნებენ—და ჩვენც უნდა ვიფიქროთ—რომ ესმით. მათ შეგნებული აქვთ, რას ნიშნავს პარტიის მთლიანობისა და დისციპლინისათვის ჯგუფების და ფრაქციების არსებობა ჩვენს პარტიაში. ზოგ მათგანს, პარტიისა და რევოლიუციის კრიტიკულ მომენტში, დაურღვევია მოქმედების მთლიანობა. მაგრამ გასულა დრო, შეცდომა მათ უცვნიათ და დისციპლინა აღუდგენიათ. ათეულ წლობით მათ უმუშავიათ ლენინის პარტიაში. ბელადის ხელმძღვანელობით და, რასაკვირველია, იციან რით იყო სხვათა შორის ძლიერი და უძლევი ბოლშევიზმი. თავის ცნობილ დეკლარაციაში (16 ოქტ. 1926 წ.), რომელიც ჯამს უკეთებდა მის სასტიკ დამარცხებას, „ახალი“ ოპოზიცია აცხადებდა შემდეგს: „ჩვენ კატეგორიულად უარვჰყოფთ ფრაქციებისა და დაჯგუფებათა თავისუფლების თეორიასა და პრაქტიკას და **ვაღიარებთ**, რომ ასეთი თეორია და პრაქტიკა **ეწინააღმდეგება ლენინიზმის საფუძვლებისა და პარტიის გადაწყვეტილებებს.** ჩვენ მოვალენი ვართ ვრაცხთ **საქმით** გავატაროთ პარტიის გადაწყვეტილება **ფრაქციულობის დაუშვებლობის შესახებ**“.

გვგონია, და ყველა წევრი პარტიისა დაგვეთანხმება, რომ ეს **დაწერილია** საკმაო ნათლად და უორაზროვნოდ.

რას ნიშნავს ფრაქციულობა? ფრაქციულობა ნიშნავს წინააღმდეგ პარტიის მთლიანობისა და მისი რიგების დისციპლინისა, ჯგუფების შექმნას პარტიის შიგნით **საკუთარი ჯგუფური პლატფორმით, ერთნაირი ჯგუფური კარჩაკეტილობით, ჯგუფური დისციპლინით.** აქ ჯგუფი, ნაწილი (ფრაქცია) უპირდაპირდება პარტიას, მთელს, ჯგუფური პლატფორმა—პარტიის ხაზს, ჯგუფური დისციპლინა—პარტიულ დისციპლინას. იყო თუ არა (ქვევით ვიტყვით არის თუ არა **ეხლაც**) დამნაშავე ტროცკი-ზინოვიევის ოპოზიცია ამ მის მიერვე „ლენინიზმის საფუძვლებისა და პარტიის გადაწყვეტილებებისათვის“ საწინააღმდეგო ფრაქციულობაში? იყო თუ არა ოპოზიცია დამნაშავე პარტდისციპლინის დარღვევაში? იყო. ეს იცოდა და იცის მთელმა პარტიამ. იძულებული შეიქნა ოპოზიციაც იგივე ეცნო და აშკარად აღეარებია ეს ხსენებულ დეკლარაციაში 16 ოქტომბერს 1926 წ. იქ ნათქვამი იყო შემდეგი: „ჩვენ მოვალეთ ვრაცხთ თავს **აშკარად ვაღიაროთ** პარტიის წინაშე, რომ ჩვენი შეხედულებებისათვის ბრძოლაში ჩვენ და ჩვენი თანამოაზრენი, მთელ რიგ შემთხვევებში მეთორმეტე პარტყრილობის შემდეგ, დავუშვით ისეთი ნაბიჯები, რომლებიც ნიშნავდნენ **პარტიული დისციპლინის დარღვევას** და გამოდიოდენ პარტიის მიერ პარტიაში დაწესებული იდეური ბრძოლის ფარგლებიდან ფრაქციულობის გზაზე. ვსცნობთ რა ამ ნაბიჯებს **უეჭველად შემცდარად**, ჩვენ ვაცხადებთ, რომ გადაჭრით ვამბობთ უარს ჩვენი შეხედულებათა დაცვის ფრაქციულ მეთოდებზე, ვინაიდან ეს მეთოდები **წარმოადგენენ საფრთხეს პარტიის მთლიანობისათვის** და ამისკენვე მოუწოდებთ ყველა ამხანაგებს, რომლებიც იზიარებენ ჩვენ შეხედულებებს. ჩვენ მოუწოდებთ ყველა იმ ფრაქციულ დაჯგუფებათა **დაუყოვნებლივ დაშლისაკენ**, რომლებიც წარმოიშვენ „ოპოზიციის“ შეხედულებათა გარშემო“.

როგორც მკითხველი ხედავს, არა თუ დადასტურებულია **ფაქტი** ფრაქციულობისა, რომლის გზაზე შესდგა ოპოზიცია, არამედ აღიარებულია მისი მავნებლობა პარტიის მთლიანობისათვის. გარდა ამისა, რაც უმთავრესია, დეკლარაცია შეიცავს მოწოდებას ფრაქციების დაუყოვნებლივ დაშლის სასარგებლოდ.

ასეთი იყო ოპოზიციის **სიტყვა**, თქმული ამ ათი თვის წინედ.

ვიკითხოთ ახლა, როგორილა იყო **საქმე** ოპოზიციის ამავე დროის განმავლობაში? ეს „საქმე“ წარმოადგენდა უხეშ დარღვევას ყოველივე იმისას, რის დაპირებას იძლეოდა ოპოზიცია ოქტომბრის დეკლარაციაში: იგივე ფრაქციულობა, იგივე დაჯგუფებანი, ჯგუფების ახალი „დაბარტყებანი“, ახალი პლატფორმები, თითქმის ყველა საკითხში საკუთარი ხაზი. „არალეგალური ლიტერატურის“ „ექსპედიციები“, ჯგუფებს შორის იგივე კავშირი, იგივე ჯგუფური დისციპლინა და მუშაობა, სულ უფრო და უფრო გაფართოებული, თუმცა საკმაოდ შეთხელებული რიგების ფარგლებში. პარტია დადგა, ოპოზიციის ამ ათი თვის „მუშაობის“ შედეგად, პარტიის მთლიანობის და დისციპლინის, ე. ი. მთელი პარტიის ტრადიციის ტლანქი დარღვევისა და პარტიის და მისი ხელმძღვანელი ორგანოების წინააღმდეგ გაუგონარ ბრალდებათა წამოყენების ფაქტის წინაშე. ამ გარემოებამ ოპოზიციის ბელადები მიიყვანა საკონტროლო კომისიაში, რომელმაც დაადგინა ამხ. ტროცკის და ზინოვიევის გამორიცხვა პარტიის ცეკადან. შინაპარტიული მდგომარეობის ასეთ პირობებში შეიკრიბა ცეკას პლენუმი.

ამხანაგებმა უკვე იციან ამ პლენუმის შედეგები: ოპოზიციის ბელადების (რიცხვით ცამეტის) დეკლარაცია და პლენუმის გადაწყვეტილება.

მიუხედავათ იმისა, რომ ოპოზიციის მუშაობამ დიდი ზიანი მიაყენა პარტიის მთლიანობას და საშუალება მისცა „მესამე ძალას“ თავისი გესლიანი სისინი დაეწყო შიგნი საბჭოთა კავშირში და მის გარედ, მიუხედავათ იმისა, რომ ის თანდათან ხდება იმ ცენტრად, რომლის ირგვლივ შემოკრებას უკვე ბედავენ ყველა ანტისაბჭოთა ძალები, მიუხედავად ან (უფრო უკეთესი იქნება ვსთქვათ) სწორედ იმიტომ, რომ ოპოზიციის მუშაობა შევიდა იმ ფაზაში, საიდანაც იწყება ორი პარტიის პრაქტიკა, პარტიისა და კომინტერნის გათიშვის პრაქტიკა, მიუხედავათ დაბოლოს პარტიული მასის სამართლიანი აღშფოთებისა ყოველივე ამით,—პლენუმმა უდიდესი პასუხისმგებლობის შეგნებით პარტიის მთლიანობისათვის და სრული ანგარიშის გაწევით მიმდინარე მომენტისათვის, გადადგა ბრძნული ნაბიჯი და დღის წესრიგიდან მოხსნა ცენტრალური საკონტროლო კომისიის წინადადება ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვის შესახებ ცენტრალური კომიტეტიდან და დაკმაყოფილდა მხოლოდ სასტიკი საყვედურებით და უკანასკნელი გაფრთხილებით. პარტიამ ამით ოპოზიციონერებს საშუალება მისცა მათთვის საბედისწერო და პარტიის მთლიანობის დამრღვევი მდგომარეობიდან უკან დახევისა.

პლენუმმა გააკეთა იმის მაქსიმუმი, რაც მისი შესაძლებლობის ფარგლებში იყო. მაგრამ ოპოზიციის 8 აგვისტოს დეკლარაცია არ არის საკმაო. ბევრად უკეთესი მისი პირველი დეკლარაცია დარჩა ქაღალდზე. ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, რომ მისი ბედი უნდა ეწვიოს ოპოზიციის უკანასკნელ განცხადებას, მაგრამ მისი არა კატეგორიული ხასიათი იწვევს პარტიის წევრებში იჭვებს, რომლებიც უნდა გააქარწყლოს ოპოზიციამ თავისი მომავალი ყოფაქცევით. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტია, დაყრდნობილი მეათე ყრილობის გადაწყვეტილებაზე, რომელიც წარმოადგენს იმავე დროს ბელადის ანდერძს, გააკეთებს შექმნილი მდგომარეობიდან შესაფერის დასკვნებს და უზრუნველჰყოფს პარტიის რიგების სიმტკიცეს რევოლიუციისა და პარტიისადმი მოღალატური და იმავე დროს ოპოზიციისათვის საბედისწერო ნაბიჯებიდან.

ლენინელების მილიონიანი არმია შესძლებს ამას.

პროლეტარული დიქტატურის და პარტიის ინტერესები დაბოლოს ინტერესები თვით ოპოზიციის მოითხოვს, რომ მან შეიგნოს შექმნილი მდგომარეობა.

# საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯის შემდეგ

გერმანიის და ავსტრიის მთელი პრესა აღშფოთებულია საკოს და ვანცეტის დასჯით. — საპროტესტო დემონსტრაციები გერმანიაში. — ჟენევაში გაიმართა ანტიამერიკანული დემონსტრაცია, რომლის დროს პოლიციამ სროლა აუტეხა დემონსტრანტებს. — მოკლულია 1 მუშა, დაჭრილია 25 დემონსტრანტი. — საპროტესტო მანიფესტაციები საფრანგეთში. — ჟუმბარების აფეთქება პოლიციის შენობაში და ციხეებში. — საკოს და ვანცეტის გვამები ჯერ კიდევ მასაჩუზეტსის შტატის ხელისუფლების განკარგულებაშია.

## უხანის ჯარებში აჯანყება დაიწყო

## ჩან-კაი-ში სცდილობს ბლოკის შექმნას ფინ-იუ-სიანის წინააღმდეგ

### საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის შემდეგ

**ბერლინი**, 23 აგვისტო. გერმანიის მთელი პრესა აღშფოთებულია საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯით.

**დემოკრატიული პარტიის პრესა განაჩენის სისრულეში მოყვანას კლასობრივი იუსტიციის სამარცხვინო აქტად სთვლის.** (ადს).

**ბერლინი**, 23 აგვისტო. ლეიპციგში მოეწყო საპროტესტო დემონსტრაცია საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. დემონსტრაცია მოაწყო კომპარტიამ. **დემონსტრანტებსა და პოლიციელებს შორის მოხდა სერიოზული შეტაკება, რომლის დროს პოლიციელს სცემეს დემონსტრანტებმა. საპოლიციო უბანს დემონსტრანტები თავს დაესხენ ქვეითა და რკინის ჯოხებით.** პოლიციამ სროლით უპასუხა, რის გამო ერთი დემონსტრანტი დაჭრილია და ერთი მოკლული.

**ბერლინი**, 23 აგვისტო. ჟენევაში ანტიამერიკული გამოსვლების გამო იუწყებიან, რომ დემონსტრანტები ცდილობდენ აგრეთვე ერთა ლიგის სასახლეში შესვლას. მრავალ რესტორანებს, მოგზაურობათა ბიუროებს, მაღაზიებს, ოტელებს და კინოებს, რომლებშიაც დადიოდენ ამერიკელები, თავს დაესხენ დემონსტრანტები. **პოლიციამ ერთ პუნქტზე სროლა დაუწყო დემონსტრანტებს, რის გამო მოკლულ იქნა ერთი მუშა და დაჭრილ იქნა 25 დემონსტრანტი.** (ადს).

**ნიუ-იორკი**, 23 აგვისტო. საკოსა და ვანცეტის დამცველი კომიტეტი იუწყება, რომ **დასჯილთა გვამები რამდენიმე ხანს მოთავსებული იქნება ბოსტონში დამცველთა კომიტეტის შენობაში**, შემდეგ კი გადაიტანენ ზოგიერთ სხვა ქალაქებში. **ჯერ-ჯერობით გვამები მასაჩუზეტის შტატის ხელისუფლების განკარგულებაშია.** (ადს).

**ვენა**, 23 აგვისტო. ავსტრიის მთელი პრესა სასტიკად გმობს საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯას.

სოციალისტური „აბენდი“ აცხადებს, რომ **ვერაგულ ძალმომრეობის მსხვერპლნი უბრალოდ არ იკარგებიან. საკო და ვანცეტიც უბრალოდ არ დაკარგულან. ისინი შეუერთდებიან იმ სისხლიან მსხვერპლთ, რომლებიც პროლეტარიატმა გაიღო თავის ბრძოლებში. მათი სახელები დროშათ გადაიქცევა; დადგება დღე, როდესაც დღევანდელ მოძალადეებს მათ მიერვე აღმართულ ელექტრონის სკამთან მიიყვანენ.**

**თავდასხმები პოლიციაზე**

**პარიზი**, 23 აგვისტო. 22 აგვისტოს მონპელიეში შესდგა კომუნისტური მანიფესტაციები და საპროტესტო მიტინგები საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. **ღამით პოლიციის და ციხის შენობაში აფეთქდა ჟუმბარა. დაიჭრა პოლიციის ერთი აგენტი.** აფეთქებამ ნივთიერი ზარალი გამოიწვია.

**სენ-ლაზარში** (უბანი პარიზის მახლობლად) **მუშების ჯგუფი თავს დაესხა პოლიციის შენობას და დაანგრია იგი.** დაპატიმრებულია ოთხი კაცი.

**საპროტესტო გაფიცვა**

**პარიზი**, 23 აგვისტო. სერენგში (ბელგია) **მემაღაროებმა გამოაცხადეს საპროტესტო გაფიცვა საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.**

შინაგან საქმეთა მინისტრმა აკრძალა ყოველგვარი მანიფესტაციები საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით. პოლიციას ნაბრძანები აქვს გაფანტოს დემონსტრანტები როგორც ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების საელჩოს წინ, ისე დიდ ბულვარებზე. (ადს).

**შეტაკება სტოკჰოლმში**

**სტოკჰოლმი**, 23 აგვისტო. საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინა დღის ქალაქში და პროვინციაში შესდგა მასიური მიტინგები. ამერიკის საელჩოს წინ სტოკჰოლმში მოხდა შეტაკება პოლიციასთან. (ადს).

**„დადგება ჟამი“**

**მოსკოვი**, 24 აგვისტო. მინსკიდან, ხარკოვიდან, დნეპროპეტროვსკიდან; კიევიდან; ზაპოროჟიედან და სხვა მრავალ ქალაქებიდან მიღებულია დეპეშები, რომლებშიაც აღნიშნულია, რომ მასიური მიტინგები და საპროტესტო დემონსტრაციები ხდება საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

მიღებულ რეზოლიუციებში სხვათა შორის აცხადებენ:

„საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯა კიდევ უფრო გაამწვავებს მსოფლიო პროლეტარიატის მძულვარებას ბურჟუაზიისადმი. დადგება ჟამი, როცა ამერიკის მუშათა კლასი კისერს მოუგრეხს ჯალათებს“ (ადს).

### მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ჩ ი ნ ე თ შ ი

**აჯანყება უხანის ჯარებში**

**შანხაი**, 23 აგვისტო. ინგლისური პრესა და აგრეთვე გომინდანის ორგანო „პიპლს ტრიბიუნი“ იუწყებიან მთელ რიგ აჯანყებების შესახებ უხანის ჯარებში. მაგრამ აჯანყებების ხასიათი გაზეთების ცნობებიდან არ სჩანს.

**წითელი რაზმელები ფინ-იუ-სიანის წინააღმდეგ**

**შანხაი**, 23 აგვისტო. იუწყებიან, რომ წითელი რაზმები სხვადასხვა ადგილებში გამოდიან ფინ-იუ-სიანის წინააღმდეგ. მიმოსვლა პეკინ-ხანკოუს რკინის გზაზე შეწყვეტილა.

**ხმების უარყოფა**

**შანხაი**, 23 აგვისტო. ფინ-იუ-სიანის წარმომადგენელმა ხანკოუში იუ-იუჟენმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ხმები ფინ-იუ-სიანისა და ენ-სი-შანს შორის შეთანხმების შესახებ უსაფუძვლოა.

**კალგანი ალყა შემორტყმულია**

**შანხაი**, 23 აგვისტო. ჩინ-ჯოუდან მიღებული ცნობების თანახმად, **სუი-იუიანის ჯარებმა** (შიდა მონღოლეთი, შანსიდან ჩრდილოეთით) **ენ-სი-შანის ხელქვეითის შან-ჩენის სარდლობით, სამი მხრიდან ალყა შემოარტყეს კალგანს** (175 კილომეტრის დაშორებით პეკინიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით).

ჩან-ძო-ლინმა ენ-სი-შანთან გაგზავნა თავისი წარმომადგენელი მოსალაპარაკებლად—შესწყვიტოს გალაშქრება კალგანზე. **მატარებლების მიმოსვლა პეკინსა და სუიუანის შორის შეწყვეტილია. რკინისგზით მიღებულ ბარგებს აკავებს შან-ჩენი.** (ადს).

**ბლოკი ფინ-იუ-სიანის წინააღმდეგ**

**შანხაი**, 23 აგვისტო. მიუხედავად ჩან-კაი-შის გადადგომისა, დადის ხმები, რომ ის **მოლაპარაკებას აწარმოებს ჩან-ძო-ლინთან ფინ-იუ-სიანის წინააღმდეგ ბლოკის შესაქმნელად.** ამ ბლოკში თითქო, მონაწილეობას მიიღებენ ნანკინის, მუკდენისა და შანხაის არმიები.

**შანხაი**, 23 აგვისტო. „ნორდ ჩაინა დეილი ნიუზ“ იუწყება, რომ ტან-შენ-ჩიმ პეკინში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ჩან-ძო-ლინთან მოსალაპარაკებლად ფინ-იუ-სიანის იზოლიაციის შესახებ (ადს).

**რიკშების და შავი მუშების დაპატიმრება**

**შანხაი**, 23 აგვისტო. კანტონის პოლიცია აწარმოებს რიკშების და შავი მუშების მასიურ ჩხრეკას და დაპატიმრებას. დაპატიმრება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პოლიციას მიღებული აქვს ცნობები თითქოს ამ მუშებს შორის იმალებოდენ არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი კანტონის რევოლიუციონერები (ადს).

**სემიონოვი—„მთავარსარდალი“**

**პეკინი**, 23 აგვისტო. „ნიპონ დემპოს“ სააგენტოს ცნობით, ატამან სემიონოვის ჩასვლა პეკინში მიზნად ისახავდა მიეღო პეკინის ხელისუფლებისაგან დახმარება იმ აჯანყებაში, რომლის მოწყობას აპირობს სემიონოვი საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. სემიონოვმა განაცხადა, რომ მან ინგლისელებთან პეკინში დასდო შეთანხმება, რომლის ძალითაც ის ჰონკონგში მიიღებს იმ 100 მილიონ იენს, რომელიც სემიონოვმა ვლადივოსტოკიდან ევაკუაციის შემდეგ შეიტანა შანხაის ბანკში. პირველ ხანებში ბანკი არ აძლევდა ამ ფულს სემიონოვს, როგორც კერძო პირს. ეხლა კი სემიონოვი შეუდგა შორეულ აღმოსავლეთში მყოფ „რუს თეთრგვარდიელების მთავარსარდლის“ თანამდებობის შესრულებას. სემიონოვმა დაითანხმა ბანკი მიეცა მისთვის ფული, როგორც „მთავარსარდლისათვის“ (ადს).

**შინამრეწველები გაფიცვით იმუქრებიან**

**შანხაი**, 23 აგვისტო. 50.000 ჩინელმა შინამრეწველმა, რომლებიც სარწმუნოებრივი კულტის საგნებს ამზადებენ, კანტონის ხელისუფლებას წარუდგინეს პეტიცია ახალი გადასახადების წინააღმდეგ და იმუქრებიან გაფიცვით. (ადს).

**მთავრობის მოხელეების დაცვა**

**შანხაი**, 23 აგვისტო. ტან-შენ-ჩიმ გასცა ბრძანება მთავრობის მოხელეების ბინების დაცვის გაძლიერების შესახებ ცზიუცზიანში (ადს).

**დუქნები იხურება**

**შანხაი**, 23 აგვისტო. პროდუქტების სიმცირისა და აგრეთვე იმის გამო, რომ ვაჭრებს არ სურთ ქაღალდის ფულის მიღება, ჩინური დუქნების მეტი წილი ხანკოუში დაიხურა, მიუხედავად მთავრობის აკრძალვისა და ჯარიმებისა. მთავრობის ბევრი დუქანი ბრბომ გაძარცვა.

**ფეიქართა გაფიცვა**

**შანხაი**, 23 აგვისტო. რამდენიმე საფეიქრო წარმოებაში გაიფიცენ მუშები. გაფიცულია—1.2000 მუშა. (ადს).

## ერთა ლიგის სესიის წინ

### დე-ჟუვენელის მოადგილე

**პარიზი**, 23 აგვისტო. „ექსცელსიორი“ აქვეყნებს ოფიციალური ხასიათის შენიშვნას, რომელშიაც აღნიშნავს, რომ წინააღმდეგ ინგლისური და ბელგიური წყაროებიდან მიღებული ცნობებისა, უთანხმოება პარიზსა და ლონდონს შორის რეინის ოლქში საოკუპაციო ჯარების შემცირების საკითხში, განისაზღვრება უმთავრესად ტეხნიკური დეტალებით.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, საფრანგეთი დაინტერესებულია, რომ ინგლისმა არ განიზრახოს ევაკუაციის მოხდენა დამოუკიდებლად და შეუთანხმებლად. შენიშვნაში დაბოლოს გამოთქმულია იმედი, რომ შეთანხმება მოხდება ერთა ლიგის საბჭოს სესიის დაწყებამდე.

„მატენი“ სწერს, რომ დე-ჟუვენელის მოადგილედ და საფრანგეთის წარმომადგენლად ერთა ლიგაში, შეიძლება დანიშნულ იქნას გიუბერი—სენატის გარეშე საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

## ერთა ლიგა და ჩინეთი

**პეკინი**, 23 აგვისტო. პეკინის მთავრობამ დაადგინა თავის წარმომადგენლათ ერთა ლიგაში დანიშნოს ვან-ჩინ-ჩი, რომელიც ამჟამად ჩინეთის ელჩათაა ბრიუსელში.

გოვენის სააგენტოს ცნობით საეჭვოა, რომ ერთა ლიგა დათანხმდეს ვან-ჩინ-ჩის დანიშვნაზე, ვინაიდან ჩინეთი ვერ შეიტანს ლიგაში თავის საწევრო გადასახადს.

**პეკინის დიპლომატიური წრეები აღელვებული არიან ცნობებით, რომ ჟენევაში მიემგზავრება უხანის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრი ევგენი ჩენი, რომელიც მიზნად ისახავს მოუსპოს ჩრდილოელ დელეგატებს საშუალება გამოვიდენ ლიგაში მთელი ჩინეთის სახელით (ადს).**

## ბურჟუაზიის ტერორს პროლეტარიატი უპასუხებს რევოლიუციონური ბრძოლით ხელისუფლებისათვის

ისინი მოჰკლეს—ორი მუშა. ესენი არიან არა „შეთქმულების“ რომელიმე გამოჩენილი ბელადები, ან ხელმძღვანელები, ესენი არიან უბრალო მუშები, რომელნიც მოჰკლეს იმისათვის, რომ ქვეყანაში, სადაც მეფობს დოლარი, მათ გაბედეს გამოსვლა ყველაფრის შთანმთქმელ მოლოხის—კაპიტალის წინააღმდეგ და დაიწყეს ბრძოლა მასთან, როგორც შეეძლოთ. ისინი აიძულეს გაეარათ სასამართლოს საზიზღარი კომედია, სადაც მოსამართლეებად იყვენ გამხეცებული ბურჟუები და ჭკუათხელი დეგენერატები, „მაიმუნის პროცესის“ „გმირთა“ ღირსეული თანამებრძოლნი, რომელთაც არ შეუძლიათ მოითმინონ არც ერთი ნაბიჯი, არც ერთი იდეა, რომელიც მიმართული იქნება „ოქროს კერპის“ ინტერესების წინააღმდეგ. სადისტური გრძნობით, რომელიც შეადგენს მხოლოდ გადაგვარებული კლასის თვისებას, მათ მთელი 7 წლის განმავლობაში სტანჯეს საკო და ვანცეტი ელექტრონის სკამზე წამების მოლოდინში. ასეთია იგი „მოწინავე“ დემოკრატიის ქვეყანა. ასეთია ბურჟუაზიული იუსტიციის ბუნება.

კაპიტალისტური „ცივილიზაცია“ ზეიმობს, ვინაიდან ყოველივე გაკეთდა მათი ნაცადი წესების მიხედვით, რომელიც მოკვლის ელექტრონის ტეხნიკასაც კი ითვალისწინებს.

საკო და ვანცეტი იყვენ ანარქისტული მსოფლმხედველობის მომხრენი, მაშასადამე ხელისუფლების პრინციპიალური მტრები. მაგრამ არაფერი ისე ნათლად არ უარყოფს მათ თეორიას, როგორც მათი საკუთარი ბედი, ისინი სათამაშო საგანი გახდენ საძაგელი კაპიტალისტური არამზადების ხელში, რომელთაც ამერიკაში ძალაუფლება აქვთ ჩაგდებული და არავის არასოდეს არ გადასცემენ ნებაყოფლობით. პროლეტარიატი მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებს მათზე, როცა ძალაუფლებას გამოგლეჯს ხელიდან, როცა იგი დაიპყრობს პოლიტიკურ ხელისუფლებას და პროლეტარიატის დიქტატურის მეთოდებით დაუნდობლად გაანადგურებს კაპიტალისტური მსოფლიოს დღევანდელ მპყრობელთ.

ნამდვილი რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც ნამდვილად უმზადებს საფრთხეს კაპიტალიზმს, მდგომარეობს არა ხელისუფლების ანარქისტულ „უარყოფაში“, არა ინდივიდუალურ ტერორში და არა პასიურ „უარში საქმე იქონიოს სახელმწიფოსთან“, არამედ პროლეტარიატის დაუღალავ ბრძოლაში ხელისუფლებისათვის.

პროლეტარიატის ეს რევოლიუციონური ბრძოლა კაპიტალისტური მსოფლიოს შიგნით, ეხლა სწარმოებს უმძიმეს პირობებში—კაპიტალის მუშათა კლასზე შეტევის, კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაციის პირობებში.

ვერ შეიგნებს საკოსა და ვანცეტის საქმის პოლიტიკურ მნიშვნელობას, ამ საქმის ირგვლივ მუშათა ბრძოლის პოლიტიკურ აზრს ის პირი, ვინც ამ ორი ამერიკელი მუშის სიკვდილით დასჯას არ დაუკავშირებს მთელ საერთაშორისო რეაქციას, კაპიტალის აქტივიზაციის ეხლანდელ პერიოდს, მის რეაქციონურ შეტევას პროლეტარიატზე, იერიშებს მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ, მუშათა ელემენტარულ უფლებებს, რომელნიც მოპოვებულ იქნა რამოდენიმე ათეული წლის უმძიმესი ბრძოლით, ვინც არ დაუკავშირებს კაპიტალის მთელ რიგ თავდასხმებს პროლეტარულ ფორპოსტებზე, პირველ მუშურ სახელმწიფოზე, ჩინეთის რევოლიუციაზე.

სანტიმენტალური და უბადრუკი მანილოვი იქნება ის, ვინც საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯას მჭიდროდ არ დაუკავშირებს ისეთ ფაქტებს, როგორიცაა, ომის პროვოკაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (ამხ. ვოიკოვის მოკვლა, ჩან-ძო-ლინის და ჯოინსონ ხიკსის თავდასხმა), ისეთ ფაქტებს, როგორიცაა ჩინეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა დახვრეტა, ჩინეთის რეაქციის და იმპერიალისტური ინტერვენციის გმირების მიერ, ისეთ ფაქტებს, როგორიცაა ბრიტანეთის კონსერვატორების „პროფკავშირთა კანონი“, როგორიცაა ბურჟუაზიული თეთრი ტერორის თარეში.

ყოველივე ეს არის ერთი ნაკადის, ერთი ტენდენციის გამოაშკარავება, რომლის სახელია—კაპიტალის შეტევა, რომელსაც სურს შეარყიოს ფორპოსტები, გაანადგუროს პროლეტარიატისა და საერთოდ ყველა მშრომელთა ორგანიზაცია, უფლება, მოთხოვნილებანი, აღშფოთება და პროტესტები. აქედან გამოყვანილ უნდა იქნას დასკვნა; პროლეტარიატის აღშფოთება მუშა-ანარქისტების—საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის გამო გამოთქმულ უნდა იქნას არა დეკლამაციაში იმის შესახებ, რომ ამერიკის სასამართლო „არ იცავს სამართლიანობას“, იგი „არ არის მიუდგომელი“. პროლეტარიატის აღშფოთება მიმართულ უნდა იქნას ნამდვილი პროლეტარული ბრძოლის კალაპოტით—კაპიტალისტური სახელმწიფოს საფუძვლების წინააღმდეგ.

საკო და ვანცეტი არ არიან პროლეტარული საქმისათვის პირველი და უკანასკნელი წამებულნი მუშებს არ შეუძლიათ დაივიწყონ, მაგალითად ტაი-ჩიოს და მისი ამხანაგების დასჯა სიკვდილით, რომელნიც ჩან-ძო-ლინმა დაახრჩო. ისინი ვერ დაივიწყებენ მშრომელთა სისხლს, რომელიც ეხლა იქცევა ჩინეთის ბურჟუაზიის ჯალათობით, ვერ დაივიწყებენ სისხლის ნიაღვარს, რომელიც რწყავს ბულგარეთის და სხ. ქალაქებსა და სოფლებს. მომავალი ბურჟუაზიული ტერორი კიდევ უფრო მეტი მხეცობის მაგალითებს გვიჩვენებს. მზად ყოფნა ამ ტერორის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ნიშნავს საერთაშორისო პროლეტარიატის მთლიანობის შეუჩერებლად გამოჭედვას კაპიტალის შეტევის წინააღმდეგ ბრძოლის, ომის საფრთხის წინააღმდეგ, გახრწნილი ამსტერდამისა და მეორე ინტერნაციონალის ბელადების გამცემლობის წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველზე.

ბურჟუაზიის უტიფარი სიმკაცრე არ შეხვდება გადამწყვეტ წინააღმდეგობას, სანამ საერთაშორისო პროლეტარიატის ძალები დაქსაქსულია. ის არ შეხვდება მაგარ პროლეტარულ მუშტს, სანამ მუშების ხელმძღვანელებად იქნებიან ბურჟუაზიის მაკლერები და ლაქიები, რომლებსაც არ გადაუდგამთ არც ერთი რეალური ნაბიჯი მუშების—საკოს და ვანცეტის დასაცავად, მაგრამ რომლებიც საზარელი ხმით ღრიალებენ როგორც კი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა თავისი თავდაცვისათვის ლახვარი დაატეხა თეთრგვარდიელებს, მეფის ყოფილ ოფიცრებს და ინგლისის ნამდვილ ჯაშუშებს, რომლებიც ამზადებდენ აფეთქებებს და მკვლელობებს პროლეტარიატის ქვეყანაში.

შეუძლებელია პროლეტარულ ორგანიზაციების სათავეში მათი დატოვება, ვინც თავის პროფესიად გაიხადა თვალთმაქცური პროტესტები პროლეტარულ სახელმწიფოს კონტრ-რევოლიუციისაგან, თავდაცვის აქტების წინააღმდეგ და ვინც მოღალატურად იბანს ხელებს ბურჟუაზიის მიერ რევოლიუციონერების დასჯის დროს.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა, რომელმაც სისხლისმღვრელ ბრძოლით დაიცვა თავი ბურჟუაზიისა და კონტრ-რევოლიუციისაგან, თავის გამოცდილებით იცის, თუ, რა არის ბურჟუაზიის ტერორი, მაშინ, როცა ის გამხეცებულია. ამასთან ერთად საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი გრძნობს იმპერიალისტურ ომის მუქარას, რომელიც მმართველი კლასების მხრივ ახალ ძალადობას უქადის მშრომელ მასებს. აი, რატომ არის რომ ის ასე მწვავედ გრძნობს ამერიკაში მომხდარ ამ სასჯელს, როგორც კაპიტალის მიერ მთელი ქვეყნის მუშათა პროტესტების აბუჩად აგდებას.

საკოსა და ვანცეტის დასჯის შემდეგ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი და მასთან ერთად მთელი ქვეყნის პროლეტარიატი დემონსტრაციებზე, მიტინგებზე და რიმდესის ორგანიზაციებში, ისევ აღიმაღლებს თავის მძლავრ ხმას:

— ბურჟუაზიული „მართლმსაჯულების“ წინააღმდეგ, რომელიც სჯის და სდევნის პროლეტარულ მებრძოლთ.

—კაპიტალის ექსპლოატატორულ და მოძალადე ბატონობის წინააღმდეგ,—იმპერიალისტურ მოძალადეთა რევოლიუციონურად დასამხობად;

— პროლეტარიატის ხელისუფლებისათვის მთელ მსოფლიოში.

მოსკოვი, 24 აგვისტო.

## საბჭოთა პრესა

### საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულება, ინგლისი და საბჭოთა კავშირი.

როგორც ცნობილია, ვერსალის „სამშვიდობო“ ხელშეკრულების შედეგად გერმანიას აალიტეს მისი კოლონიები, დაუწრიტეს მრეწველობისათვის საჭირო ნედლი მასალის წყაროები, ჩაუკეტეს საქონლის გასაღების ბაზრები და ასე გაშიშვლებული მიატოვეს ცარიელი ხელებით, მაგრამ „ლოთიანად“ დაზურგული დიდი ფინანსიური და ნატურალური კონტრიბუციით. ბუნებრივია, ასეთ მდგომარეობაში „მოკავშირეები“ ვერ გააქვავებდენ სახელმწიფოს, რომელიც თუმცა განიარაღებულია სამხედრო თვალსაზრისით, მაგრამ უაღრესად შეიარაღებული საწარმოო საშუალებებით, ძლიერი ტეხნიკით და ინდუსტრიით. ამიტომ ისიც ეძებს გამოსავალს. გერმანიის ბურჟუაზიის თვალსაზრისით საუკეთესო იქნებოდა ამ შემთხვევაში ძველი კოლონიების დაბრუნება და ახლების დაპყრობა იმ საშუალებებით, რომლებითაც ის ოცნებობდა ერთ დროს „ევროპის ორგანიზაციაზე“, ე. ი. ცეცხლითა და მახვილით. მაგრამ ეს დღეს შეუძლებელია, თუმცა, მაგიერად „სიზმარი“ ამის შესახებ არის შესაძლებელი, რაც ასე აფიქრებს მის მოწინააღმდეგეებს. ვერც სამანდატო კომისიაზე შეუძლია გერმანიას დაამყაროს დიდი იმედები. ამნაირად, როგორც პრაქტიკული გამოსავალი დღეს-დღეობით მას დარჩენია ის, რომ ამ მიზანს, ე. ი. თავის ინდუსტრიის მომარაგებას ნედლი მასალითა და ამ ინდუსტრიის პროდუქტების გასასაღებელ ბაზრებს მიაღწიოს იმ ქვეყნებთან სავაჭრო ხელშეკრულებათა დადებით, რომლებსაც გააჩნიათ ერთიცა და მეორეც ან თვით ევროპაში ან კოლონიებში.

ამ „მშვიდობიან“ გზაზე, რომელსაც იძულებულია ჯერ-ჯერობით დაადგეს გერმანია, მისი ხელშეკრულება საფრანგეთთან, რომელიც დადებული იქნა ამას წინად, წარმოადგენს ფრიად მნიშვნელოვან ნაბიჯს, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, არა მარტო თავისთავად, არამედ **იმდენადაც, რამდენადაც** ეს ხელშეკრულება ფაქტიურად მომასწავებელია ორივე სახელმწიფოს განთავისუფლების დასაწყისისა **ინგლისის გავლენისაგან** ევროპის კონტინენტალურ საქმეებში.

მოსკოვის **„იზვესტია“**, რომელიც ვრცელ წერილში იხილავს ამ ხელშეკრულების საკითხს, მიაქცევს ყურადღებას ამ უკანასკნელ მომენტსაც და სწერს მის შესახებ შემდეგს:

„როგორც ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, „ლონდონის ნისლი“ არის იმის მიზეზი, რომ ასე გართულებულია მდგომარეობა კონტინენტზე. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს ისიც, რომ მხოლოდ კონტინენტალური სახელმწიფოების **დამოუკიდებელ** პოლიტიკას შეუძლია გაფანტოს ეს ატმოსფერა ევროპაში. საფრანგეთ-გერმანიის ხელშეკრულება აშკარად წარმოადგენს აქტს ასეთი დამოუკიდებელი პოლიტიკისას.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ახალი ხელშეკრულება საფრანგეთსა და გერმანიას შორის მოთავსებულია იმ იდეათა ფარგლებში, რომლებიც წამოყენებული იქნენ საფრანგეთში ლოკარნოს შემდეგ, და რომლებიც იქითკენ არის მიმართული, რომ დაუპირდაპიროს საფრანგეთ-გერმანიის **უშუალო** ეკონომიური დაახლოვება ლოკარნოს ხელშეკრულებას, რომელმაც ინგლისს მიანიჭა ხელმძღვანელის, სუპერ-არბიტრის როლი ევროპის საქმეებში. ეს ტენდენცია აშკარა ხდება, მიუხედავათ იმისა, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში ინგლისმა განაახლა თავისი აქტივობა საფრანგეთ-გერმანიის წინააღმდეგობათა გამოსაყენებლად თავის სასარგებლოდ“.

თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ უნდა მივესალმოთ კონტინენტალური ქვეყნების ყოველ ნაბიჯს, რომელიც მომასწავებელი იქნება მათი განთავისუფლებისა იმ ალიაქოთისა და შფოთის ფაქტორის გავლენისაგან, რომელსაც წარმოადგენს დღეს კონსერვატიული ინგლისი.

**„იზვესტია“** დასძენს:

„საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთ დაახლოება გამოიღებდა ორივე მხარესათვის უეჭველად სასარგებლო ნაყოფს, თუ ის გზას გაუხსნიდა ორივე სახელმწიფოს დამოუკიდებელ პოლიტიკას ევროპის კონტინენტის მშვიდობიანი ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში საბჭოთა კავშირთან. საფრანგეთ-გერმანიის ხელშეკრულება შეიძლება შეიქნეს მშვიდობიანობის იარაღად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ამასთანავე ერთად გაადვილებს სამეურნეო კავშირს თითო ამ ქვეყნების და საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ბაზარს შორის. საბჭოთა კავშირს შეუძლია მხოლოდ მიესალმოს ასეთი პროცესის განვითარებას“.

## „პრავდა“-ს კომენტარიები

### ამხ. ტროცკის საუბრის გამო ამერიკელების დელეგაციასთან

**მოსკოვი**, 24 აგვისტო. დღევანდელი „პრავდა“ იუწყება, რომ ამხ. ტროცკი ინახულა ამერიკელების დელეგაციამ, რომელმაც იქონია მასთან ხანგრძლივი საუბარი. საუბრის მონაწილეთა რიცხვში, რომელიც „პრავდა“-ს ცნობით შეადგენს 26 კაცს, შედიოდენ ამერიკელი მუშები, მასწავლებლები და ჟურნალისტები, რომლებიც დგანან არა კომუნისტურ, არამედ წვრილ ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე.

საუბრის დასაწყისს და პასუხის გაცემას დასმულ კითხვებზე წინ უძღოდა ტროცკის შემდეგი საერთო განცხადება:

„კითხვების იმ სიაში, რომელიც თქვენ ახლა მე ჩამაბარეთ, არის მთელი რიგი პუნქტები, რომლებიც შეეხება ჩვენი პარტიის შინაგან ცხოვრებას და ჩვენს საკუთარ უთანხმოებებს. ჩვენ, ბოლშევიკებს, ჩვეულებრივ გვაქვს ამ საკითხებზე მსჯელობა ვიქონიოთ ჩვენი პარტიის შიგნით. გთხოვთ არ დაინახოთ ამ სიტყვებში ის, თითქოს მე მზად არ ვიყო / მივცე ჩამოსულ სტუმრებს ახსნა - განმარტება ყველა მათთვის საინტერესო საკითხებზე, მაგრამ მირჩევნია ჩვენი პარტიის გარეშე მდგომებს გავუზიარო ის აზრები და მოსაზრებები, რომლებსაც შეეძლება აღუძრას მათ ჩვენს პარტიაში შემოსვლის სურვილი, რომ უკვე შემდეგ გაერკვენ მის შინაურ უთანხმოებებში“.

იმ მრავალრიცხოვან კითხვებზე, რომლებიც დელეგაციამ მისცა ამხ. ტროცკის, მან უპასუხა მხოლოდ შემდეგ შეკითხვებზე:

მე-7 კითხვაზე: „სწორი იქნება იმის თქმა, რომ საბჭოთა ქვეყანა არის დემოკრატია, თუ საჭიროა ითქვას, რომ აქ ბატონობს ერთი კლასის დიქტატურა, ან დიქტატურა ამ კლასის ერთი ნაწილის — კომპარტიის?“

მე-8 კითხვაზე: „რატომ არ არის საბჭოთა კავშირში ბეჭდვის და სიტყვის თავისუფლება ყველასათვის საერთოდ და მათ შორის საბჭოთა რეჟიმის მოწინააღმდეგეთათვის?“

მე-10 კითხვაზე: „რაში მდგომარეობს კომუნიზმის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი საბჭოთა კავშირში 1921 წლიდან?“

მე-16 კითხვაზე: „ შესძლებს თუ არა საბჭოთა კავშირი დაეწიოს მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს და რა ვადაში?“

მე-17 კითხვაზე: „შეიძლება თუ არა ითქვას, რომ „ცოცხალი ეკლესია“ მუშაობს მთავრობასთან ხელი - ხელ ჩაკიდებული?“

ტროცკიმ უპასუხა აგრეთვე ცალკე დამატებით კითხვაზე: „სრულიად დამოუკიდებლად შინა - პარტიულ პოლიტიკის საკითხებიდან, ჩვენ იმდენად დაინტერესებული ვართ რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებით, რომ გვინდა ვიცოდეთ—ხომ არ ახლოვდება ის დღე, როდესაც საბჭოთა რუსეთი მაინც დაუშვებს აზრთა თავისუფლებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში როგორც მუშებისთვის, ისე ყველა იმათ თვისაც, ვინც არ ეთანხმება მთავრობის პოლიტიკას?“

ამ კითხვების გარდა ტროცკიმ უპასუხა მთელ რიგ ეკონომიური ხასიათის კითხვებზე.

საუბარი ტროცკიმ დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: „ნება მომეცით, ამით ამოწურულად ჩავთვალო პასუხი ჩემთვის მოცემულ შეკითხვებზე. თუ პასუხი არ იქნება დამაკმაყოფილებელი, ეს ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ თვით კითხვები ძალიან მძიმეა“.

„პრავდა“ კომენტარიებს უკეთებს ტროცკის პასუხებს და სწერს:

1. არსებობს თუ არ არსებობს საბჭოთა ქვეყანაში საბჭოთა „დემოკრატია“?

ამერიკის დელეგაციის წევრების მიერ ამ ფორმით მიცემულ დიდმნიშვნელოვან კითხვაზე ტროცკიმ სრულებით ვერ შესძლო სწორი ლენინური პასუხის გაცემა. იმის მაგიერ, რომ მას ხაზი გაესვა პროლეტარული დემოკრატიის,—როგორც დემოკრატიის უმაღლესი ფორმის განსხვავებისათვის, ტროცკი გადასცდა დემოკრატიის კლასობრივ გაგებას და გადავიდა საერთოდ დემოკრატიის შესახებ მსჯელობაზე, დემოკრატიის დაპირდაპირებაზე—„საერთოდ დიქტატურასთან“, როგორც მოცემულია დემოკრატიის გაგება თვით შეკითხვის ავტორების მიერ. ერთი სიტყვით, ტროცკიმ მთელი საკითხი დემოკრატიის შესახებ ისე გააშუქა, რომ დემოკრატია ბურჟუაზიას ესაჭიროება თავისი დიქტატურის დაფარვისათვის, ხოლო პროლეტარიატს კი—არა. ტროცკიმ მხედველობიდან გაუშვა პროლეტარული დემოკრატია, რომლის საფუძვლებზედაც შენდება პროლეტარიატის დიქტატურა, და სცდილობს ამოშალოს ისტორიიდან უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი: დემოკრატიის უდიდესი განსხვავება საბჭოთა წყობილების პირობებში.

2. თავის პასუხში ამერიკის დელეგაციისადმი ტროცკიმ თეორეტიულად ვერ გააშუქა (როგორც სჩანს, არც თვითონ ჰქონია გაგებული) საკითხი პროლეტარული დემოკრატიის შესახებ საბჭოთა კავშირში, და ამიტომ ბუნებრივია, რომ მან დამახინჯებულად განმარტა ნამდვილი პოლიტიკური პირობები საბჭოთა კავშირში.

ჯერ ერთი ტროცკიმ სრულიად არადამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა ამერიკის დელეგაციის შემდეგ შეკითხვაზე: „ხომ არ ახლოვდება დღე, როდესაც საბჭოთა რუსეთი აზრის თავისუფლებას დართავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში როგორც მუშებს, ისე ყველა იმათ, ვინც არ ეთანხმება მთავრობის პოლიტიკას?“

ამ პუნქტში ტროცკი არსებითად შეეხო მხოლოდ საკითხს ბურჟუაზიული პარტიების შესახებ. მან დუმილით აუარა გვერდი არაპირდაპირ მტკიცებას იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა კავშირში მუშებისათვის დახშულია „აზრის თავისუფლება“, როგორც ეს მოცემულია დელეგაციის შეკითხვაში.

სიჩუმით ჩაუარა რა საქმის ამ მხარეს, ტროცკიმ ამით საბაბი მისცა პროლეტარიატის დიქტატურის მტრებს შემდეგშიაც ავრცელონ ის ღვარძლიანი ცილისწამება, რომელიც ნაწილობრივად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს შეკითხვების მიმცემ ამერიკელების დელეგაციის წევრებსაც კი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საბჭოთა სინამდვილის ფაქტებთან გაცნობა დაარწმუნებს დელეგაციის წევრებს იმაში, რომ მტკიცება, თითქოს საბჭოთა კავშირში მუშებისათვის არ არსებობდეს „აზრთა თავისუფლება“, წარმოადგენს ჭორს და ცილისწამებას.

ჩვენ მართლაც არა გვაქვს „აზრთა თავისუფლება“ ბურჟუაზიულ და ანტიპროლეტარულ პარტიებისათვის, რომლებიც არიან მუშათა კლასის ხელისუფლების დამხობის და კაპიტალიზმის აღდგენის მომხრე. მაგრამ ამ გარემოებას არაფერი არა აქვს საერთო აზრთა თავისუფლებასთან მუშებისათვის. ჩვენ გვაქვს პროლეტარული დემოკრატია, და არა ბურჟუაზიული, დემოკრატია ღარიბთათვის, და არა მდიდართათვის, სოფლის და ქალაქის მუშებისა და მშრომელებისათვის, და არა კაპიტალისტებისა და მემამულეებისათვის.

შემდეგ ტროცკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის პირობებში „უკმაყოფილება“ არის „წინ წამწევი ძალა“. ეს დებულება სწორია მხოლოდ კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის, სადაც მშრომელი მასების კლასიური რევოლიუციონური უკმაყოფილება ბურჟუაზიულ რეჟიმით მართლაც წარმოადგენს „წინ წამწევ ძალას“.

იმ ქვეყანაში, სადაც ძალა-უფლება პროლეტარიატის ხელშია, კლასიურ უკმაყოფილებას პირველ რიგში იჩენს ბურჟუაზია, რომელიც ფარავს თავის ნამდვილ ზრახვებს „ხალხის“ აზრით, „დემოკრატიით“, „დამფუძნებელი კრებით“ და პროლეტარიატის დიქტატურასთან ბრძოლისათვის ხშირად სარგებლობს უცხოეთის კაპიტალის დახმარებით (გავიხსენოთ ინტერვენციის წლები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ). ეს კონტრ-რევოლიუციონური უკმაყოფილება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს პროლეტარიატის თვალსაზრისით წინ „წამწევი ძალა“, ტროცკის ნათქვამიდან კი შეიძლება სწორედ ასეთი დასკვნის გამოტანა. უკმაყოფილება საბჭოთა რეჟიმით არ არის „წინ წამწევი ძალა“ ბრძოლის მწვავე პერიოდებში (სამოქალაქო ომის წლები). მაშინ ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ ექცეოდა მშრომელთა კლასების ცალკე მერყევი ფენები. ასეთი მერყეობა კრონშტადტის აჯანყების დღეებში შეადგენდა პირდაპირ საფრთხეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის და იმუქრებოდა ქვეყნის წაყვანას „უკან“ და სრულებითაც არა წინ.

დაბოლოს,—სწერს „პრავდა“,—მეტად ორაზროვანი და, ოპოზიციის „ აგვისტოს განცხადების შემდეგ, მეტად სიმპტომატიურია ის „თავდაჭერა“, რომელსაც ტროცკი იჩენს, როდესაც ის, ომის საკითხთან დაკავშირებით, ლაპარაკობს ჩვენი პარტიის ერთსულოვნებაზე. ტროცკიმ სთქვა:

„ის, რაც ჩვენ (ე. ი. ოპოზიციას პარტიასთან ერთად) ერთი მეორესაგან გვაშორებს, გაცილებით ნაკლებია (!) იმაზე, რაც ჩვენ გვაკავშირებს“. ოღონდაც (!), საკითხში საბჭოთა კავშირის თავდაცვის შესახებ „ჩვენი ერთი მეორესაგან დამშორებელი“, რომ მეტი იყოს „შემაკავშირებელზე“, მაშინ ტროცკი აღარ იქნებოდა ჩვენს პარტიაში, ეს ტროცკის განუმარტავადაც ყველამ კარგად იცის.

მაგრამ ის ფაქტი, რომ არაკომუნისტური დელეგაციის შეკითხვაზე საბჭოთა კავშირის თავდაცვის შესახებ ტროცკი უპასუხებს უკიდურესი ორაზროვანი ფრაზებით (მით უმეტეს, როდესაც იცის, რომ ამ ფრაზებს ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატიული პრესა გამოიყენებს ჩვენი პარტიის წინააღმდეგ),—აი ეს ფაქტი კიდევ ერთხელ და ზედმეტჯერ ამტკიცებს, რომ ამ მნიშვნელოვან საკითხში ოპოზიცია ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა იმ შეცდომებისაგან, რომელთა დაუშვებლობაც ასე გასაგებია ყოველი კომუნისტისა და ყოველი მუშისათვის.

დასასრულ „პრავდა“ სწერს:

„აღარ ვჩერდებით აქ დანარჩენ „ახირებულებაზე“, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ტროცკის საუბარში, როგორც მაგალითად ისეთი დიდი „ახირებულება“, ტროცკი, თითქოს მან არ იცის რომ საბჭოთა ხელისუფლება სრულიადაც არ მიდის „ხელი-ხელ ჩაკიდებული ცოცხალ ეკლესიასთან“! საკვირველია, რომ ტროცკის დაავიწყდა მთელ რიგ ორგანოების არსებობა, რომლებიც ანტირელიგიურ პროპაგანდას აწარმოებენ.

დასასრულ გამოვთქვამთ ჩვენს გაკვირვებას: რანაირად მოხდა, რომ ამერიკის დელეგაციის შეკითხვები, თავისი ხასიათით ასე მარტივი ყოველი შეგნებული მუშა-ბოლშევიკისათვის, მოულოდნელად ისე „მძიმე“ აღმოჩნდა ტროცკისათვის, როგორც ამას თვითვე ამბობს, რომ ის „დაიბნა“ და დაუშვა ამდენი უხეში შეცდომა.

## გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობა

**მოსკოვი**, 24 აგვისტო. გუშინ, 23 აგვისტოს, ავსტრიის საქმეთა რწმუნებულმა **ხუდაჩეკმა** ინახულა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის ცენტრალურ ევროპის განყოფილების გამგის მოადგილე **ლორენცი** და ავსტრიის მთავრობის სახელით შემდეგი განუცხადა:

**„ეჭვები, რომელთა შესახებაც ლაპარაკი იყო ვიცე-კანცლერ ხარტლების მიერ ნაციონალისტში წაკითხულ პოლიციის ოქმში და რომელნიც მიმართული იყო ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელთა—ლენგიელისა და რაპოპორტის (ისენი გაგზავნილი იყვენ ვენაში ვენის მუნიციპალიტეტთან მოლაპარაკების მიზნით) წინააღმდეგ, სრულიად უსაფუძვლო გამოდგა.** (ადს).

## ყალბი საბუთების გამოქვეყნების გარშემო

**ვენა**, 23 აგვისტო. „არბეიტერ ცეიტუნგის“ (სოციალ-დემოკრატიული გაზეთი) და კომუნისტურ „როტე ფანეს“ თანამშრომლებმა სთხოვეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის პრესბიუროს, რათა უკანასკნელმა გამოსთქვას თავისი აზრი „დერ ტურმ“-ში გამოქვეყნებულ ყალბი საბუთების შესახებ. პრესბიუროში განაცხადეს, რომ სრულუფლებიან წარმომადგენლობას განზრახულიც კი არა აქვს ამ უაზრო ყალბი საბუთების უარყოფა, რათა ამით სახელი არ გაუთქვას ამ საბუთების გამომქვეყნებელ გაზეთს.

ამის გამო „არბაიტერ ცეიტუნგი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის პრესბიუროს განცხადება კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ **ავსტრიის მთავრობის მოვალეობაა ძირშივე აღმოფხვრას ყველა ცდები, რომლებიც მიმართულია ავსტრია-საბჭოთა კავშირის მეგობრული დამოკიდებულების ჩაშლისაკენ, და ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღოს ყალბი საბუთების გამოქვეყნებას.** ამის მაგიერ ავსტრიის მთავრობა დუმილით უვლის გვერდს საბჭ. მთავრობისა და მისი სრულუფლებიანი წარმომადგენლობისათვის ჩირქის მომცხებ მოქმედებას. (ადს).

## პანაფრიკული კონგრესი

**ნიუ-იორკი**, 23 აგვისტო. გაიხსნა ეგრედ წოდებული „პანაფრიკული კონგრესი“, რომელზედაც მონაწილეობას იღებენ ზანგთა 14 ქვეყნის დელეგატები. დელეგატებს შორის სჭარბობენ ზანგთა ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს რასიული თანასწორუფლებიანობა. მაგრამ კონგრესზე მაინც არის მემარცხენე ჯგუფი, რომელიც აყენებს ლოზუნგს მუშათა კლასთან სოლიდარობის შესახებ.

კონგრესის პირველმა სხდომამ მოისმინა მოხსენება ბრიუსელის ანტიიმპერიალისტური კონფერენციის შესახებ. (ადს).

## მონღოლეთის პროფკავშირთა დამფუძნებელი კრება

**ულან-ბატორი**, 23 აგვისტო. ხოტოში შესდგა სრულიად მონღოლეთის პროფკავშირთა დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომა. მონღოლეთის პროფკავშირების წევრთა მიმართ კრების მიერ გამოშვებულ მოწოდებაში, სხვათა შორის ნათქვამია:

**„მონღოლეთის პროფკავშირებმა თავისი მოქმედება უნდა მიმართონ რევოლიუციონური კლასობრივი ბრძოლის გზით და უნდა იბრძოლონ წითელი პროფინტერნაციონალის ხელმძღვანელობით, საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისათვის“.**

დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ პროფკავშირთა სრულიად მონღოლეთის საბჭოს დაევალა დაუყოვნებლივ დაამყაროს კავშირი წითელ პროფინტერნთან და შევიდეს მის რიგებში. (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღამის ცნობები

## პარიზის დემონსტრაციის დაწვრილებითი ცნობები.

**პარიზი**, 24 აგვისტო. იუწყებიან დაწვრილებით ცნობებს იმ საპროტესტო დემონსტრაციის შესახებ, რომელიც გუშინ მოხდა საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. დემონსტრანტები ბევრ ადგილას ამტვრევდენ მოაჯირებს და რკინის ზღუდეებს ხეების ირგვლივ და ნამტვრევებს ესროდენ პოლიციას. რამოდენიმე პუნქტში დემონსტრანტები შეცადენ ბარიკადების აღმართვას. მონმარტრის რაიონში დემონსტრანტებმა მოითხოვეს გლოვის ნიშნად ყველა მიუზიკ-ხოლების და საცეკვაო დარბაზების, ფუფუნების საგნებით მოვაჭრე რამოდენიმე მაღაზიის დახურვა. კერძო ავტომობილები, რომელნიც ამ მაღაზიებთან იდგა, გადააბრუნეს და დაამტვრიეს. დემონსტრანტები განსაკუთრებულ აღშფოთებას იჩენდენ ამერიკელების მიმართ, რომელნიც მონმარტრის რესტორანებში იმყოფებოდენ. რამოდენიმე ამერიკელი, რომელნიც ელისეის მინდვრებზე სეირნობდენ, ტალახში ამოსვარეს. ბურჟუაზიული პრესის ცნობით, ერთი კაფეს ფანჯრიდან ორჯერ ესროლეს დემონსტრანტებს. დემონსტრანტები შეიჭრენ კაფეში და დაამტვრიეს იგი. პარიზის ცენტრალურ ნაწილში მოძრაობა რამდენიმე საათით იქნა შეჩერებული. კვარტალი, რომელშიაც მოთავსებულია ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების საელჩო და ამერიკის ლეგიონის საერთო საცხოვრებელი ბინა, გარს შემორტყმული იყო პოლიციის და რესპუბლიკანური გვარდიის მრავალრიცხოვანი რაზმით. პოლიციისა და დემონსტრანტების შეტაკების დროს ბევრი დაიჭრა. დაჭრილთა რაოდენობის გამორკვევა შეუძლებელია, ვინაიდან დემონსტრანტებს თავიანთი დაჭრილები მიჰყავდათ. დაჭრილთა რაოდენობა რამდენიმე ასეულ კაცამდე აღწევს. გაზეთების ცნობით, მხოლოდ დაჭრილ პოლიციელთა რიცხვი აღწევს 45-მდე. პოლიციამ 200-ზე მეტი დემონსტრანტი დააპატიმრა (ადს).

## ამერიკულ საქონლის ბოიკოტისათვის

**ჰელსინგფორსი**, 24 აგვისტო. ფინლიანდიის პროფკავშირთა საბჭომ, ნიშნად პროტესტისა საკოსა და ვანცეტის დასჯის წინააღმდეგ, გამოუცხადა ბოიკოტი ამერიკულ საქონელს და წინადადება მისცა მოაწყონ მუშათა საპროტესტო დემონსტრაციები მთელ მხარეში. (ადს).

## სოციალ-დემოკრატი შვილის ჯალათებს

**ბერლინი**, 24 აგვისტო. ჰალეში პოლიცეი-პრეზიდენტმა სოციალ-დემოკრატმა სამი თვით აკრძალა ყოველგვარი დემონსტრაციები და ჯგუფური მსვლელობა ღია ცის ქვეშ, რომლებიც მოწყობილ იქნებიან გერმანიის კომპარტიის და მასთან ახლო მდგომ სხვა ორგანოების მიერ.

## „ვერ ვაპატიებთ“

**ლონდონი**, 24 აგვისტო. გუშინ საღამოთი ჰაიდ-პარკში შესდგა სამგლოვიარო მიტინგი საკოსა და ვანცეტის ხსოვნის აღსანიშნავად. მიტინგზე მონაწილეობა მიიღო 20.000 კაცმა და გაგრძელდა 6 საათი. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მიტინგი ფიცს სდებს „არასოდეს არ დაივიწყოს, არ აპატიოს ამერიკის ბურჟუაზიას საკოსა და ვანცეტის ვერაგული მკვლელობა და იბრძოლოს შეუდრეკელად კაპიტალზე გამარჯვების მოპოებისათვის“. დემონსტრაციის ჰაიდ-პარკიდან გამოსვლის დროს მათ თავს დაესხა პოლიცია, რომელიც ჯოხებით სცემდა დემონსტრანტებს. დაჭრილია 50 მუშა, დაპატიმრებულია 10. (ადს).

## ამხ. უხანოვის მიწვევა პარიზში

**მოსკოვი**, 24 აგვისტო. 24 აგვისტოს საფრანგეთის ელჩმა ერბეტმა ინახულა მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე უხანოვი და მიიწვია იგი საიდუმლო ზეიმზე, რომელიც უნდა გაიმართოს ცნობილი ფრანგი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის ბერტელოს დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო. (ადს).

## ძლიერი ხანძარი სტამბოლში

**ანგორა**, 24 აგვისტო. ანატოლიის ტელეგრაფის სააგენტო იუწყება, რომ სტამბოლში (სკუტარის რაიონში) ძლიერი ხანძარი გაჩნდა. ხანძარი სწრაფად ვრცელდება მთელ რაიონში.

# ლიტვის პრემიერი

## შეუძლებლად სთვლის შეთანხმებას პოლონეთთან

**კოვნო**, 23 აგვისტო. გაზეთი „იაუნაკას ზინიასი“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს ლიტვის პრემიერმა ვოლდემარასმა უარყო პოლონეთის პრესის ცნობები, თითქოს დრუსკენიკის აგარაკზე უნდა მომხდარიყო მისი შეხვედრა პილსუდსკისთან.

„ლიტვის მთავრობა, — განაცხადა ვოლდემარასმა,—**არავითარ მოლაპარაკებას არ აწარმოებს იმ სახელმწიფოსთან,—რომელმაც ლიტვას წაართვა ერთ ერთი მისიონერი.** (ადს).

# ცელენსი კოვნოში

**რეველი**, 23 აგვისტო. მთავრობის პარტიის ორგანო „კაია“ აქვეყნებს ცნობას ცელენსის კოვნოში გამგზავრების შესახებ. გაზეთი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბალტიის სახელმწიფოების სამთა კავშირს საფუძვლათ უნდა დაედვას ორთა კავშირი ესტონეთის და ლატვიას შორის (ადს).

# დაკარგული ჰაეროპლანები

**ნიუ-იორკი**, 23 აგვისტო. ორი ოთხ ჰაეროპლანიდან, რომლებიც მონაწილეობდენ გადაფრენაში სან-ფრანცისკოდან გონოლულუში--დღემდი არ არის საპოვნი. ჰაეროპლანებთან ერთად უგზო-უკვლოდ დაიკარგა 4 კაცი და 1 ქალი.

ასევე უგზო-უკვლოდ დაიკარგა მათ მოსაძებნად გაგზავნილი ჰაეროპლანი.

# ზაგლულ-ფაშას სიკვდილი

**ლონდონი**, 23 აგვისტო. 23 აგვისტოს გარდაიცვალა ეგვიპტის პარლამენტის თავმჯდომარე, ვაფდის (ნაციონალისტების) პარტიის ბელადი დამაარსებელი ყოფილი პრემიერი ზაგლულ-ფაშა.

**შენიშვნა:** ზაგლულ-ფაშა — გამოჩენილი ფიგურაა ეგვიპტის მოძრაობაში. წარსულში იგი იყო ინგლისის მომხრე და თავის ირგვლივ აერთიანებდა ბურჟუაზიულ ინტელიგენტურ და ნაციონალისტურ ელემენტებს. ზაგლულ-ფაშამ სწრაფად მოიპოვა დიდი პოპულიარობა ეგვიპტეში და აწარმოებდა ანტიინგლისურ აგიტაციას, დაწყებული 1919 წლიდან. ინგლისელები იძულებული იყვენ რამდენიმეჯერ დაეპატიმრებიათ და გადესახლებიათ იგი, პირველად კუნძულ მალტაზე და შემდეგ ცეილონ-სეიშელის კუნძულზე. ზაგლული განთავისუფლეს და ეგვიპტეში დაბრუნების ნება მისცეს მხოლოდ 24 წელში, იმის შემდეგ, როცა ინგლისმა 1922 წელში გამოსცა დეკლარაცია „ეგვიპტის დამოუკიდებლობის შესახებ“. ზაგლულის ანტიინგლისური მოღვაწეობა ამ მომენტიდან იწყებს უფრო ზომიერ ხასიათს. ზაგლულ-ფაშა 70 წლის იყო.

# შიშს დიდი თვალები აქვს

**ვენა**, 23 აგვისტო. უნგრეთის ეროვნული დღესასწაულის საზეიმო პროცესის დროს 20 აგვისტოს ერთმა მუშამ, რომელიც მაყურებლებს შორის იმყოფებოდა, ხორტის ფეხებში დაუგდო პაკეტი. პოლიციის აგენტებმა მუშა დააპატიმრეს. გაჩხრეკვის დროს მას უნახეს ცარიელი რევოლვერი. პაკეტში აღმოჩნდა ლითონის ღილები და რკინის ნაჭრები. დამტკიცდა, რომ პაკეტის გადამგდები მუშა ფსიქიური ავადმყოფია.

# საბჭოთა კავშირში

## რუსეთი

### სოფლის ელექტრო - სადგურები

**მოსკოვი**, 24 აგვისტო. ბელორუსიის სოფლებში აგებენ 8 ელექტრო - სადგურს, რომელნიც მუშაობას დაიწყებენ ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე (ადს).

### შუამდგომლობის უარყოფა

**მოსკოვი**, 24 აგვისტო. საკავშირო ცაკმა უყურადღებოთ დასტოვა შუამდგომლობა ინგლისელ ჯაშუშ ქალის კლეპიკოვასათვის დანაშაულის პატიების შესახებ. კლეპიკოვას მისჯილი ჰქონდა დახვრეტა.

განაჩენი სისრულეში მოყვანილი (ადს).

### მიწისძვრა გრძელდება

**ნამანგანი**, 24 აგვისტო. მიწისძვრა, რომელიც კვლავ განახლდა, ახალი ძალით გრძელდება. 22 აგვისტოს დილის ბიძგების გარდა, აღნიშნულია კიდევ სამი ბიძგი. 23 აგვისტოს ადგილი ჰქონდა მიწისძვრას 4 წამის განმავლობაში, რომელმაც ახალი ნგრევა გამოიწვია (ადს).

### მფრინავი სკალა

**მოსკოვი**, 24 აგვისტო. ჩეხი მფრინავი სკალა, რომელიც გადაფრენას ახდენს პრაგა - ტოკიოს შუა. 23 აგვისტოს იძულებული შეიქნა დაშვებულიყო ჩიტაში. 24 აგვისტოს სკალა ჩიტადან გაფრინდება მუკდენში (ადს).

### გადაფრენა მოსკ.-ტოკიო

**მოსკოვი**, 24 აგვისტო. საბჭოთა მფრინავი შესტაკოვი, რომელიც გადაფრენას ახდენს მოსკოვ - ტოკიოს შუა, დაეშვა ვერხნეუდინსკში. 24 აგვისტოს მფრინავი გაფრინდება ჩიტაში. შესტაკოვი ჩიტაში მიფრინავს ორჯერ უფრო გრძელი გზით, ვინემ სკალა (ადს).

### რკ. გზა აკმოლინსკსა და კარკარალინსკს შუა

**მოსკოვი**, 24 აგვისტო. ყირგიზეთის ველებში, აკმოლინსკსა და კარკარალინსკს შუა დასრულდა გამოკვლევა რკ. გზის გასაყვანად. რკინიგზის სიგრძე იქნება 1.600 კილომეტრი. ალაგ ალაგ გზა გაივლის: ქვანახშირით, ოქროთი, სპილენძით, კალიუმით და რკინის მადანით მდიდარ ადგილებს (ადს).

### მოტოგადარბენა ხარკოვ - კურსკს შუა

**ხარკოვი**, 24 აგვისტო. მოეწყო მოტოგადარბენა ხარკოვი - კურსკი - ხარკოვი. გადარბენაში მონაწილეობა მიიღო 30 მოტოციკლისტმა (ადს).

### დნეპროსტროი

**მოსკოვი**, 24 აგვისტო. გერმანიიდან მოსკოვში დაბრუნდა „დნეპროსტროის“ მთავარი ინჟინერი **ვინტერი**, რომელმაც საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში შემდეგი განაცხადა:

„გერმანიაში დამთავრდა მოლაპარაკება „დნეპროსტროის“ ძირითად მოწყობილობათა (ქვის - სამტვრევ და ტინოზის ქარხნების ასაგებად) შეკვეთის შესახებ. მათი ღირებულება უდრის 3 მილ. მან. ქვის - სამტვრევი ქარხანა საათში გადაამუშავებს 250 ტონა ქვას. ამ ქარხნისათვის ყველაზე დიდი მანქანები დამზადებულ უნდა იქნას 6—8 თვის განმავლობაში.

გერმანიაში შეკვეთილია აგრეთვე მოწყობილება ქვის - სამტვრევი მუშაობისათვის. ეს მოწყობილობა „დნეპროსტროიზე“ ჩამოტანილ იქნება დაახლოვებით ერთი თვის შემდეგ. ოქტომბრის შუა რიცხვებში დაიწყება პირველი საცდელი მუშაობა. ძირითადი მუშაობა „დნეპროსტროის“ მოსაწყობად 1928 წლის შემოდგომაზე დაიწყება (ადს).

# საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის შემდეგ

## საპროტესტო მიტინგები თბილისში

### რკ. გზის მთავარ სახელოსნოში

24 აგვისტოს შესდგა რკინის გზის სტალინის სახელობის სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც ამხ. საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბახტაძემ მოხსენების შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინეთ რა მოხსენება ამხ. ბახტაძის საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის შესახებ, ა.-კ. რკ. გზ. ამხ. სტალინის სახელობის მთავარ სახელოსნოების მუშათა საერთო კრება აღშფოთებულია ამერიკის შეერთებულ შტატების გამხეცებულ ბურჟუაზიის და მის დამცველ სასამართლოს საზიზღარი საქციელით. რევოლიუციისათვის თავდადებულ ამხანაგების საკოსა და ვანცეტის მიმართ.

აღნიშნულ ამხანაგების სისხლის დაღვრა მოწმობს იმას, თუ როგორ უმასპინძლდება ბურჟუაზია მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებს და როგორ აწამებს მათ ყოველგვარ ადამიანურ უფლებების ფეხ-ქვეშ გათელვით; ამავე დროს; საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის და რეფორმისტულ ორგანოების თავშეკავება აქტიურ ბრძოლისაგან ამ ამხანაგების სიკვდილით დასჯისგან განთავისუფლების საქმეში ნათლად მოწმობს, თუ როგორ გაურბიან ისინი რევოლიუციისათვის მებრძოლ ამხანაგების ხსნას ბურჟუაზიის ბორკილებიდან, მაგრამ გვწამს, რომ მუშათა კლასის ჯალათებს სათანადო პასუხს მოსთხოვს საერთაშორისო მუშათა კლასი.

ძირს ფულლერისა და კაპიტალისტების მთავრობა!

ძირს მოღალატე სოციალ-დემოკრატია!

გაუმარჯოს რევოლიუციისათვის მებრძოლ ამხანაგებს!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

### დეპოში

24 აგვისტოს, 2 საათზე, შესდგა დეპოს და ვაგონის პარკის მუშა-მოსამსახურეთა საერთო მიტინგი, რომელსაც დაესწრო 1000-დე მუშა-მოსამსახურე. კრება გახსნა ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. პატარიძემ; სიტყვა მიეცა ამხ. ჰეპნერს, არეშინს და ხარატაშვილს, რის შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

— პროლეტარიატს ღრმად ექნებათ ჩანერგული გულში 23 აგვისტოს ღამე!

ახალ საფლავის წინაშე ვსდებთ ფიცს, რომ ვიქნებით მზად ამოუთხაროთ საფლავი ამერიკის მსაჯულებს, ფაშისტებს და მსოფლიო კაპიტალისტებს.

ძირს საერთაშორისო აღვირახსნილი ფაშიზმს!

გაუმარჯოს მუშების მთლიან ფრონტს მთელ მსოფლიოში!

### ალმასკომის პირველ სტამბაში

გუშინ შესდგა ალმასკომის პირველ სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა ამხ. გ. საყვარელიძე. მოხსენების შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის საკითხის შვიდი წლით გაჭიანურება მომასწავებელია ბურჟუაზიის უაღრესი გახრწნილობისა.

მსოფლიო მუშათა კლასი, რეფორმისტების მოღალატეობით დროებით ნაწილობრივად დამარცხებული, იკრებს თავის ძალებს და განრისხებული ვერაგულ კლასიურ შურისძიებით ემზადება ახალ შეტევისათვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, შორს არ არის ის დრო, როდესაც ის ელექტრონის სალტე, რომელსაც უჭერენ მუშების სხეულს, სასიკვდილოთ შემოეჭირება ბურჟუაზიას.

გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა მოძრაობას!

ვაშა პატიოსან მებრძოლთ საკოს და ვანცეტს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას კომინტერნის ხელმძღვანელობით!

### ა.-კ. რკინის გზების სამასალო მაღაზიაში

ორშაბათს, 24 აგვისტოს, დღის 2 საათზე, ა.-კ. რკ. გზების მთავარ სამასალო მაღაზიაში შესდგა მთავარ საწყობის და სათბობ საწყობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო საპროტესტო კრება ამერიკაში ამხ. ამხ. საკო და ვანცეტის სიკვდილით დასჯის გამო.

ამხ. კოჩინევის და აზრუმელაშვილის მოკლე სიტყვის შემდეგ გამოტანილი იქნა შემდეგი საპროტესტო რეზოლიუცია:

„ჩვენ, მთავარ საწყობის და სათბობ საწყობის მუშა-მოსამსახურენი საბჭოთა კავშირის მსოფლიო პროლეტარიატთან ერთად გამოვსთქვამთ სასტიკ პროტესტს უდანაშაულო რევოლიუციონერების დასჯის წინააღმდეგ.

მიუხედავათ მთელი მსოფლიო პროლეტარიატის პროტესტისა, მაინც „განათლებულ“ ამერიკაში ელექტრონის ძალით სიცოცხლე მოუსპეს უდანაშაულო მუშებს ამხ. საკოს და ვანცეტის. მართალია კაპიტალისტები სიცოცხლის ასალმებენ თითო-ოროლა რევოლიუციონერებს, მაგრამ ამით მაინც ვერ შესძლებენ განწირულ კაპიტალიზმის გადარჩენას. საკოსა და ვანცეტის დასჯა კიდევ უფრო განამტკიცებს მუშათა კლასის სოლიდარობას.

ძირს ამერიკის იმპერიალიზმი!

ძირს მსოფლიო ფაშიზმი!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ერთსულოვნებას!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას!

# პარტიული ცხოვრება

## საქ. კომპ. (ბ) ცეკასა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაფართოებული პლენუმი

გუშინ საღამოს გაიხსნა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკასა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მამია ორახელაშვილი.

## პიონერ-ორგანიზაციათა შემოწმება

### საქართველოს ახ. ლ. კომ. კავშირის ცეკას და გაზეთთა კომ. ორგანიზაციების ცენტრ. ბიუროს წერილი საქართველოს პიონერთა ყველა ბიუროებს და კოლექტივებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საკ. ახ. ლ. კომკავშირის ცეკას დადგენილების თანახმად, ამ წლის 20 აგვისტოს თარიღით, როგორც საქართველოს საბჭოთა პარტიულ, კომკავშირელთა და პიონერთა პრესის ფურცლებზე, ისე „კომსომოლსკაია პრავდა“-ში და „პიონერსკაია პრავდა“-ში დაიწყო საბჭოთა კავშირის პიონერ-ორგანიზაციების მიღწევათა შემოწმება.

საქართველოს პიონერ-ორგანიზაციას, რომელსაც წარსულში მოუხდა თავის ზოგიერთი დაბრკოლებების გადალახვა, დღეს ეტყობა მუშაობის გაცხოველება. მას პიონერ-მუშაობის გაუმჯობესების საქმეში აქვს მთელი რიგი წამოწყებებისა და მიღწევებისა; პიონერ-მოძრაობის თითქმის ყველა მუშაკებს გათვალისწინებული და შეგნებული აქვთ ის მორიგი ამოცანები, რომლებიც წამოიჭრენ მათ წინაშე და ყველა ზემოთქმულის აღნიშვნას პრესაში აქვს დიდი მნიშვნელობა იმის გამოსარკვევად, თუ საქართველოს რომელმა ორგანიზაციამ მოახერხა ჩვენი საერთო მუშაობის გასაუმჯობესებლად მიღებული ამა თუ იმ ღონისძიების დადებითად ჩატარება.

ამ გზით დაგროვილი გამოცდილების შესწავლით და მისი გადმონერგვით საბჭოთა კავშირის ბევრ ორგანიზაციას შეუძლია დასძლიოს ის დაბრკოლებები, რომლებსაც ადგილი აქვს მის მუშაობაში. სწორედ ამიტომ საქართველოს ახ. ლ. კომ. კავშირის ცეკა წინადადებას აძლევს საქართველოს ყველა ორგანიზაციებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა კავშირის პიონერ-ორგანიზაციების მიღწევათა შემოწმების ჩატარებაში.

თვითეულმა ორგანიზაციამ, თვითეულმა კოლექტივმა უნდა გამოფინოს და გამოაშკარავოს შესასწავლად და შესამოწმებლად თავისი მიღწევები, იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ეს მიღწევები სულ უბრალო და უმნიშვნელო იქნება. უნდა დაგვანახონ, თუ როგორ ჩაატარეს კონკრეტიული დავალებათა მეთოდი, როგორ გამოიყენეს დასვენება, როგორ დაანტერესეს ბავშვთა მასა ტეხნიკური ხელოვნებით და წრეების მუშაობით, როგორ დაარსეს სამხედრო და სხვა კუთხეები და მსროლელთა წრეები, როგორი შედეგები მოჰყვა კომპარტიის და კომკავშირის ხელმძღვანელობას, რა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმე იქნა ჩატარებული, რა მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში, რა და რა კონკურსები იქნა ჩატარებული და სხვა.

საქართველოს ყველა ორგანიზაციებს წინადადება ეძლევა დაუყოვნებლივ შეუდგენ თავის ორგანიზაციაში მიღებულ მიღწევათა შესწავლას. როგორც ამ შესწავლის ერთ-ერთ საშუალებას, ცეკა ურჩევს ყველა ორგანიზაციებს მოაწყონ თავისი ორგანიზაციის პიონერთა კოლექტივების საურთიერთშორისო გამოკვლევები. ეს გამოკვლევები უნდა ჩატარებულ იქნენ სპეციალურად გამოყოფილი კომკავშირელების და უფროსი ჰასაკის პიონერების თანდასწრებით. ამ გამოკვლევებს შედეგათ უნდა მოჰყვეს მიღწევათა ნუსხები (დღიურები) („რა იყო შემოღებული ორგანიზაციაში ახალი უკანასკნელი წლის განმავლობაში“.) და იმ პირთა სიები, რომლებმაც ჩაატარეს აღნიშნული მუშაობა და შეეძლოთ გაიზიარონ თავიანთი გამოცდილება.

ასეთი ფაქტების და ინიციატორთა გამორკვევისთანავე ყველა კოლექტივებმა დაგროვილი მასალა უნდა გაუგზავნონ საქართველოს ახ. ლ. კომ. კავშირის ცეკასთან არსებულ შემოწმების კომისიას.

შემოწმების კომისიაში შედიან: ამხ. ამხ. გობეჩია, იმედაძე, მ. ორახელაშვილი, ახკორთა ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარე და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს და „პიონერი“-ს რედაქტორები.

ის ბიუროები და კოლექტივები, რომლებიც გააშუქებენ მიღწევათა მეტ რაოდენობას, ახ მიღწევათა უფრო საინტერესო მაგალითებს, რომლებიც გამოგზავნიან მიღწევათა საუკეთესო ნუსხებს და კრებულებს, მიიღებენ საკ. ახ. ლ. კომ. კავშ. ცეკასაგან პრემიებს.

პირველი პრემია იქნება ლენინის დროშა, მეორე—„პრავდა“-ს დროშა, მესამე—„პიონერსკაია პრავდა-“ს დროშა.

ამის გარდა 50 პრემია დაურიგდება კოლექტივებს და ინიციატორებს.

## პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

(სამტრედია)

17 აგვისტოს სამტრედიაში შესდგა სამოქალაქო და ყველა სატრანსპორტო უჯრედების გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო ცეკას წარმომადგენელი ამხანაგები—სილია თოდრია და ფანცხავა. კრება განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და გაცხოველებული იყო, რადგან დღის წესრიგში იდგა საკითხი საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრალურ საკ. კომ. გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდენ ცეკას წარმომადგენელი ამხანაგები.

მოხსენების გარშემო ილაპარაკა 12 ამხანაგმა, რის შემდეგაც მიღებულ იქნა რეზოლიუცია. მოგვყავს რეზოლიუციის დამახასიათებელი ადგილები:

**„სამტრედიის საქალაქო და სატრანსპორტო უჯრედების გაერთიანებული კრება სავსებით უერთდება პლენუმის გადაწყვეტილებებს. ბრძოლაში გამობრძმედილი ლენინური პარტია მუდამ იყო და არის პარტიის უმრავლესობის ლენინურ პოლიტიკის გამტარებელი. ერთი მუჭა თავაშვებული ოპოზიციონერები ყოვლად დაუშვებელ საშუალებებით უმზადებენ საფრთხეს პარტიის მთლიანობას. კრება მოუწოდებს სამტრედიის და სხვა ორგანიზაციების ყველა წევრებს კიდევ უფრო მეტად შეკავშირებისაკენ პარტიისა და მისი ხელმძღვანელ ორგანიზაციების გარშემო. კრება მოუწოდებს ორგანიზაციის წევრებს, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ იმათ,—ვინც შეეცდება ლენინური ხაზიდან გადახრას და ოპოზიციონურ ტენდენციების პარტიისათვის თავზე მოხვევას. ამხ. ტროცკიმ და ზინოვიევმა სავსებით დაიმსახურეს ცენტრალურ კომიტეტის წევრთა რიგების გარეშე დადგომა, მაგრამ თუ გაერთიანებულმა პლენუმმა მათ სასტიკი საყვედური გამოუცხადა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ პარტიას სურს ამოხწუროს ყველა საშუალებანი შინა პარტიული მთლიანობის განსამტკიცებლად და უკანასკნელი გამოცდა მოახდინოს თავზე ხელაღებული ოპოზიციონერ „ლიდერებისა“. კრება გადაჭრით მოითხოვს უმაღლეს ხელმძღვანელ პარტიულ ორგანიზაციებისაგან, რომ თუ ამიერიდან ყრილობის დადგენილების გარეშე პარტიის რომელიმე წევრი შემდეგშიაც განაგრძობს დეზორგანიზატორულ ფრაქციულ მუშაობას, მათ წინააღმდეგ იქნეს მიღებული უსასტიკესი ზომები თვით პარტიიდან გამორიცხვამდე“.**

## უმუშევარი კომუნისტები

„რაბოჩაია გაზეტა“-ს ერთ-ერთ ნომერში ამხ. რუბინშტეინი ეხება საყურადღებო საკითხს—ესაა საკითხი უმუშევარ კომუნისტების შესახებ. მოსკოვის ორგანიზაციაში წერილში მოყვანილ ცნობების თანახმად ირიცხება 1.590 უმუშევარი კომუნისტი, ჩრდილოეთ-კავკ. ორგანიზაციაში—2.336, ოდესაში—444 და ასე სხვაგანაც. საერთოდ საკავშირო კომპარტიაში ირიცხება რამდენიმე ასეული უმუშევარი კომუნისტი.

აღსანიშნავია, რომ უმუშევარ კომუნისტების 64 პროცენტს შეადგენენ ისინი, რომელნიც დათხოვნილი არიან სამსახურიდან შტატების შემცირებისა და დაწესებულების გაუქმების გამო.

უმუშევარ პარტიულების ძირითად მასას წარმოადგენს მცირე კვალიფიკაციის მქონე მუშები და გარდა ამისა საბჭოთა მოსამსახურეები. უმუშევარ კომუნისტებს შორის საკმაოთ ბევრია ისეთები, რომელნიც მოხსნილი არიან სამუშაოდან შრომის დისციპლინის დარღვევის გამო.

აქედან დასკვნა ასეთია, პარტია მტკიცეთ მოითხოვს თავის წევრებისაგან, რომ ისინი იყვნენ მაგალითის მიმცემი არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ყოველდღიურ პრაქტიკულ სამეურნეო მუშაობაში. პარტია არ ანიჭებს პრივილეგიებს თავის წევრებს სამუშაოზე გაგზავნის საქმეში. ამით აიხსნება, რომ უმუშევარ კომუნისტების სოციალური და პროფესიონალური შემადგენლობა იმნაირივეა, როგორიც უპარტიო უმუშევრების.

იმისათვის, რომ შევასუსტოთ უმუშევრობა პარტიის რიგებში, საჭიროა უმუშევარ კომუნისტებმა ყოველი ღონე იხმარონ რაიმე კვალიფიკაციის მისაღებათ. ამ მიზნით მათ უნდა იარონ შესაფერის კურსებზე, პროფტეხნიკურ სკოლებში ან პერსონალურად უნდა შეისწავლონ რაიმე სპეციალობა.

გარდა ამისა დაუშვებელია, რომ უმუშევარმა კომუნისტმა უარი განაცხადოს პარტიულ მოვალეობის შესრულებაზე. უმუშევრობა არავის ანთავისუფლებს პარტმოვალეობის შესრულებისაგან. ამას კი ხშირად ვამჩნევთ უმუშევარ ამხანაგებს შორის. უჯრედმა უნდა გაუწიოს ანგარიში მათ მდგომარეობას, მაგრამ შესაფერისი პარტიული დავალებები მაინც უნდა მისცეს უმუშევარ კომუნისტებს.

დ. ბ—ა.

## ვკიცხავ ოპოზიციას

(ყოფ. ოპოზიციონერის განცხადება)

მე გულმოდგინედ ვადევნებდი თვალყურს ეგრედ წოდებულ ოპოზიციის მოღვაწეობას, რომელსაც მეთაურობს ამხ. ტროცკი, ხსენებულ ოპოზიციას არავითარი პრინციპიალური პლატფორმა არ გააჩნია, რაც უკვე ყველასათვის აშკარაა მისი „განცხადებიდან“ სრულიად საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის უკანასკნელ გაერთიანებულ პლენუმზე.

გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ მე ვიდექი რა უკანასკნელ დრომდე ეგრედ წოდებულ ბუფერის თვალსაზრისზე, რამდენიმედ თანაუგრძნობდი ოპოზიციას, რადგან ვფიქრობდი, რომ ის გულწრფელად აფასებდა როგორც საქ. კ. პ. (ბ) ცეკას, ისე კომინტერნის ხაზს. მაგრამ ის როგორც გამოირკვა, სისტემატიურად იძლეოდა ტენდენციურ და აშკარა ყალბ შეფასებას და მით შეჰყავდა მრავალი ამხანაგი შეცდომაში. მან დაკარგა ყოველგვარი ნდობა მას შემდეგ, რაც ყოვლად გაუგონარი გამოსვლები მოაწყო უპარტიოთა კრებაზე ბეჭდვითი სიტყვის დღეს 5 მაისს და ამხ. სმილგას გაცილების დროს.

ამიერიდან სავსებით ცეკასთან ვარ და სასტიკად ვკიცხავ ოპოზიციის მუშაობას, რომელიც არღვევს ბოლშევიკური პარტიის მთლიანობას.

აგრეთვე მოუწოდებთ ყველა იმ ამხანაგებს, რომლებიც ჯერ კიდევ მერყეობენ, ზურგი აქციონ ოპოზიციას და დაიცვან მთელი თავისი ენერგიით და ცოდნით პარტიისა და მისი ცეკას დადგენილებები და გაატარონ ისინი ცხოვრებაში.

ნიკო ფ. გვაზავა.

# კომკავშირში

## ოპოზიციის ანკესზე არავინ წამოეგება

(სამტრედია)

საქართველოს ახალგაზრდა ლ. კ. კ. ცეკას უკანასკნელ პლენუმის შესახებ სამტრედიის კომკავშირის რაიონის გაფართოებულ პლენუმის კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვ. ყვლენტი. პლენუმმა, რომელსაც დაესწრო რაიონის აქტივი, მოხსენების ირგვლივ მიიღო დადგენილება, საიდანაც მოგვყავს რამდენიმე საყურადღებო ადგილი.

**„სამტრედიის რაიკომის გაფართოებული პლენუმი აქტივთან ერთად იწონებს ცეკას პლენუმის დადგენილებებს და მთლიანად უერთდება მათ. პლენუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს კომკავშირის უდღეურ ოპოზიციონერების ჩხირკედელაობას არავითარი გასავალი არ ექნება კომუნისტური ახალგაზრდობის რიგებში. პარტიას და კომკავშირს არ სცალია დისკუსიისათვის. ოპოზიციონერების უკანასკნელი მოქმედება ნათლად ღალადებს მათ ანტიკომუნისტურ საქმიანობას.**

**სამტრედიის ორგანიზაცია ყოველთვის მთლიანად იდგა და დგას ლენინურ ცეკასთან და მზად არის შეებრძოლოს ყოველგვარ ანტილენინურ გამოსვლებს კომკავშირის ორგანიზაციაში.**

## ვინ დასწერს საუკეთესო კინო-ფაბულას

გარკვევა ახალი ყოფა-ცხოვ. საკით. ჩვენი მუშურ გლეხური ახალგაზრდობისათვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ერთი და იგივე საკითხი შესაძლებელია განმარტებული იქნეს სულ სხვა დასხვა ნაირად. ამიტომ, რომ გამორკვეულ იქნას ჩვენი ახალგაზრდობის ახალი ყოფა-ცხოვრების ყველა მოვლენები, აუცილებელია ყოველი მხრივ გაშუქება უკანასკნელის. როგორც დადებითად ისე უარყოფითი მხრით.

საქ. ა. ლ. კ. კ. კ.-ს ა. კ. საოლქო კომიტეტის მესამე პლენუმმა კონკრეტიულად მიუთითა იმ საშუალებებზე, რომლითაც უნდა მიღწეულ იქნას ხსენებული მიზანი, ერთ-ერთი ამ საშუალებათაგანი არის კინო, რომელსაც შეუძლია გამოხატოს, როგორც კომკავშირის, აგრეთვე მთელ მუშურ და გლეხურ ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრება. თბილისის კომიტეტი დიდი ხანია მოწადინებულია შექმნას კომკავშირული ფილმა, რომელიც უნდა გამოხატავდეს ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრებას. ამჟამად მეორე რაიკომის სახ-კინ-მრეწვის უჯრედის ინიციატივით თბილისის კომიტეტი პრაქტიკულად შეუდგა საკითხის შესრულებას. ეხლა საკითხი დგას ამ ფილმის ფაბულის შედგენის შესახებ, რომელშიაც კომკავშირმა მთლიანად უნდა მიიღოს მონაწილეობა. ამიტომ საქ. ა. ლ: კ: კ: თბ: კ: მიმართავს კომკავ. ყველა ორგანიზ. და კომკავ. კავშირის წევრებს გამოგზავნონ მასალები ამ ფილმისათვის.

პირობები გამომუშავებული სახ-კინ-მრეწვის მმართველობასთან შეთანხმებით მდგომარეობს შემდეგში:

1. არ არის აუცილებელი დამზადებული სცენარის გამოგზავნა, საკმარისია მხოლოდ ერთი ფაბულა (შინაარსი).
2. ფაბულა უნდა იქნას აღებული სინამდვილიდან, უნდა ვერიდოთ ყოველგვარ ფანტაზიას. ის უნდა შეიცავდეს ნათელ ფაქტებს ცალკე კომკავშირელთა ცხოვრებისას.
3. შეიძლება იქნეს გამოგზავნილი ცალკე ფაქტები, რომლისთვინაც ყოველ კომკავშირელს შეუძლია გამოიყენოს დამახასიათებელი ფაქტები თავის პირად ცხოვრებიდან.
4. ყოველი მიღებული ფაბულა იქნება სათანადოთ დაჯილდოვებული.
5. სახ-კინ-მრეწვის მმართველობამ ახალგაზრდობის ფილმისათვის გადასდო სპეციალური თანხა, რომლიდანაც მიღებულ ფაბულაზე მიეცემა სათანადო ასიდან-ხუთას მანეთამდე. ეს კი დამოკიდებულია ფაბულის ხარისხზე და მის ღირებულებაზე.
6. ფაბულა უნდა იქნას გამოგზავნილი ახალგაზრდობის ფილმის დამაარსებელ კომისიის სახელზე, რომელიც გამოყოფილია ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტთან: (თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 20). თბ. კომ. საგიტაციო-[illegible]

საგიტ. საპროპ. განყოფილება.

## შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ პარტიულ ცხოვრების განყოფილებაში მოთავსებული იყო ცნობა საქ. კომპ. (ბ) ცენტრ. საკ. კომ. პლენუმის შესახებ, რომლის ბოლოშიც შეცდომით სწერია: „მუშათა გლეხთა ინსპექციას წინადადება მიეცა უფრო მჭიდრო კავშირი გააბას პარტიასთან“. უნდა იყოს: „მუშათა და გლეხთა ინსპექციას წინადადება მიეცა მჭიდრო კავშირი გააბას პრესასთან“.

# საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

## ჩვენი მანევრები და ჩვენი ამოცანები

ვიდრე შევუდგებოდე იმ ამოცანების და საკითხების ახსნა - განმარტებას, რომელნიც დაკავშირებული არიან მანევრებთან და რომელნიც დამუშავებულ უნდა იქნენ მანევრების ჩატარების დროს, სასურველათ მიმაჩნია განუმარტო მშრომელთა ფართე მასებს, თუ რას წარმოადგენენ წითელი არმიის მანევრები და შემდეგ, რა ამოცანები სდგანან ყველა ჩვენ საბჭოთა, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციების წინაშე.

### რას წარმოადგენს მანევრები

**მანევრებით ბოლოვდება წითელი არმიის მთელი წლის მუშაობა**, მიმართული მთლიან საბრძოლო, ტაქტიკურ, ან სტრატეგიულ ერთეულის შექმნისაკენ, რომელმაც უნდა შესძლოს მომავალ ომის დროს ყოველივე ამოცანების შესრულება.

**მანევრები იგივე ომია**, ოღონდ აქ არ არის საომარი ტყვიები და ყუმბარები.

ჯარის ნაწილები მანევრების დროს ცხოვრობენ, მუშაობენ, მოქმედებენ ისე, თითქოს ეს ხდებოდეს ნამდვილ ბრძოლის პირობებში. იმ ოპერატიული ამოცანების შესრულებას, რომელნიც სდგანან მათ წინაშე არ შეუშლის ხელს არც დრო, იქნება ეს დღე, ღამე, დილა, საღამო, არც ამინდი — წვიმა, ჭექა - ქუხილი, სიცივე, სიცხე, ნისლი და სხვა.

მანევრების დროს თვით ჯარის ნაწილი თავისი აპარატებით და დამხმარე ორგანოებით განიცდის უკიდურესად ფიზიკურ დღეებს, ემზადება რა მშვიდობიან პირობებში ომისათვის.

მანევრები, წარმოადგენენ რა განვლილ სამოსწავლო პროგრამის დასასრულს, მიზნად ისახავენ მიღწევების შეჯამებას ყველა დარგში, როგორიც არის: მებრძოლის სამხედრო - პოლიტიკური მომზადება, მომზადება მეთაურის, როგორც უფროსის, რომელმაც უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა თავის ნაწილს ბრძოლის დროს, მომზადება პოლიტორგანოების, რომლებმაც უნდა ჩაატარონ მუშაობა ჯარის ნაწილის პოლიტ - მორალურ მდგომარეობის დასაცავად და ამა თუ იმ ოპერაციის უზრუნველსაყოფად პოლიტიკური მხრივ.

**მანევრების დროს ხდება** იმის შემოწმება, თუ რამდენათ შეუძლიან თავის ამოცანების დაძლევა თანამედროვე ომის დროს ქონებით მომარაგების, კვების, ტანთსაცმელის და საომარ მასალების მიმწოდებელ აპარატს.

იმით, თუ რამდენათ გარკვეულია სამხედრო ნაწილის შემადგენელთა ელემენტების შორის ურთიერთ დამოკიდებულება საერთო მუშაობაში მანევრების დროს, შეფასდება მისი მომზადება ბრძოლისათვის.

ყველა ზემოჩამოთვლილი ამოცანების გარდა, მანევრები აძლევენ შესაძლებლობას წითელი ჯარის მეთაურებს შეამოწმონ მომავალ ბრძოლების მოთხოვნილებათა მეცნიერული დასაბუთება.

თანამედროვე ბრძოლის სირთულე, მისი მექანიზაცია ქმნილი ფაქტორები, აყენებენ ჩვენს წინაშე, როგორც ნაწილის საბრძოლო წესების, ისე მათი მართველობის ახალ პრინციპებს.

გამოცდილებათა განვითარება უდიდეს სიცხადეს, გარკვეულობას აღწევს ჯარების სხვადასხვაგვარი ნაწილების ურთიერთ დამოკიდებულებაში, მათ მისწრაფებაში ერთი დასახული ამოცანისაკენ — ყველა ეს მეცნიერული პრაქტიკული ამოცანები შესწავლილ და შემოწმებულ იქნება მანევრებზე.

**მანევრები საშუალებაა სამხედრო ნაწილების დარაზმვისათვის წითელ არმიის მთლიან ძალად.** ნაწილები, რომელნიც ყოველ საათში ერთად მუშაობენ, ეცნობიან ერთმანეთს, უახლოვდებიან ერთი მეორეს და ამით მთლიან მებრძოლ პროლეტარულ ოჯახს ქმნიან.

**ჩვენი ამიერ - კავკასიის პირობებში,** როცა წითელი არმიის ნაწილებში არიან საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნებათა წარმომადგენელნი, მანევრების ამოცანა ამაგრებს მთლიანი მებრძოლი პროლეტარული ორგანიზაციის ინტერნაციონალურ კავშირს.

**ჩვენი წითელი მანევრები მიზნად ისახავენ ჯარების დაახლოვებას მოსახლეობასთან** სალაშქრო - საომარი მუშაობის პირობებში.

სწავლებისა და აღზრდის ამ ნაწილში წითელი არმია, როგორც მშრომელთა ავანგარდი, თავისი მაგალითით უდიდეს პოლიტიკურ ამოცანებს ასრულებს.

ყურადღებით და ძმურად მოპყრობა მშრომელთადმი სოფლებში, ქალაქებში და ცალკე დაბებში შეადგენს სამაგალითო მებრძოლი - რევოლიუციონერის თვისებას, რომელიც თავისი სინდისიერი და უანგარო დამოკიდებულებით მის ირგვლივ მყოფი მასების მიმართ მოსახლეობაში აღზრდის სიმპატიის გრძნობას მისადმი და წითელი არმიელისადმი; **წითელი არმიის დანიშნულების**, საბჭოთა კავშირის თავდაცვის საერთო ამოცანების **განმარტება** საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით ქმნის და ამტკიცებს კავშირის თავდაცვას მთლიანად.

მშრომელთა დაახლოვება წითელ არმიასთან, მანევრების მიზნების, თანამედროვე ომების პრინციპების, იარაღის მოწყობილობის განმარტება მათთვის, ამ იარაღის ხმარების სწავლება, თავდაცვა - ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების უჯრედთა, სამხედრო, მსროლელთა, ქიმიური კუთხეების დაარსება — ყოველივე ეს პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს იქ, სადაც წითელი არმია გაივლის, დაისვენებს და გაატარებს თავის სწავლების დღეებს.

გამოვდივართ რა ჩვენი პროლეტარული არმიის ჩამოთვლილ თავისებურებათაგან, აუცილებლად ვსცნობთ **მშრომელთა საზოგადოებრივ აზრის მობილიზაციას** იმისათვის, რომ მათთაც მიიღონ მონაწილეობა მანევრებში.

მანევრებში მონაწილეობა უნდა მიიღონ— ერთის მხრივ თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოების უჯრედებმა, როგორც ჯარის ნაწილების დამატებით რაზმებმა, რომლებსაც უნდა დაეკისროს განსაზღვრული ამოცანები. მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე იმ რაზმებმა, რომლებშიაც შედიან საზოგადოების წევრი — უბრალო მებრძოლნი, სანიტარები, მზვერავები და სხვანი. მეორე მხრივ იმ მშრომელებს, რომლებიც არ შედიან თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოების რაზმებში შეუძლიათ ექსკურსიებით, წითელ არმიის სწავლებაზე დასწრებით, სპეციალურად მიმაგრებულ ან დანიშნულ ინსტრუქტორების საშუალებით მიიღონ აქვე, მინდორშივე, ტაქტიკურ მაგალითებსა და ეპიზოდებზე ახსნა-განმარტება მათთვის საინტერესო საკითხებზე. მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ პრაქტიკული სწავლებით შეიძლება რამდენიმე დღეში იმდენი რამის შესწავლა, რასაც სხვა პირობებში დასჭირდება კვირეები და შეიძლება თვეებიც.

ჯარის ნაწილების მეცადინეობის პროცესში ინსტრუქტორი გააცნობს მშრომელებს ბრძოლისა და თავდაცვის ყველა საშუალებებს, ასწავლის ომის საავიაციო და ქიმიურ საშუალებათა ხმარებას.

### მანევრების ამოცანები

რა ამოცანებს გვიყენებს ჯარის სწავლების ეს მთავარი პერიოდი?

მე არ ჩამოვთვლი სპეციალურ მოვალეობებს, რომლებიც დაკისრებული აქვთ კავკასიის წითელდროშოვან არმიის ნაწილებს, და რომლებიც დაწვრილებითაა ჩამოთვლილი სათანადო სადირექტივო მითითებებში. მე მხოლოდ მინდა აღვნიშნო, რომ ინსტრუქტორებისათვის დახმარების გაწევა საკუთარი გამოცდილებით, დარაზმულობით, დისციპლინით, აქტივობით — წარმოადგენს ჩვენი ორგანიზაციების უმთავრეს ამოცანას, იმ ორგანიზაციების, რომლებსაც სურთ მოემზადონ საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისათვის.

### პარტიულ, საბჭოთა და პროფ-ორგანოების როლი

პარტიულმა, საბჭოთა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ბრძოლისა და მისი ეტაპების შესწავლის საქმეში, მათ უნდა შეამოწმონ ჯარის სამხედრო ოპერატიულ ამოცანებთან დაკავშირებული საკუთარი მუშაობა; მანევრების პროცესში მათ უნდა დარაზმონ მშრომელთა მასები იმ მიზნით, რომ ნამდვილად, რეალურად, პრაქტიკულად განხორციელდეს გასამხედროების საქმე; თვითმოქმედების საღამოების გამართვით მათ უნდა განამტკიცონ მოსახლეობის მჭიდრო კავშირი წითელ არმიასთან, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ჯარში გაწვევის წინ.

გარდა ამისა, მომზადებისა და გადამზადების მიზნით, ჯარის ნაწილებთან მიმაგრებულ უნდა იქნან ამხანაგები, რომლებსაც ნამდვილი მობილიზაციისა, ან და ომის დროს დაეკისრებათ ამა თუ იმ მოვალეობის შესრულება. ამისთვის გამოყენებულ უნდა იქნას სათადარიგო უფროსი შემადგენლობა, პოლიტმუშაკები, სამეურნეო, ადმინისტრატიული მუშაკები, პოლიტმებრძოლები და სხ.

### კომკავშირი და მოწაფეობა

კომკავშირმა და მოწაფეობამ ისე უნდა ჩაატარონ თავისი ლაშქრობა, რომ ისარგებლონ მანევრებით. სამხედრო ინსტრუქტორების (წითელარმიელების, უფ. შემადგენლობის) ხელმძღვანელობით თავისი სწავლა მათ შეუძლიათ დაუკავშირონ ოპერატიულ ტაქტიკურ ამოცანებს, რომლებსაც ასრულებენ სამხედრო ნაწილები, ან შეასრულონ მზვერავების, სიგნალისტების, კავშირის გაბმელების და სხვ. სპეციალური სამსახური, შეავსონ სამხედრო ნაწილების მუშაობა პრაქტიკული შრომით და ამასთან ერთად შეითვისონ თანამედროვე ბრძოლის ელემენტარული საფუძვლები.

ეს თვალსაჩინო მუშაობა იქნება საფუძველი სამხედრო საქმის შემდგომი შესწავლისათვის ზამთარში სკოლისა და საკლუბო შენობებში და აგრეთვე შემდგომ ნაყოფიერ და წარმატებით მუშაობის მთავარი საწინდარი ჩვენი ახალგაზრდობის გასამხედროების საქმეში.

კონკრეტიულად საჭიროა, რომ კომკავშირი და მოსწავლე ახალგაზრდობა დაუკავშირდენ სამხედრო ნაწილებს იმ მიზნით, რომ მიიღონ მათგან ხელმძღვანელები და გააცნონ მათ თავისი განზრახვები და გეგმები.

ამ მოკლე საგაზეთო წერილში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია მანევრების გამოყენების ყველა საშუალებების, ფორმების და მეთოდების ჩამოთვლა.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ თვითეულს მიეცემა საშუალება გამოიყენოს თავისი ძალღონე მისი მიდრეკილების და მომზადების მიხედვით და ამასთან ერთად მიიღებს აუცილებელ სასარგებლო და ჯანსაღ დასვენებას.

ამისათვის საჭიროა მხოლოდ სურვილი და ორგანიზაციულობა.

მანევრების მომზადებისათვის დრო საკმაოა. უნდა ყველა მოემზადოს მანევრებისათვის სამხედრო დისციპლინის და ორგანიზაციის მეთოდებით. უნდა ყველამ სცადოს ამ წერილთან მიდგომა, როგორც სამხედრო ამოცანასთან სამხედრო წესით განახორციელოს იგი, რათა გამოაშკარავოს, შევსძლებთ თუ არა ჩვენ რამოდენიმე დღეში ჩავატაროთ მასების მობილიზაცია, ორგანიზაციულად მოვაწყოთ ეს მასები და წითელარმიასთან ერთად გავიდეთ სასწავლო ლაშქრობაზე. დეე ეს პრაქტიკული დასაწყისი გახდეს გამოცდილებად ჩვენი შემდგომი სასარგებლო და საჭირო მუშაობისათვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის თავდაცვის გასაძლიერებლად განსაკუთრებით მშრომელთა სამხედრო მომზადების დარგში.

### ომის საფრთხე და თავდაცვისათვის მზადება

საერთაშორისო მდგომარეობა ყველასათვის და თითოეულისათვის ნათელია: ის გვავალებს ჩვენ სამხედრო წესით მივუდგეთ იმ ამოცანების გადაჭრას, რომლებიც წამოჭრილია ჩვენს წინაშე ომის საფრთხის გამო.

ეს საფრთხე და მასთან დაკავშირებული სიძნელენი ჩვენთვის ახალი არ არის. ჩვენ უფრო ცუდი დროც გვინახავს; და რამდენადაც უფრო შავბნელი იყო ჩვენი სინამდვილე, მით უფრო გრანდიოზულად ვაყენებდით ჩვენ ამოცანებს, მით უფრო დიდი აქტივობით, აღფრთოვანებით, და თავდადებით ვკიდებდით ჩვენს ხელს მათ განხორციელებას და ყოველთვის გამოვდიოდით გამარჯვებული.

წითელ არმიისა და მშრომელთათვის არ არსებობს შეუძლებელი რამე. ყველაფერი შესაძლებელია. საჭიროა მხოლოდ ამოძრავება, საქმისათვის რევოლიუციონურად, ბოლშევიკურად ხელის მოკიდება და ჩვენ ბევრს მივაღწევთ. მდგომარეობა მოითხოვს სასწრაფო გადაუდებელ, პრაქტიკულ რეალურ ზომებს და მუშაობას. ამოცანები ნათელია, უნდა ვიბრძოლოთ მათ განსახორციელებლად, არ დავკარგოთ დრო, რომლის გამოყენება შესაძლებელია საბჭოთა კავშირის თავდაცვის განსამტკიცებლად; მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ დაკარგულ დროის დაბრუნება შეუძლებელია.

ემზადეთ ყველა მანევრებისათვის!

გასწიეთ წინ სწავლისაკენ!

შეისწავლეთ კლასიურ პროლეტარულ იარაღის ხმარება მსოფლიოში ერთად-ერთ სოციალისტურ სამშობლოს დასაცავად ომის საფრთხისაგან.

მ. ლევანდოვსკი.

## მიზანი მიღწეულია

(№ ქართ. მსრ. ლეგ.)

სამი თვის წინად ლეგიონის ყაზარმებს ეწვია ცვალებადი ახალი წვეულები.

ამჟამად მათ უკვე შეასრულეს სამოსწავლო შეკრება და დაუბრუნდენ თავიანთ ოჯახებს და მეურნეობას.

შეკრების დაწყებისას დასავლეთ-საქართველოს სოფელ-ქალაქების ახალგაზრდობა, წარმოება-მეურნეობას დროებით მოცილებული, დიდი ხალისით და აღფრთოვანებით მიეშურა წითელ ყაზარმას და ბეჯითად შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

ამ მხრივ, გასულ წლებთან შედარებით, უნდა ითქვას, რომ გლეხობა ახლო გაეცნო წითელ ჯარს, ღირსეულათ შეაფასა მისი მნიშვნელობა და საჭირო დროს დიდი ხალისით მიილტვის წითელი არმიის რიგებისაკენ.

წითელი ჯარის ყაზარმა ღირსეულათ დაუხვდა ახალგაზრდა სტუმრებს და მიაწოდა მათ ყოველი, რაც კი საჭიროა მებრძოლისათვის და მოქალაქისთვის.

ახალწვეულთა შორის იყვნენ წერა-კითხვის უცოდინარნიც. ადგილობრივ სახალხო განათლების განყოფილებიდან მოწვეულ იქმნა მასწავლებელითა საკმაო რიცხვი და სამი თვის განმავლობაში სისტემატიურმა მეცადინეობამ საუკეთესო ნაყოფი მოგვცა: ახალწვეულთა შორის მოისპო წერა-კითხვის უცოდინარობა.

ახალწვეულთა შეკრების უმთავრესი მიზანი—სამხედრო და პოლიტიკური საქმის შესწავლა სავსებით მიღწეულ იქნა. უკანასკნელ ხანებში ჩატარებულმა საველე მეცადინეობამ და სროლებმა ცხადათ დაგვანახვა ახალწვეულების მიღწევები ამ დარგში.

ახალწვეულმა სრულიად დამაკმაყოფილებლად შეისწავლა მაზედ მიკუთვნებულ იარაღის მატერიალური ნაწილი, მისი საბრძოლო თვისებანი და ხმარება-გამოყენება. იგი ისვრის შეგნებულათ, მოხერხებულათ; შეისწავლა ადგილმდებარეობის და ადგილობრივ საგნების თავის სასარგებლოდ გამოყენება ბრძოლის დროს.

აღარც მტრის მოწამლული გაზები და საჰაერო ფლოტი წარმოადგენს დიდ საშიშროებას მისთვის. ახალწვეული დაწვრილებით გაეცნო იარაღის ამ დარგს, და შეითვისა გაზებისაგან და ავიაციისაგან თავდაცვის ხერხი. ახალწვეულთა შემადგენლობა სამხედრო საგნების გარდა, ახლო გაეცნენ პოლიტიკასაც, მათ, შეითვისეს საბჭოთა კონსტიტუციის ელემენტარული ცნობები, შეიგნეს ხელისუფლების მიზნები, წითელი არმიის დანიშნულება, ჩვენი მიღწევები მეურნეობაში და გაერკვენ თანამედროვე რთულ პოლიტიკურ მდგომარეობაში.

ამრიგად, სამოსწავლო შეკრების დამთავრების შემდეგ, დასავლეთ-საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისაკენ გაემგზავრენ მრავალი ახალგაზრდები, რომელნიც ჩაიტანენ სოფელ-ქალაქებში წითელ ყაზარმაში შეძენილ ცოდნას, შრომის მოყვარეობას, წესრიგს და სიმტკიცეს.

პ. ქ—ძე.

## მოსახლეობის გასამხედროების შესახებ

თანამედროვე ომი არის ომი მთელი ხალხის, ომი მთელი სახელმწიფოსი, ყველა მისი ძალების და საშუალებების ამოქმედებით. ამიტომაც არის, რომ თანამედროვე ჯარებს უწოდებენ შეიარაღებულ ხალხს.

სინამდვილეშიც, საერთაშორისო იმპერიალისტურმა ომმა დაამტკიცა, რომ ომში ჩაბმულ სახელმწიფოების მთელი მოსახლეობა ასე თუ ისე იღებდა მონაწილეობას ომის წარმოებაში.

თუ ასე იყო წარსულში, მომავალში, უეჭველია, ეს დებულება მიიღებს უფრო გარკვეულ სახეს. ომის ტეხნიკური საშუალებების, უფრო კი ავიაციის და ქიმიის ზრდამ გააფართოვა ბრძოლის ველი და ომის თეატრი: აღარ არსებობს საზღვარი ფრონტისა და ზურგის შორის, ყველგან მოსალოდნელია დაუპატიჟებელ „სტუმრის“ გამოჩენა.

ასეთ პირობებში აუცილებლად და აბსოლიუტურად საჭიროა, რომ მთელს მოსახლეობას ჰქონდეს წარმოდგენა ომის წარმოებაზე, იცნობდეს ომის ტეხნიკას, რომ საჭირო დროს არ დაიბნეს, და შესძლოს მიიღოს ესა თუ ის გონივრული ზომები მტრის იერიშებისაგან თავის დასაცავად.

ამისათვის კი საჭიროა სამხედრო საქმის შესწავლა, შესწავლა სამხედრო ტეხნიკის და მისი დღევანდელი მიღწევების.

მაგრამ, ესეც არ არის საკმარისი: თანამედროვე ომი იქნება წარმოებული მეტად ფართე მასშტაბით და იგი მოითხოვს მრავალი მილიონ ადამიანთა მასას.

თავის-თავად ცხადია, რომ ვერც ერთს დღეს არსებულ მუდმივ არმიას ვერ ძალუძს მოამზადოს ომისათვის საჭირო ადამიანთა მარაგი. ამიტომაც ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, მუდმივი ჯარის გარდა არსებობენ სხვადასხვა ორგანიზაციები, რომელნიც ეხმარებიან სახელმწიფოს სამხედრო საქმის მცოდნეთა ახალ კადრების მომზადებაში, მოსახლეობის ჩაბმით სხვადასხვა სპორტიული, სასროლი და სამხედრო-[illegible] წრეებში.

საბჭოთა კავშირს, რომელსაც ბევრი მოსისხლე მტერი გააჩნია, [illegible] მართებს სე[illegible] მოსახლეობის მომზადებაზე მომავალ ომისათვის.

ამ მხრივ, საბჭოთა კავშირის ყოველი მოქალაქე ვალდებულია საკუთარი ინიციატივით მიიღოს ზომები მოსამზადებლად, რომ საჭირო დროს სახელმწიფოს მოუტანოს სარგებლობა.

ამ დარგში დიდი მნიშვნელობა აქვს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას. ეს არის ის ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია და რომელიც ვალდებულია შეასწავლოს ყოველ მოქალაქეს სამხედრო საქმე.

მაგრამ, არავითარ ორგანიზაციას არ შეეძლება რაიმეს გაკეთება, თუ მას არ დაეხმარება და არ მიიღებს მის მუშაობაში მხურვალე მონაწილეობას მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა.

ყოველი მუშა, ყოველი გლეხი და შეგნებული მოქალაქე ვალდებულია გახდეს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების აქტიური წევრი და აქიდანვე მოსპოს ამით თავის სამხედრო უცოდინარობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა ძალიან ჩამორჩენილია ამ მხრივ. აი, ჩვენ მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში უკვე შექმნილია მოხალისეებისაგან მთელი ლეგიონები და ათასეულები სამხედრო საქმის შესასწავლად. ჩვენ კი ვერ დავიძარით მკვდარი წერტილიდან. დროა, რომ რესპუბლიკანურ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ მაგრად მოჰკიდოს ხელი გასამხედროებას და ყველა დაეხმაროს მას ამ საქმეში.

ჩვენ, საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებს, გვმართებს ჩავეწეროთ სასროლო, ავია-ქიმიურ, სამხედრო-სასპორტო და სხვ. წრეებში. ქალები კი უნდა დაუ-დაუყოვნებლივ შეუდგენ სამხედრო-სანიტარულ და სამხედრო-ჰოსპიტალურ საქმის შესწავლას, რომ საჭირო დროს მათ შეეძლოთ დახმარების აღმოჩენა.

ნ. გედევანიშვილი.

## 1905 წ. დაბადებულთა გაწვევისათვის

### შეღავათები

მოქალაქეთათვის, რომელთაც უწევთ გაწვევა ნამდვილ სამხედრო სამსახურისათვის მოსახდელათ, დაწესებულია შეღავათები ოჯახურ ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით, რაც გამოიხატება იმაში, რომ გასაწვევი მოქალაქე თავისუფლდება წითელი არმიის ნაწილების კადრის შემადგენლობაში სამსახურისაგან და, სამაგიეროთ, ჩაირიცხება ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში, ან გადის სამსახურს ჯარის გარეშე წესით.

ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით დაწესებულია სამი ხარისხის შეღავათი. **პირველი ხარისხის შეღავათი** ენიჭება ერთად-ერთ შრომის უნარიან ოჯახის წევრს, თუ რომ ოჯახში მის გარდა მოიპოვება სამი, ან მეტი შრომის უნარს მოკლებული, რომელიც იმყოფებიან გასაწვევის მზრუნველობის ქვეშ. **მეორე ხარისხის შეღავათი** ენიჭება ერთად-ერთ შრომის უნარიან ოჯახის წევრს, თუ რომ ოჯახში მის გარდა არის ორი ან ერთი შრომის უნარმოკლებული, რომლებსაც ინახავს გასაწვევი. **მესამე ხარისხის შეღავათი** ენიჭება შრომის უნარიან ოჯახის წევრს, თუ რომ ოჯახში მის გარდა მოიპოვება მეორე შრომის უნარიანი წევრი, მაგრამ იმ პირობით, თუ რომ აღნიშნული ორი შრომის უნარიანი ოჯახის წევრი ინახავს სამს და მეტს შრომის უნარმოკლებულ ოჯახის წევრს.

პირველი ხარისხის შეღავათის მქონე მოქალაქენი თავისუფლდებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურის გავლისაგან წითელი ჯარის კადრის შემადგენლობაში და გადაირიცხებიან სამსახურის გასავლელად ჯარების გარეშე წესით.

ის მოქალაქენი, რომელთაც აქვთ მეორე და მესამე ხარისხის შეღავათები, განთავისუფლდებიან სამსახურისაგან საკადრო ნაწილებში იმ შემთხვევაში, თუ საკადრო ნაწილები შევსებულ იქნებიან სამხედრო სამსახურისათვის ვარგის პირებისაგან, რომელთაც არა აქვთ შეღავათების მიღების უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯერ გაიწვევიან საკადრო ნაწილებში მესამე ხარისხის და, შემდეგ კი, მეორე ხარისხის შეღავათის მქონე ახალგაზრდები.

## ექვსი დღე გლეხებთან

(ქართ. მეთაურთა გაერთ. სკოლა)

დაიწყო მანევრები, რომლებსაც სკოლის კურსანტები დიდი ხანია ელოდენ.

დილა ადრიან სკოლამ მიიღო ბრძანება და გაუდგა გზას. ორი დღე დავყავით სოფ. ტაბახმელაში, სადაც სწარმოებდა „ათასეულის სწავლება“. ამხანაგებს მიეცად სათანადო დავალებები, თუ რა სახის მუშაობა უნდა ეწარმოებინა ნაწილში და გლეხობას შორის.

ჩატარებულ იქნა საუბრები გლეხებთან მიმდინარე საკითხებზე. ეწყობოდა ჟურნალ-გაზეთების ხმამაღალი კითხვა, გამოშვებულ იქნა სალაშქრო კედლის გაზეთი, ყველა ამის გარდა მოეწყო გლეხებისათვის ორი კინო-სეანსი და ერთი თვით მოქმედების საღამო.

ორი დღის შემდეგ გამოვეშვიდობეთ გლეხებს და გავსწიეთ წინ. მივდიოდით საბრძოლო წესებით, გვიხდებოდა „შეტაკება“ „მტერთან“, „უკან დახევა“. ყველანი ჩინებულად ასრულებდენ დავალებებს და იჩენდნენ საჭირო გამჭრიახობას და საქმის ცოდნას.

აი სოფელი პრიუტი. კლუბმა გაშალა თავისი ძალები წარმოებულ იქნა სათანადო მუშაობა გლეხებში. გაიშვა კინო სურათი და მოეწყო თვითმოქმედების საღამო.

სოფ. წავკისში მოგვიხდა დარჩენა რამდენიმე ხანს, ადგილობრივი გლეხობა და ხელისუფლება კმაყოფილებით შეგვხვდენ. ჩავატარეთ პირველი კინოსეანსი. ადგილობრივ სამკითხველოს გადავეცით უფასოთ 89 წიგნი. სოფელს აქვს თავისი კლუბი, რომელიც აწარმოებს დიდ კულტურულ მუშაობას. გამოირკვა, რომ კლუბს განაგებს შვებული წითელი არმიელი. კლუბს აქვს სამხედრო კუთხე, სადაც ტარდება საუბრები სამხედრო საკითხებზე.

სოფ. დიდებაში ჩავატარეთ კინო-სეანსი და მოვაწყვეთ საღამო-წარმოდგენა. გლეხებთან ჩატარდა ჯგუფური საუბრები. ქოხ-სამკითხველოს დაუტოვეთ 67 წიგნი.

მანევრებზე წარმოებულმა პოლიტ-მუშაობამ დაგვანახვა, რომ ჩვენი სკოლის პოლიტაპარატს აქვს საკმაო გამოცდილება, ამხანაგები ერკვეოდენ მდგომარეობაში და ყოველ ნაბიჯს სდგამდენ შეგნებულად.

დ. ლ—ძე.

# ამერიკის მუშათა დელეგაცია თბილისში

## დელეგაციის ჩამოსვლა

გუშინ, საღამოს, საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდა ამერიკის მუშათა დელეგაციის ერთი ჯგუფი, რომელშიაც შედის 7 კაცი: **ალბერტ კოილ** (ამერიკის რკინისგზელთა ყოველთვიურ ორგანოს „ლოკომოტივ ენჯენერ ჯორნალ“-ის რედაქტორი, ამერიკის კოოპერატივთა კავშირის მდივანი და დელეგაციის პირველი მდივანი), **ჯემს ფიპატრიკ** (ესტრადის მსახიობთა პროფკავშირის წარმომადგენელი), კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი **ჯორჯ კაუნსი** მეუღლით, იელის უნივერსიტეტის პროფესორი **ჯერომ დეივისი** მეუღლით, **ფრანკ აფკალმერ**.

დელეგაციას ახლავს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს წარმომადგენელი ამხ. **კრილოვი** და თარჯიმანი ამხ. **დუდკინი**.

დელეგაციის ეს ნაწილი 23 აგვისტოს მოსკოვიდან აეროპლანებით ჩამოფრინდა კავკავში, ხოლო გუშინ კავკავიდან ავტომობილებით ჩამოვიდა თბილისში. სულ ამერიკის მუშათა დელეგაცია დაიყო სამ ნაწილათ: დელეგაციის ერთი ნაწილი გაემგზავრა ურალზე, მეორე დონბასში და მესამე საქართველოში.

საქართველოში დელეგაცია დარჩება 26 აგვისტომდე და შემდეგ გაემგზავრება ბაქოში.

თბილისში დღეს დელეგაციის წევრები დაათვალიერებენ ზაჰესს, მცხეთას, თბილისის ფაბრიკა-ქარხნებს და გაეცნობიან ქალაქს.

## საუბარი ალბერტ კოილთან

დელეგაციის მდივანმა და საქართველოში ჩამოსულ ჯგუფის ხელმძღვანელმა **ალბერტ კოილმა** დელეგაციის წევრთა მიერ საბჭოთა კავშირში მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ ჩვენს თანამშრომელს გადასცა:

— ამერიკიდან წამოსვლისას ჩვენს დელეგაციას მოუხდა მრავალი დაბრკოლებათა გადალახვა. ამერიკის შრომის ფედერაციის ხელმძღვანელები და თვით ჩრ. ა. შ.-შ. პრეზიდენტი წინააღმდეგნი იყვნენ, რომ ჩვენ წამოვსულიყავით საბჭოთა კავშირში, მაგრამ სურვილი საბჭოთა კავშირის მშრომელების გაცნობისა ისეთი ძლიერია ამერიკის მუშათა კლასში, რომ ყოველ გვარი დაბრკოლებები გადალახული იქნა.

უკანასკნელათ სენატორ **ბორას** მეთაურობით ამერიკაში მოეწყო განსაკუთრებული კომიტეტი, რომელმაც შეაგროვა საჭირო თანხა ჩვენს გამოსამგზავრებლათ. ჩვენ თან წამოვიყვანეთ ექსპერტებათ ცნობილი პროფესორები, რომლებიც ყველაფერ აქ ნახულს უფრო სწორათ და მეცნიერული თვალით შეხედავენ.

როგორც დელეგაციის წევრები, ისე ექსპერტებიც, გაკვირვებული ვართ საბჭოთა კავშირში ნანახი ფაქტებით. ამერიკის მოსახლეობაში ისეთი შთაბეჭდილებაა შექმნილი, თითქოს აქ, საბჭოთა კავშირში არაფერი ახალი არ კეთდება, თითქოს ყველაფერს ანგრევდენ, საშინელი უწესრიგობაა და სხვა. ამერიკაში საკმაოთაა გავრცელებული ინგლისის პროფკავშირთა მიერ გამოცემული შრომა საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ, მაგრამ პრესა ისეთ აზრს ავრცელებდა, თითქოს ეს წიგნი დაწერილი იყოს გაბოლშევიკებული ინგლისელებისაგან და სხვა.

ამერიკაში ჩასვლის შემდეგ ჩვენ ვფიქრობთ გამოვსცეთ ცალკე წიგნებათ აქ შეკრებილი ყველა მასალები.

— როგორი აზრის ხართ თქვენ საკოსა და ვანცეტის დასჯის შესახებ?

— არა თუ ჩვენ, მე დარწმუნებული ვარ მთელი ამერიკის მუშათა კლასი აღშფოთებულია მათი დასჯით. ამერიკის მუშათა კლასმა იცის, რომ ისინი უდანაშაულონი იყვნენ. მაგრამ ამერიკის პროლეტარიატს და მშრომელებს ჯერ კიდევ არა აქვთ ისეთი პოლიტიკური წონა, ისინი კიდევ ვერ არიან ისე დარაზმული, რომ მათ შეეძლოთ ძლიერ მმართველ კლასზე გავლენის მოხდენა.

# რიონჰესის სამუშაოთა კონსულტაცია

(საუბარი პროფ. ვასილიევთან)

გუშინ, თბილისში ჩამოვიდა ცნობილი პროფ. ვლ. **ვასილიევი**, რომელიც მოწვეულია საქართველოში რიონჰესის ჰიდროტეხნიკურ სამუშაოთა შესამოწმებლათ. პროფ. ვასილიევი ითვლება საუკეთესო სპეციალისტათ ჰიდროტეხნიკაში; რიონჰესის გარდა, მას დავალებული აქვს დაათვალიეროს სხვა ჰიდრო - ელსადგურებიც, როგორც აჭარისწყალის ჰიდრო - ელსადგური, კამენკის სადგური (სომხეთში) და სხვ.

თავისი მომავალი მუშაობის შესახებ პროფ. ვასილიევმა ჩვენს თანამშრომელს გადასცა:

— მე ხვალიდანვე შევუდგები რიონჰესის სამუშაოთა გაცნობას. რამოდენიმე დღის შემდეგ მომიწევს სადგურის ასაგები ადგილის დათვალიერება, სადაც უნდა გავეცნო გვირაბის, მთავარი ჯებირის და მთავარი არხის გასაყვან ადგილებს. გარდა ამისა, დავალებული მაქვს სადგურის ამშენებლებს მივცე განმარტებები მთელ რიგ სხვა საკითხებზე.

რიონჰესის სამუშაოთა გაცნობის შემდეგ მოხდება აჭარისწყალის ჰიდრო - ელსადგურის დათვალიერება, ხოლო შემდეგ კი უნდა გავემგზავრო, თანახმად საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს დავალებისა მდ. მტკვარის შესასწავლათ წყალთა მეურნეობის თვალსაზრისით.

აღნიშნულ სამუშაოებზე ჩემთან ერთად იქნება პროფ. **საველიანსკი** და სხვა სპეციალისტი - ინჟინრები, რომლებიც ჩამოვლენ თბილისში სექტემბრის შუა რიცხვებში.

# საბჭოთა საქართველო

## დეპეშები

### გლეხთა ურთი-ერთ დამხმარე კომიტეტების მუშაობა

**ოზურგეთი,** 22 აგვისტო. გურიაში მუშაობს ერთი სამაზრო და 34 სათემო გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტი. წევრთა საერთო რიცხვი უდრის 7.415 (შარშან იყო 6.015), ქალების — 586 (შარშან იყო 410). მიმდინარე სამეურნეო წელში გლეხთა ულარიბეს მეურნეობებს მიეცა დახმარება უფულოთ — 1.542 მან. რაოდენობით. უძრავ - მოძრავი ქონების შესაძენად გაცემულ იქნა უპროცენტო სესხი 4.184 მან. რაოდენობით. გლეხკომების ხარჯზე სამომხმარებლო კოოპერაციაში წევრებად ჩარიცხულ იქნა 93 ღარიბი მეურნეობა; გლეხკომების წევრებად მიღებულ იქნა 70 მოჯამაგირე და 1.510 ულარიბესი გლეხი. დახმარება აღმოუჩინა სხვადასხვა სოფლებს — ხიდების, გზების, სკოლო შენობების, ბიბლიოთეკების აგების საქმეში, სულ 1.571 მან. რაოდენობით. შეძენილ იქნა მეორე ტრაქტორი. საწევრო გადასახადი შემოტანილ იქნა 95 პროც. რაოდენობით. ეხლა ყველა გლეხკომები ჩაატარებენ კომპანიას თხილის დასამზადებლად. (ადს)

### აგარაკი ახტალა

**სიღნაღი,** 22 აგვისტო. დიდი გამოცოცხლება ეტყობა აგარაკ ახტალას. ავადმყოფთა რიცხვი ამჟამად 1.200 აღწევს. აგარაკს სამსახურს უწევს სამი — ექიმი — სპეციალისტი.. (ადს).

### აჭარისტანი

### ნავთი ოსმალეთში

**ბათომი,** 22 აგვისტო. შესამჩნევი ხდება ნავთის ექსპორტის გაძლიერება ოსმალეთში ნავთსადგურში ათავებს დატვირთვას ოსმალეთის გემი „არსლანი", რომელსაც მიაქვს 50.000 ბიდონი, საბჭოთა ნავთი ანატოლიის სანაპირო ნავთსადგურებისათვის (რიზე, ხანი, ტრაპიზუნდი, კერასუნდი, სამსუნი და სხვ.) (ადს)

### „აზნავთ"-ის მესამე რეისი

**ბათომი,** 22 აგვისტო. ჰამბურგიდან ახლად დაბრუნებულმა საბჭოთა თბომავალმა „აზნავთ"-მა დაასრულა ნავთის პროდუქტებით დატვირთვა მესამე რეისისათვის. ამჟამად „აზნავთ"-ს მიაქვს 5.000-მდე ტონა მაზუთი ჰამბურგში.

პირველმა ორმა რეისმა გამოააშკარავა თბომავალის საუკეთესო სანაოსნო თვისებებს გარდა მისი ექსპლოატაციის ხელსაყრელობაც, რომელიც მიღებულია ფრახტის ხარჯზე. „აზნავთ"-მა არა თუ გამართლა მიმდინარე ხარჯები, არამედ მოიტანა რამოდენიმე ათას მანეთის სარგებელიც. (ადს)

### სამხრეთ-ოსეთი

### ცხინვალის ქალაქის საბჭო

**ცხინვალი,** 22 აგვისტო. სამხრეთ - ოსეთის ცაკის დადგენილებით, ეწყობა ცხინვალის ქალაქის საბჭო. დებულება უკვე დამტკიცებულია.

### ხიდი ლიახვზე

**ცხინვალი,** 23 აგვისტო. სამხრეთ-ოსეთის კომუნალური განყოფილება ადგენს პროექტს ხიდის ასაგებად მდ. ლიახვზე (სოფელ კეხვის ახლობლად). ეს ხიდი ჰემერტის მჭიდროდ დასახლებულ რაიონს შეუერთებს დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირს. (ადს)

## წერილები

### სოფ. წერაქვი, ბორჩალოს მაზრა

### გაჭირვებული სოფელი

**(მიწსახკომის საყურადღებოდ)**

სოფ. წერაქვი მივარდნილი და ჩამორჩენილი კუთხეა, ბორჩალოს მაზრაში. გლეხობა ღარიბია, მიწის სიმცირის გამო აქაური გლეხი ყოველწლიურად გადადის სამუშაოთ სხვადასხვა მაზრებში ლუკმა - პურის საშოვნელად.

წერაქველ ყველაზე უფრო შეძლებულმა გლეხმა წელიწადში რომ ექვსი თვის სარჩო მოიყვანოს, თავის მიწაზე, ეს დიდი საქმე იქნება. ყველაზე უფრო შეძლებული გლეხის მიწა არ აღემატება სამ დესეტინას, რაც მიწაა, ისიც უვარგისია.

აქაური გლეხები მთავრობისაგან თხოულობენ შემდეგს: ამ სოფელზე არის მოზომილი 100-150 დესეტინა ბუჩქნარი ტყე, რომელსაც აქაური გლეხობა „კუსტარნი" ტყეს ეძახიან. ამ ტყეს არავითარი საერთო მნიშვნელობა არ აქვს. გარდა ნახშირის დაწვისა და საშინაო შეშისა, აქაური გლეხობა თხოულობს, რომ მთავრობამ ნება დართოს ამ უვარგისი ტყის გაკაფვისა, რათა ცოტათი მაინც გაფართოებული იქნეს სამუშაო მინდვრის სივრცე, ვინაიდან ტყეტყეთ არ ვარგა და ამ ტყის ჩრდილით ხევებში ნათესი ჭირნახული ძლიერ ფუჭდება.

ამ სოფელს აქვს მეორე დიდი გაჭირვებაც, რომლის გახსენებაზე აქაური გლეხი კვნესით ამბობს: „სად ვიშოვნო". საქმე შემდეგშია. მთავრობას ამ სოფლისათვის მიუცია 300 ფუთამდე ხორბალი სესხად, ეხლა აგრონომი თხოვს გლეხობას ამ ხორბლეულობას. გლეხობამ არ იცის საიდან გადაიხადონ ეს ხორბალი და თხოულობენ მთავრობისაგან ამ სესხის ვადის გაგრძელებას.

წერაქვის გლეხობას წელს არ აქვთ შეძლება ამ სესხის გადახდისა. მოსავალი წელს აქ ცუდია.

ამ ხორბლის პატიების შესახებ, წერაქვის გლეხობას მიუმართავთ ამხ. ფ. მახარაძისათვის ქ. შაუმიანში ჩამოსვლის დროს, რომელსაც აღუთქვავს დახმარება.

**მ. კაზარიანი.**

### სოფ. ტობანიერი, ქუთაისის მაზრა

### სოფლის ახალგაზრდობის სკოლის გახსნა

ამ წელში ტობანიერის თემში იხსნება გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა. თემის მიერ სკოლის საჭიროებისათვის ამ ხუთი წლის წინად დაწყებულ დიდი შენობიდან, რომლის დამთავრება თემმა უსახსრობის გამო ვერ შესძლო, აღმასკომმა გამოყო შვიდი ოთახი და დაამთავრა. სექტემბრის ბოლო რიცხვებში შენობა ყოველმხრივ გამზადებული იქნება.

საკრედიტო ამხანაგობა და „სოფლის კავშირ"-მაც წელს კარგი უნარიანობა გამოიჩინეს. შაბიამანი და გოგირდით წელს არა თუ დააკმაყოფილეს ადგილობრივი მოთხოვნილება, სხვა რაიონებსაც რამდენიმე ასეული ფუთი გადაუგზავნა. კოოპერატივმაც მუშაობა გააცხოველა, ამ ორი თვის წინად გახსნა ფურნე, სადაც კარგი ხარისხის პური ცხვება და გირ. 9 კაპ. იყიდება, ასე რომ არ ყოფილიყო, ადგილობრივი ჩარჩები ტყავს გაგვაძრობდენ.

**ნ. ხანიკიძე.**

### სვირის თემი, ქუთ. მაზრა

### მადლობას უძღვნიან

სვირის თემში გვაქვს სოფლის ახალგაზრდობის სკოლა, სადაც მუშაობა კარგადაა დაყენებული. ამ სკოლამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა გლეხობაში, რომლის შვილები სათანადო ცოდნას ღებულობენ, როგორც მეურნეობის დარგში, ისე სხვადასხვა დაწესებულებების მუშაობაში: მოწაფეები სისტემატიურად მუშაობენ აღმასკომში, კოოპერატივში, ქ. სამკითხველოში და სხვაგან, სადაც დახმარებას უწევენ მოსამსახურეებს და ამავე დროს თვითონაც იწვრთნებიან ამ დარგში. 24 ივლისს სკოლამ მოაწყო ჩამორჩენილ მეურნის გასამართლება, რომელსაც უამრავი გლეხობა დაესწრო. გასამართლება კარგად ჩატარდა. გლეხები მადლობას უძღვნიან ასეთ მუშაობისათვის სკოლის ხელმძღვანელთ.

**ე. წაქაძე.**

## წერილებიდან

### თავასის თემი, შორაპნის მაზრა

### ნუ ჟლეტავთ თევზებს

მდინარე ძუსაში ბევრი თევზი ბუდობს, მაგრამ გლეხები მას ანადგურებენ წამლით, კირით, დინამიტით და სხვ. დიდი და პატარა თევზი მთლად წყდება. ასე თუ გაგრძელდა, მდინარეში თევზი მთლად მოისპობა. მართალია თევზების დაცვაზე არის განკარგულება სამაზრო აღმასკომის მიერ, მაგრამ ეს ქაღალდი ჩაკერებულია „საბუთებში" და თევზები კი ისპობა. აღმასკომმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს ამას.

**ბ. ცინაძე.**

### სოფ. კაჭრეთი, სიღნაღის მაზრა

### დაგვიარსეთ კოოპერატივი

გასულ წელს დადგენილი იყო, რომ 1926 წ. უნდა გაეხსნათ ზემოაღნიშნულ სოფელში კოოპერატივი, მაგრამ საქმე ჯერაც მოუგვარებელია. ზემოაღნიშნულ სოფელში 250 კომლი მცხოვრები არის. გლეხებს უხდებათ მეზობელ სოფლების კოოპერატივებში წასვლა, რომელიც 10—15 ვერსით არის დაშორებული ეს შორს არის, გლეხი ყოველთვის ვერ მიდის იქ და ხელში უვარდება ჩარჩ ვაჭრებს, რომლებიც ტყავს აძრობენ გლეხებს.

**საჭილაველი.**

### თიანეთი

### ჩარჩები უპატენტოთ ვაჭრობენ

სოფლად კოოპერატივი ჯერ კიდევ ძალზედ მოისუსტებს, რისთვისაც სოფლის მოსახლეობა ისევ ჩარჩების ხელშია. ამ მხრივ თიანეთის რაიონი, მით უმეტეს, მისი მთიანი ნაწილი. იმყოფება განსაკუთრებულ პირობებში. აქ ყველას შეუძლიან ივაჭროს რითაც უნდა, ამისათვის მას არავინ სთხოვს საჭირო ნებართვას. ესაა მიზეზი რომ ურიცხვი ჩარჩები დანავარდობენ ჩვენს რაიონში.

ვაჭრობისათვის საჭიროა „პატენტი", მე ვგონებ მილიციამ იცის, ეს, მაგრამ გასაკვირია, რატომ არ აქცევს ამას ყურადღებას. წარმოიდგინეთ უბრალო გაფრთხილებაც კი არ ეძლევათ მათ. მილიციასთან ერთად აღმასკომიც დაუდევრად ექცევა მათ.

**ალ. დოლიაშვილი.**

### ყაზბეგი, დუშეთის მაზრა

### გაზეთებს დროზე არ ვღებულობთ

სოფელ ყაზბეგში წერილების და გაზეთების დამატარებელი ძალიან ცუდათ იქცევა. ჟურნალ - გაზეთები და წერილები პატრონს წესიერად არ ბარდება. გლეხები ასე ამბობენ: „ჩემი გაზეთი ნახევარი იკარგება და ზოგჯერ კი 8 გვერდის მაგიერ, 4 გვერდი მოდის"-ო.

დამტარებელმა წერილების და გაზეთის იქიაქ ფანტვას თავი უნდა დაანებოს.

**შვილდ-ისარი.**

# მუშათა ცხოვრება

## საკო და ვანცეტი

შვიდი წელია იმათ წილად
მზე ჩაესვენა,
აღარც შუქს ჰფენდა საკანს ვერანს
სარკმლიდან მთვარე.
გულქვა ჯალათთა სიავკაცემ
არ მოისვენა,
და გვაგრძნობია კიდით-კიდეს
მშრომელთ სიმწარე.
მშრომელთა გული უსავანებს
დასჯილთა ხსოვნას.
მათი სახელი გამარჯვების
საწინდარია.
ბილწ მტარვალობას ზღვად დააფრქვევს
შხამს და სამსალას,
მშრომელთ ორგულებს დაატყდებათ
გლოვის ზარია.

**შაქრო ნავთლუღელი.**

## საწარმოო თათბირებს არ იწვევენ

ყველგან, როგორც პრესაში, აგრეთვე ადგილობრივ კედლის გაზეთებში და საერთოდ ჩვენს საერთო კრებებზე ლაპარაკია შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, წარმოების რაციონალურად მოწყობის აუცილებლობაზე, ფასების დაკლებაზე და სხვა. მაგრამ როგორც ვხედავთ საქმით ნაკლები ყურადღება ექცევა ყველა ამას. ეს სჩანს იქიდან, რომ ამ უკანასკნელ დროს კრინტიც აღარ ისმის საწარმოო თათბირების მოწვევაზე და მის მუშაობაზე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმოების რაციონალურად მოწყობის საქმეში და მუშის გათვითცნობიერებისათვის წარმოების საქმეში.

თუ კი საწარმოო თათბირები ეწყობა ქარხანა-ფაბრიკებში და მას თავისი ნაყოფი მოაქვს წარმოებისათვის, რატომ სდუმან ჩვენი მუშკორები, რატომ პრესაში არ აშუქებენ თავიანთ წარმოების ყოფა-ცხოვრებას, მის ავკარგიანობას. თუ არ ეწყობა საწარმოო თათბირები, რატომ ამაზე მაინც არ მიუთითებთ პრესის საშუალებით ფაბ-ქარხკომებს ან და პროფკავშირებს ნაკლის გამოსწორებაზე

მე ვფიქრობ, ჩვენი მუშკორების მოვალეობაა სააშკარაოზე გამოვიტანოთ ყველა ის, რაც წარმოების წინ მსვლელობას აფერხებს, მიუთითოთ ნაკლზე და მასთან, თუ კი მიღწევა აქვს წარმოებას, აუცილებლად გავაშუქოთ ჩვენს ცენტრალურ პრესაში.

**მუშკორი ვანო.**

## ელექტრონის მავთულები ძირს ეშვება

**(აღმასკომის საყურადღებოთ)**

ამატუნოვის ქუჩაზე (მერვე კომისარიატი) სახლი № 29 წინ ამართულ ზაჰესის ელექტრონის ბოძიდან ჩამოწყვეტილია ელექტრონის მავთული. მავთულის ცალი წვერი ძირს არის დაშვებული და ადვილი შესაძლებელია იმისაგან რაიმე უბედურება. ან ცეცხლის გაჩენა, ან ადამიანის მსხვერპლი. ასეთი შემთხვევა კიდეც იყო ამ ქუჩაზე რამოდენიმე დღის წინ მავთულს ხელი მოჰკიდა ბავშვმა, რომელიც შემთხვევით ამ ხელობის მცოდნე მუშამ გადაარჩინა. ეხლაც შესაძლებელია ასეთი უბედურება მოხდეს. მავთულები არ არის პატარა როლიკებით მიმაგრებული ბოძებზე, რის გამოც ქარის დროს მავთულები იჭიმება და წყდება. ამიტომ საჭიროა ამას დროზე მიაქციონ ყურადღება და შეაკეთონ, ვისი მოვალეობაც არის.

**ამბალი.**

## კარგი მუშა მადლობის ღირსია.

ხელოვნების მუშაკთა კავშირთან არსებობს აღმოსავლეთის მემუსიკეთა კოლექტივი. ამ კოლექტივს ჰყავს 70 წევრი. კოლექტივის თავმჯდომარეთ არჩეულია **მარტინ გარუნოვი,** რომელიც სამი წლის განმავლობაში არავითარ შრომის ფასს არ ღებულობს და განაგებს კოლექტივის საქმეებს. ის სინდისიერათ ასრულებს თავის მოვალეობას. მან მოაწყო სამკითხველო, გამოიწერა სამ ენაზე გაზეთები, დააზღვევა ყველა წევრი.

გარუნოვის მუშაობა მისაბაძია.

**ამბალი.**

## მომხმარებელს ცუდათ ექცევიან.

ლენინის უბანი ზაკტპო № 3-ში ხშირად აქვს ადგილი მომხმარებლების და თანამშრომლების შორის დავას. არ არის მომხმარებლებისადმი ზრდილობიანი მოპყრობა თანამშრომლების მიერ.

ზაკტპოს გამგეობამ ბოლო უნდა მოუღოს მომხმარებლებისადმი ცუდ მოპყრობას.

**მ. ღ. ტ—ლი.**

## დროა შეშაზე ვიფიქროთ

გასულ წლების გამოცდილებამ დაგვანახა, —რომ ზოგიერთი ფაბრიკა - ქარხნების ადგილკომები შეშის შეძენას მუშებისათვის დაგვიანებით იწყებდენ. სწორედ მაშინ, როცა ზამთარი მოახლოვდებოდა, და შეშის საკითხი მწვავე ხასიათს ღებულობდა. მასთან ფასებიც საგრძნობლად აწეული იყო და სწორედ მაშინ ურიგებდენ მუშებს ან შეშას ან და ფულს. ეს არანორმალური მოვლენა მუშებში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა (მხედველობაში მყავს ოპებაქოს ტრესტის ქარხნების მუშები).

წელსაც რომ ასე არ მოხდეს, საჭიროა ეხლავე შეუდგენ ადგილკომები პროფკავშირის და ტრესტის დახმარებით შეშის საკითხის მოგვარებას — ე. ი. შეშის დარიგებას მუშებისათვის ან და ეხლავე მოახდინონ ავანსების გაცემა შეშის საყიდლათ.

**მუშკორი მთვრ—ლი.**

## კურორტი წყალტუბო

**(მუშის შენიშვნა)**

კურორტი წყალტუბო ქუთაისიდან 12 ვერსის მანძილზე მდებარეობს. მისი თვისებების აღწერას მე არ შეუდგები, ვინაიდან წყალტუბოს აბანოები, როგორც სამკურნალო წყლები დიდი ხანია განთქმულია. თუ დღემდე ავადმყოფებს უჭირდათ მიმოსვლა გზის უქონლობის გამო, დღეს გაკეთებულია შოსეს გზა, სადაც დღეში 5—6 ჯერ დადის ავტომობილები, ეტლები და სხვ.

წარსულთან შედარებით კურორტს დიდი მიღწევები აქვს: შენობების შეკეთება, ელექტრო-სადგურის გაკეთება. ყველა შენობები და ქუჩები განათებულია ელექტრონის შუქით. აგრეთვე აშენებულია გიგიენური აბანო, სადაც ავადმყოფმა წინასწარ უნდა იბანავოს რომ ჭუჭყიანი არ ჩავიდეს საერთო სამკურნალო აუზში. გარდა ამისა, არის აგრეთვე ტალახის აბანო, მზის სხივების მისაღები.

სოცდაზღვევის კომიტეტის მიერ აგებულია დასასვენებელი სამ-სართულიანი სახლი, რომელიც შეადგენს 48 ოთახს. მოთავებულია და ხმარებაშია უკვე 32 ოთახი. ამ მოკლე ხანში მოთავდება დანარჩენი 16 ოთახი. ხსენებულ შენობაში ყოველთვიურად თავსდება არა ნაკლებ 200 კაცისა. თითო ოთახში მოთავსებულია ოთხი საწოლი. თუმცა ოთახები გათვალისწინებულია 2—3 კაცისათვის, მაგრამ რადგან ბევრია დაზღვეულები, უბინაობის გამო მოუმატეს. საწოლებს ერთობ სუფთად ინახავენ. უნდა ითქვას, რომ ხსენებული სახლი დაცულია სუფთად. სახლს აქვს საკუთარი სამრეცხველო. დაცულია დისციპლინა, როგორც მოსამსახურეთა შორის, აგრეთვე ავადმყოფებშიაც, რომლების დროც განსაზღვრულია მოსასვენებლად.

ხსენებულ დასასვენებელ სახლს ჰყავს განსაზღვრული შტატი. მოსამსახურენი იცვლებიან დღეში სამ რიგად. ვინაიდან მკვიდრად არის დაცული რვა საათის სამუშაო დღე. სასმელად ავადმყოფები სარგებლობენ გადადუღებული წყალით. მიუხედავათ ქვეშაგების სუფთად შენახვისა, აუცილებელი საჭიროა სოცდაზღვევის კომიტეტმა შეიძინოს სადეზინფექციო კამერა, რომელშიც უნდა გატარდეს საბნები და სხვა ქვეშაგებლები.

კურორტს ესწრება თვეში ავადმყოფები არა ნაკლებ 1.500 კაცისა. მიუხედავათ ამისა არავითარი კულტურული მუშაობა აქ არაა. კურორტს არა აქვს სამკითხველო. საერთოდ კულტურული მუშაობა სუსტია, კულტურული გასართობები ავადმყოფებისათვის.

კურორტს ჰყავს ოთხი ექიმი, მა თშორის ორი პროფესორი: ბაგატუროვი და ყიფშიძე. ექიმები: ხასკინი და ყიფიანი.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. კურორტ წყალტუბოს ეტანებიან ათასობით სხვადასხვა კუთხის სოფლებიდან გლეხები, რომლებსაც უხდებად ექიმებ[illegible] რჩევა-დარიგების მიღება. ხშირად აქვს ადგილი გაუგებრობას ექიმებსა და ავადმყოფებ შორის, რადგან პროფ. ბაგატუროვმა ერთი სიტყვა არ იცის ქართული ენა.

ასეთი მდგომარეობა ხდება ექ. ხასკინთანაც. ამის გამო იძულებული არიან ხშირად მოიწვიონ თარჯიმანი.

გარდა ამისა, პროფ. ბაგატუროვი მოიყოყოჩებს. ხშირად ის უხეშად ეპყრობა დაბალ მოსამსახურეებს .ამის შესახებ დირექციის მიერ იქნა მიცემული რამოდენიმეჯერ წინადადება და ოქმიც შეადგინეს, მაგრამ პროფესორი თავისას არ იშლის და თანაც მუქარით უპასუხებს ადმინისტრაციას. სწორად, რომ ვსთქვათ ბაგატუროვის მადლიერი არც დირექციაა და არც ავადმყოფები.

**მუშკორი ძია-ლევან**

## საყურადღებო წვრილმანი

**მხეცი მეღვინე გულადაშვილი.** ლენინის რაიონში, ნაზარეთის ქუჩაზე № 40 ვაჭრობს სანდრო გულადაშვილი, რომელმაც დაიჭირა მცირეწლოვანი ყმაწვილი ვალოდია სტვილია და ისე უმოწყალოდ სცემა, რომ დღესაც ავადმყოფობს. მიზეზი ის იყო, რომ ვიღაც ბიჭს მის დუქნიდან მოუპარავს რამოდენიმე ცალი კამფეტი, სწორედ იმ დროს ვალოდია სტვილია მოდიოდა სახლში, მხეც გულადაშვილმა მიმავალ ბავშვზე ეჭვი შეიტანა შეიტყუა დუქანში, წაართვა ხელში რაც ეჭირა და ცემა უმოწყალოდ. როგორც კვლევა-ძიებიდან გამოირკვა ბავშვი სრულებით უდანაშაულო გამოდგა.

**ლიაპისი.**

## მუშათა ქრონიკა

— **ავიაქიმის სასარგებლოდ** ხაშურის რკინის გზის საუბნო კომიტეტმა გაიღო 290 მანეთი.

— **საკლუბო მუშაობისათვის** სიღნაღის სამაზრო პროფბიურომ გამოითხოვა დოტაციის სახით საქართველოს პროფკავშირთა საბჭოდან 500 მანეთი.

— **კავშირში აღდგენა.** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის ც. გ. აღადგინა თავის უფლებებში კავშირის წევრთა რიგებიდან გამორიცხული მოქ. **ალხაზაშვილი.**

— **თვითმფრინავის ასაშენებლად** მიწა-ტყის კავშირის ცენტრალურ გამგეობამ გაიღო 50 მანეთი.

— **კავშირიდან გამორიცხვა.** როგორც კერძო წარმოების მონაწილე მოქ. დავითიანი საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის ც. გ. გამორიცხა კავშირის წევრთა, რიგებიდან.

## მესამე საგლეხო მომგებიანი სესხი

მესამე საგლეხო მომგებიანი სესხის რეალიზაციისათვის 600.000 მან. რაოდენობით ამიერკავკასიის სასოფლო - სამეურნეო ბანკმა ამ.-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატთან შეთანხმებით მოახდინა 400.000 მან. ობლიგაციების წინასწარი განაწილება ამ.-კავკ. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის საშუალებით. ზემოაღნიშნული თანხის ობლიგაციები ამგვარად იქნა განაწილებული: საქართველოს — 40 პროც. ანუ 160.000 მან., აზერბეიჯანს — 40 პროც. ანუ 160.000 მან., სომხეთს — 10 პროც. ანუ 40.000 მან., აფხაზეთს — 5 პროც. ანუ—20.000 მან., ნახიჩევანის ოლქს — 1,5 პროც, ანუ 6.000 მან., აჭარისტანს — 2 პროც. ანუ 8.000 მან., მთიან ყარაბაღს — 1,5 პროც. ანუ 6.000 მან.

ამ განაწილების მიხედვით, ამიერ - კავკასიის სასოფლო - სამეურნეო ბანკმა სათანადო ხელშეკრულება დადო რესპუბლიკანურ სას.-სამეურნეო ბანკებთან.

საქართველოს სას.-სამ, ბანკისა და სომხეთის სას.-სამ. ბანკისათვის ობლიგაციების თანხა განსაზღვრულია მათ განყოფილებებთან ერთად.

ამასთან ერთად ამ.-კავკ. სასოფლო - სამეურნეო ბანკმა რესპუბლიკების ყველა სას.-სამ. ბანკებს დაუგზავნა მიმართვა, რომ სასწრაფო ზომები იქნას მიღებული მესამე საგლეხო მომგებიანი სესხის რეალიზაციის კომპანიის ჩასატარებლად.

საჭირო საიგიტაციო მასალა, — პლაკატები, აფიშები, ფურცლები და სხვ., ადგილებზე იქნა დაგზავნილი რესპუბლიკების სათანადო ფინორგანოების საშუალებით.

ჯერ-ჯერობით ბრკოლდება მიღება იმ სააგიტაციო მასალისა, რომელიც უნდა გადათარგმნილიყო ადგილობრივ ეროვნულ ენებზე და სათანადო სამაზრო საფინანსო განყოფილებათა საშუალებით უნდა დაეგზავნათ საკრედიტო ამხანაგობებისათვის.

ამჟამად ეს მასალა ითარგმნება და მას ბეჭდავენ რესპუბლიკების ფინანსთა სახ. კომისარიატები.

საგიტაციო კომპანიის მიმდინარეობის შესახებ. ჯერ-ჯერობით მიღებულია შემდეგი ცნობები: წინასწარი მუშაობა ჩაატარა აზერბეიჯანის სასოფლო - სამეურნეო ბანკმა, რომელმაც აგიტაციის მიზნით გამოიყენა დაბალი საფეხურის წარმომადგენელთა თათბირი, მოწვეული ბანკის მიერ დამზადების საკითხის შესახებ, ყველა სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს დაეგზავნა ცირკულიარული წერილი; ეს წერილი გადათარგმნილი იქნა თურქულ ენაზე ბროშურის სახით.

აჭარისტანის სას.-სამეურნეო ბანკმა 9 სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობასთან უკვე დასდო ხელშეკრულება მესამე საგლეხო მომგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციის შესახებ.

ცნობები ადგილებიდან მოწმობენ, რომ გლეხობამ საკმაოდ შეიგნო ეხლანდელი სესხის მნიშვნელობა და მიზანი, და იგი მზად არის საერთო სახელმწიფო სალაროში შეძლების დაგვარად შეიტანოს თავისი წვლილი მესამე საგლეხო სესხის ობლიგაციების შესყიდვის გზით: გლეხობამ მტკიცედ შეიგნო, რომ ამ საშუალებით შეგროვილი თანხა მოხმარდება ჩვენი სასოფლო მეურნეობის აღდგენისა და გაძლიერების საქმეს, და ამასთანავე გაამაგრებს საბჭოთა კავშირის ძლიერებას.

**ა. კარახანიანი.**

# პარტგანათლება ახალ სამოსწავლო წელში

### საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის ყველა უჯრედებს

მომავალ 1927-28 პარტიულ-სამოსწავლო წელში, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დირექტივის თანახმად, სავალდებულო პარტსწავლების პრინციპი დაწესებულია მხოლოდ პირველი საფეხურის პოლიტსკოლის პოლიტცოდნის შემკრებული სკოლის მიმართ (პარტიის წევრებისა და კანდიდატებისათვის, რომელთაც არ აქვთ ამ სკოლის კურსის ცოდნა). პარტიის წევრები და კანდიდატები, რომელთაც პოლიტმომზადება აქვთ პირველი საფეხურის პარტსკოლის ფარგლებში, ნებაყოფლობითი პრინციპის მიხედვით ჩაირიცხულ იქნებიან პარტგანათლების სავალდებულო ქსელში (მეორე საფეხურის პარტსკოლა, უმაღლესი საბჭოთა პარტსკოლა, ლენწრეები, საგნობრივი წრეები, დაბალი საფეხურის პარტაქტივის პრაქტიკული მომზადების კურსები და მიმდინარე პოლიტიკის წრეები).

კომკავშირელები, რომელნიც ერთსა და იმავე დროს არიან პარტიის კანდიდატები და წევრები და რომელნიც თავისი მომზადების მიხედვით უნდა ჩაირიცხონ პარტქსელის პირველი საფეხურის პარტსკოლაში, უნდა სწავლობდენ პარტიის და არა კომკავშირის ხაზით. ახალგ. ლენინური კომკავშირის წევრნი, რომელთაც პოლიტმომზადება აქვთ ახალგ. ლენ. კომკავშირის პოლიტგანათლების სავალდებულო მთლიან სისტემაზე მეტ ფარგლებში, ნებაყოფლობითი პრინციპის მიხედვით ჩაირიცხულ იქნებიან არასავალდებულო პარტიული ან კომკავშირის განათლების ქსელის სათანადო სკოლებში.

პარტსწავლების არასავალდებულო პრინციპი უნდა განვიხილოთ ისე, რომ ყოველ პარტიულ წევრს და კომკავშირელს თავისუფლად შეუძლია ამოირჩიოს სწავლების ფორმა იმის შემდეგ, როცა ის ჩარიცხული იქნება ამა თუ იმ სკოლაში, წრეში, რეგულიარული დასწრება მეცადინეობაზე წლის ბოლომდე სავალდებულოა.

ყველა ანბანის უცოდინარი და წერა-კითხვის მცირეოდნად მცოდნე პარტიულები თავისუფალნი არიან პარტსწავლებისაგან და სავალდებულო წესით ჩაირიცხებიან სათანადო ლიკსკოლებში, რომელნიც ეწყობა თბილისის პოლიტგანის ხაზით. კონტროლი ლიკსკოლაში მეცადინეობაზე დასწრებისათვის. სავსებით ეკისრება კომუჯრედებს.

მომზადება სამოსწავლო წლისათვის უჯრედებმა უნდა ჩაატარონ შემდეგი წესით:

1) პარასკევს, 26 აგვისტოს ჩატარებულ უნდა იქნას კომპარტიის და კომკავშირის უჯრედთა გაერთიანებული სხდომები შემდეგი დღის წესრიგით: 1) პარტ. და კომკავშირის 1926-27 სასწ. წლის განათლების შედეგები, 2) მორიგი ამოცანები და პარტ. და კომკავ. განათლების ქსელის გაფართოების წესი. (მომხსენებლები უნდა იყვენ უჯრედებისა და ახალგ. ლენ. კომკავშირის მდივნები, ან აგიტპროპორგანიზატორები).

რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების საუჯრედო კრებების მოწვევამდე მოხდება კომპარტიის და კომკავშირის უჯრედების მდივნების და აგიტპროპორგანიზატორების საინსტრუქციო თათბირი პარტგანათლების ქსელის გაფართოების საკითხის განსახილველად (თათბირის მოწვევის დრო დამატებით იქნება გამოცხადებული). 2) მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებისათვის, როგორც სავალდებულო და ისე არასავალდებულო პარტგანათლების ქსელში ჩასარიცხი პარტიულებისა და კომკავშირელების პოლიტმომზადების ხარისხის გამორკვევისათვის, უჯრედებთან არსდება კომისია უჯრედის აგიტპროპორგანიზატორის მდივნის და ერთი, ან ორი პოლიტიკურად მომზადებული პარტიულის შემადგენლობით უჯრედთა ბიუროს დანიშნებით.

უშუალო ხელმძღვანელობას და თვალყურის დევნებას საუჯრედო კომისიების მუშაობაზე რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ანხორციელებს სპეციალურად გამოყოფილი პროპაგანდისტების საშუალებით.

3) ახალგ. ლენ. კომკავშირის წევრნი, რომელთაც პოლიტმომზადება აქვთ ახალგ. ლენ.კომ. პოლიტგანათლების სავალდებულო ქსელზე კომკავშირის პირველი საფეხურის პოლიტსკოლა) მეტ ფარგლებში, მათი სურვილისა და პოლიტმომზადების დონის მიხედვით ჩაირიცხებიან პარტგანათლების როგორც სავალდებულო ისე არასავალდებულო ქსელში. ამიტომ ახალგ. ლენ. კომკავშირის უჯრედებმა აუცილებლად თავის დროზე უნდა წარადგინონ სათანადო კომუჯრედებში იმ კომკავშირელთა სიები, რომელნიც პარტქსელში უნდა ჩაირიცხონ.

კომკავშირელთა პოლიტმომზადების დონის გამორკვევას და მათ დანაწილებას სხვადასხვა ტიპის სკოლებში აწარმოებს კომისია კომპარტიის უჯრედთან, ახალგ. ლენ. კომკავშირის უჯრედის მდივნის მონაწილეობით.

4) პარტქსელში გადაცემულ პარტიულებისა და კომკავშირელების პოლიტცოდნის დონის გამორკვევა ხდება პოლიტსკოლების დამთავრების, პირადი ცოდნის მიხედვით კომისიის წევრების მიერ და პოლიტსკოლებზე ამხანაგური საუბრის საშუალებით.

5) პარტიულებისა და კომკავშირელების კვალიფიკაციური სიები, რომელთაც კომისიები გადასცემენ პარტქსელში, სდგება შემდეგი ფორმით:

1) გვარი, სახელი, მამის სახელი, 2) პარტ. და კომკავშირის სტაჟი; 3) პოლიტმომზადება (დაამთავრა ესა თუ ის სკოლა, ან მომზადება აქვს ამა და ამ პოლიტსკოლის ფარგლებში), 4) საერთო განათლება, 5) რომელ პოლიტსკოლაში, წრეში უნდა ჩაირიცხონ და 6) რომელ ენაზე სურს სწავლა.

სიებში უნდა აღინიშნოს დღის თუ საღამოს იგზავნება ესა თუ ის ამხანაგი.

6) პოლიტსკოლაში ჩასარიცხ ამხანაგთა სიები დაუგვიანებლად უნდა იქნას წარდგენილი შემდეგ ვადებში.

ა) პირველი საფეხურის პარტსკოლაში ჩასარიცხ ამხანაგთა სიები 5 სექტემბრისათვის.

ბ) მეორე საფეხურის პარტსკოლებში, უმაღლეს საბჭოთა პარტიულ სკოლებში, ლენწრეებში, საგნობრივ წრეებში ჩასარიცხ ამხანაგთა სიები—15 სექტემბრისათვის.

7) პარტგანათლების ქსელის გაფართოება ქალაქის რაიონში მოხდება შემდეგ ვადებში:

ა) პირველი საფეხურის პოლიტსკოლის—10-დან 20 სექტემბრამდე,

ბ) მეორე საფეხურის პოლიტსკოლისა და უმაღლეს საბჭოთა პარტიული სკოლის—21-დან 30 სექტემბრამდე.

გ) ლენინიური წრეები ოქტომბრის პირველ ნახევარში.

დ) საგნობრივი წრეები 16-დან 30 ოქტომბრამდე.

ე) ძირითადი პარტაქტივის საქმიანი. მომზადების კურსები 15 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე.

ამ სკოლებისა და წრეების დანიშნულ ვადაზე გახსნის შემდეგ ანალოგიური წრეების მოწყობა აღარ მოხდება.

8) მიმდინარე პოლიტიკის წრეები ეწყობა ვადების გარეშე, მაგრამ მათი გახსნა უნდა შეუფარდდეს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საჭირბოროტო მომენტებს.

9) პარტგანათლების საერთო ქსელის გაშლასთან ერთად, მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების ხაზით ეწყობა ქალების პირველ დაწყებითი პოლიტწრეები იმ მუშა ქალებისა და მუშების ცოლებისათვის, რომელთაც არა აქვთ პოლიტმომზადება პარტგანათლების ქსელის 1 საფეხურის პარტსკოლაში ჩასარიცხავად. მოსამზადებელი მუშაობა ამ წრეების მოსაწყობად ტარდება უჯრედების მიერ ქალთა ორგანიზატორების აქტიური მონაწილეობით.

ქალების პირველდაწყებითი პოლიტწრეები იხსნება 16-დან 30 ოქტომბრამდე. ამ წრეებში მეცადინეობის მსურველთა სიები უნდა წარედგინოს მუშა და გლეხ ქალთა აგიტპროპგანყოფილებას არა უგვიანეს 10 ოქტომბრისა.

10. უჯრედების წერა-კითხვის უცოდინართა და მცირე მცოდნე პარტიულ ამხანაგობის პროფხაზით სათანადო ლიკსკოლებში ჩასარიცხად, ფაბქარხკომებმა უნდა გადაგზავნონ აგრეთვე მათი სიების ასლი მუშა და გლეხ ქალების აგიტპროპგანყოფილებაში არა უგვიანეს 20 სექტემბრისა.

11 პარტგანათლების ქსელის გაშლის დროს აუცილებელია ყველა ტიპის სკოლებსა და წრეებში პარტიულ აქტივთან ერთად უპარტიოების მიზიდვაც დაახლოვებით შემდეგი ნორმის ფარგლებში:

ა) 1 საფეხურის პარტსკოლაში 30 პროცენტამდე;

ბ) 2 საფეხურის პარტსკოლაში—25 პროცენტამდე;

გ) 2 საფეხურის უმაღლეს საბჭოთა პარტსკოლაში—25 პროც.,

დ) ლენინურ წრეებში—20 პროც.,

ე) აგიტატორების და მიმდინარე პოლიტიკის წრეებში უპარტიოები არ ჩაირიცხებიან.

მსურველების გამორკვევისა და უპარტიო აქტივის წრის შედგენას პარტგანათლების ქსელში ჩასარიცხად აწარმოებს ფაბქარხკომები. მათი პოლიტმომზადების ხარისხის გამორკვევა და სხვადასხვა ტიპის სკოლებში განაწილება მათი სურვილისა და მომზადების მიხედვით სწარმოებს უჯრედების კომისიები. [illegible] (მუშა და გლეხ ქალების აგიტპროპგანყოფილებაში უპარტიოთა სიები წარდგენილ უნდა იქნეს პარტიულების სიებთან ერთად და მათი ფორმის მიხედვით).

12. ადგილებზე მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება და პოლიტგანათლების ქსელის განვითარება ლ. ახ. კომკავშირმა უნდა აწარმოოს კომუჯრედების უშუალო აქტიურ მონაწილეობით და ხელმძღვანელობით. ლ. ახ. კომკავშირის უჯრედებთან არსებულ საკვალიფიკაციო კომისიებში კომუჯრედებმა უნდა გამოჰყონ თავისი წარმომადგენელი.

1927—28 წლის პარტიულ სწავლების წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ, ჯერ ერთი, რამდენად სერიოზულად მოეკიდებიან კომუჯრედები პარტსკოლებში და წრეებში პარტიულების და კომკავშირელების ჩაბმას, მეორე—რამდენად თავის დროზე აღრიცხავენ და სწორად გაანაწილებენ სკოლის ტიპების მიხედვით პარტიულებს და კომკავშირლებს, რომელთა შორისაც უნდა იქნას წარმოებული პარტსწავლება, მესამე—რამდენად მჭიდრო კავშირს დაამყარებენ სკოლებთან და მიაღწევენ იმას. რომ პოლიტსკოლების მსმენელებმა რეგულიარულად იარონ მეცადინეობაზე.

ამიტომ რაიონული კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა უჯრედებს განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრონ წინასწარი მუშაობის ჩატარებას პარტგანათლების ქსელის განვითარებისათვის.

**რაიკომის პ. გ. მდივანი მორჩილაძე.**
**რაიკომის საგიტ-საპროპ. გან. გამგე ფუნტაკოვი**

# რა მდგომარეობაა დღეს ზაჰესში

### დღეს შესრულდა ორი თვე ზაჰესის საზეიმო გახსნიდან

## ყველაფერი თავის რიგზეა

### საუბარი ინჟ. მელიქ-ფაშაევთან

— უკეთესი, რაც მე შემიძლია ვსთქვა ზაჰესის ამ ორი თვის „იუბილეს" გამო,—დაიწყო ამხ. მელიქ - ფაშაევმა, — ეს ისაა, რომ მე თითქმის, არაფერი მაქვს სათქმელი.

ზაჰესი სავსებით ნორმალურად მუშაობს, მან გაამართლა ჩვენი მოლოდინი. არაფერი განსაკუთრებული სადგურზე ამ ორი თვის განმავლობაში არ მომხდარა და, რა თქმა უნდა არ მოხდება არც მომავალში.

როგორც თქვენ იცით, ზაჰესის მიმღებმა კომისიამ, ისეთი დიდი ავტორიტეტის მეთაურობით, როგორიც პროფ. **სუშკინია,** სავსებით მოიწონა ზაჰესი და აღნიშნა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილობრივი ნაკლი, რომელიც ეხება იმდენად არა თვით სადგურს, მისი განხორციელების გეგმას, არამედ მასალას. ამ დეფექტების ლიკვიდაცია — სულ ახლო მომავლის საქმეა.

ზაჰესში ყველაფერი თავის რიგზეა; სადგურს ყოველ წუთში შეუძლია მიიღოს ყოველნაირი დატვირთვა, რომელიც მისი ძალოვნების ფარგლებს არ სცილდება.

ჩვენი ყურადღება ეხლა უმთავრესად გადატანილი უნდა იქნეს რიონჰესზე. ჩვენ ყოველნაირი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ეს ჩვენი მეორე ნაბიჯი, ისეთივე წარმატებით დამთავრდეს, როგორც პირველი.

## ზაჰესის ელექტროდენზე გადაყვანა თითქმის დამთავრებულია

### საუბარი ტელასის სუსტი ელექტროდენის განყოფილების გამგე ინჟ. ანდრონიკაშვილთან

— თბილისის ქსელის აბონენტების ზაჰესის ელექტროდენზე გადაყვანა ამჟამად თითქმის უკვე დამთავრებულია, — უთხრა ჩვენს თანამშრომელს ინჟ. **ანდრონიკაშვილმა,** რომელიც ხელმძღვანელობს ამ საქმეს. დარჩა მხოლოდ აბონენტების ერთი ნაწილი პლეხანოვის პროსპექტზე, რომელიც დაკავშირებულია მე-2 სადგურთან და ამავე სადგურის მოტორიანი აბონენტები. ამათ გარდა,ზაჰესს არ შეერთებიან აგრეთვე მე-8 სადგურის მოტორიანი აბონენტები და ს. მ. უ. ს. წარმოებები, რომლებიც რუსთაველის პროსპექტის რაიონში და სოლოლაკშია. ეს იმით აიხსნება, რომ მათ ჯერ კიდევ არ მიუღიათ მოტორები ზაჰესის ელექტროდენისათვის. უახლოეს თვენახევრის განმავლობაში ეს მოტორები უნდა მივიღოთ თბილისში და ვფიქრობთ, რომ ოქტომბრის დასაწყისში ყველა ეს წარმოებებიც გადავლენ ზაჰესის დენზე. თბილისში ჯერ - ჯერობით კიდევ მუშაობს არტოს ერთი კერძო სადგური, რომელიც ჯერ მხოლოდ ნახევრადაა განტვირთული. მაგრამ ახლო მომავალში მოხდება მისი ლიკვიდაციაც.

ერთი კვირის წინად ჩვენ გავანათეთ არსენალის რაიონი. ქალაქში ამჟამად განათებულია ყველა ქუჩები, ზოგიერთი ჩიხის გამოკლებით პლეხანოვის პროსპექტზე. ამ ჩიხებში ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას დავსოთ ბოძები, ვინაიდან მანძილი მოპირდაპირე სახლების კედლებს შორის იმდენად ვიწროა, რომ კიდევ რომ ბოძებით დავიკავოთ ის, მაშინ ხანძრის გაჩენის დროს, სახანძრო რაზმის მანქანები ველარსად გაივლიან. ასეთი ჩიხებისათვის ჩვენ გვინდა მოვიგონოთ განათების სხვაგვარი საშუალება — ლამპებს ჩამოვკიდებთ ჰაერში გაყვანილ მავთულებზე.

რაც შეეხება ბინების განათებას, — აბონენტებს უნდა ახსოვდეთ, რომ ზაჰესის ელექტროდენი აქამდე მათ ეძლეოდათ თითქოს სახინჯათ. იმ ბინებს, რომლებშიაც ელექტრო - გაყვანილობა არ გადაკეთებულა ზაჰესის დენზე გადასასვლელად იმ ნორმების თანახმად, რომლებიც ელექტრო - ტეხნიკური ყრილობის მიერ იყო დაწესებული, ზაჰესის ელექტროდენი არ მიეცა მათ, სანამ არ შეასრულებენ ამ მოთხოვნილებებს.

კერძო მობინადრეებს უკვე ვაცნობეთ ჩვენ, რომ რაც შეიძლება მოკლე ხანში გადააკეთონ თავიანთი გაყვანილობა.

## სოფელი და ზაჰესის დენი

პირველ რიგში ზაჰესის ელექტროდენის გაყვანა განზრახული იყო თბილისის ახლო მდებარე ოთხ სოფელში: ქვემო - ავჭალაში, ზემო-ავჭალაში, გლდანში და სოფელ მცხეთაში.

გლდანში ზაჰესი ამ დღეებში გაანათებს გლეხის ქოხს. მოსამზადებელი მუშაობა იქ თითქმის დამთავრებულია. დასობილია ბოძები და მზადაა გაყვანილობა. გლეხებს ელექტროდენი მიეცემათ ქალაქთან შედარებით ცოტა უფრო დაკლებული ტარიფით. ასეთივე მდგომარეობაა ზემო-ავჭალაშიც.

რაც შეეხება სოფელ მცხეთას, იქ ქუჩების განათების მოწყობა და ქსელის გაყვანა დამთავრებულია. შენდება სატრანსფორმატორო ბუდკა, რომელიც მზად იქნება ოქტომბრის ბოლოსთვის.

ნოემბრის შუა რიცხვებში მცხეთა მიიღებს ელექტროდენს.

ნოემბერშივე შეუერთდება ზაჰესის დენს ქვემო-ავჭალაც.

## 10.000 სანთლიანი სანათური

თბილისის აღმასკომის წინ, თავისუფლების მოედანზე დადგმულმა 10.000 სანთლიანმა უზარმაზარმა სანათურმა დაასრულა თავისი სამსახურის ვადა და გადიწვა — ის მოხსნეს.

მიუხედავათ ამისა ტელასს განზრახული აქვს შეაკეთოს ის თავისი ძალებით. რემონტი უკვე დაიწყეს.

არის იმედი, რომ ოქტომბრის ზეიმისათვის ეს სანათური კვლავ გაანათებს.

## ზაჰესი მუშაობს

ზაჰესის ჩვეულებრივი დღე არა ნაკლებ საინტერესოა, ვიდრე ის ზეიმი, რომელიც ამას წინად იქნა ჩატარებული მისი გახსნის გამო.

ეს ვეებერთელა წარმოება უწინარეს ყოვლისა გვაოცებს მისი მოსამსახურე პერსონალის სიმცირით. ზაჰესის მეორე უბანში, სადაც ძირითადი ყოველდღიური მუშაობა მიმდინარეობს, სულ 35 კაცი მუშაობს. აქ ამჟამად პირველი უბნიდან გადმოტანილია ყველა დამხმარე დაწესებულებები, კლუბი და კინო - ეკრანიც კი გაშლილ ჰაერზეა მოწყობილი. საღამოობით ამ ეკრანის წინ იკრიბება თავისუფალი მოსამსახურეები.

დღიური დატვირთვა, ეგრედწოდებულ საცხოვრებელ მოთხოვნილებათათვის, ჯერ-ჯერობით ზაჰესს არ აქვს. მისი მთავარი მუშაობა იწყება საღამოს 8 საათიდან, — როცა თავდება მოსამსახურეთა უმრავლესობის სამუშაო დღე და მორიგეობას იწყებს ღამის შეცვლა, რომელიც შესდგება მორიგე ტეხნიკოსებისა, მექანიკოსებისა და ინჟენერისაგან. ღამით ზაჰესში მუშაობს 5 — 6 კაცი. ერთი მათგანი არის ტურბინებთან, ერთი — გენერატორებთან, ერთი სამანქანო განყოფილებაში, ინჟენერი ათვალიერებს სადგურის განყოფილებებს და, ბოლოს, ერთიც ზაჰესის „წმიდათა წმინდაში" — ოთახში, სადაც პულტებია მოთავსებული. ამ პულტებზე, მარმარილოს დაქანებულ მაგიდებზე მოთავსებულია მრავალი გამზომი აპარატი, რომლებიც სადგურის ყველა ნაწილებთანაა შეერთებული. საკმარისია ერთხელ შეხედოთ ამ აპარატებს, რომ გამოარკვიოთ, თუ როგორ მუშაობს ესა თუ ის ნაწილი. სრული სიწყნარეა, გაისმის მხოლოდ მონოტონური ნელი ხმაური: ეს ტრილის ხელსაწყოები. ხმიანი სიგნალიზატორებია, რომლებიც გვამცნობენ, როგორ მუშაობს ზაჰესის თვითეული გენერატორი. თუ ეს მონოტონური ხმაური შეიცვალა, — ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც რიგზე ვერ არის.

ზაჰესის ღამის დატვირთვა ნახევარ - ტურბინას არ აღემატება — დაახლოვებით 3.500 კილოვატს. როცა თბილისის ტრამვაის სადგური დამთავრდება და ის ზაჰესის დენზე გადავა, ეს დატვირთვა 500 კილოვატით გაიზრდება. საგრძნობლად გაადიდებს დატვირთვას აგრეთვე თბილისის რკინისგზის კვანძის ელექტროფიკაცია.

ხანდახან ზაჰესის ელექტროდენი სწყდება ერთი წამით. ეს ხდება ან ჭექა - ქუხილის დროს, როცა ზეთის ამომრთავები ამორიცხავენ ხოლმე ქსელს იმ მიზნით, რომ ის არ დააზიანოს ელვამ, ანდა შეწყვეტა აიხსნება იმით, რომ მავთულზე დაჯდა რომელიმე ფრინველი. ფრინველი იმ წამსვე უსულოდ ეცემა მიწაზე. ზაჰესის დასაცავად ფრინველების ასეთი ვიზიტებისაგან, ბოძებზე დაიდგმება განსაკუთრებული დამცველი ბადეები. ასეთ ბადეებს ამ მიზნით ყველგან ხმარობენ საზღვარგარეთ.

**ნ.**

# ცხენის-წყალის ნაპირების გამაგრება

თბილისში დაბრუნდა საქართველოს წყალთა მეურნეობის მიერ ცხენის-წყლის ნაპირების გამოსაკვლევად გაგზავნილი პარტია, რომელმაც გამოიკვლია მდინარის მარჯვენა ნაპირი.ცხენის წყალი სათავეს ღებულობს ზემო-სვანეთში და შუა ადგილის, 30 ვერსის სიგრძეზე ის ხშირად გადმოვა ხოლმე ნაპირებიდან და ლეკავს მთელ რიგ ახლო მდებარე სოფლებს. განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს ამ მდინარის ადიდება უმთავრესად მის მარჯვენა ნაპირზე—სამტრედიამდე მცხოვრებ მოსახლეობას. დაიწყება თუ არა თოვლის დნობა სვანეთის მთებზე (მაისიდან აგვისტომდე) მთელი ზაფხულის განმავლობაში, ცხენის წყალი გადმოდის ნაპირებიდან, იჩენს ახალ კალაპოტს და მთელ სოფლებს ლეკს ხოლმე. მაგალითად 1922 და 1923 წ. ადიდებულმა ცხენის წყალმა წალეკა რამდენიმე სოფელი (ხობა და სხ.) ასე რომ მოსახლეობა იძულებული გახდა აყრილიყო ამ ადგილებიდან. საქართველოს წყალთა მეურნეობას განზრახული აქვს მდინარის ნაპირების საფუძვლიანად გამაგრება და მისი ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. ეს საქმე დიდ ხარჯებს მოითხოვს და ის შეტანილია საქართველოს წყალთა მეურნეობის ხუთწლიან გეგმაში. უკვე რამდენიმე წელია, რაც ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირზე მცხოვრები გლეხები ებრძვიან ამ მდინარის ადიდებას, მაგრამ უბედურების თავიდან ასაცილებლად მარტო გლეხების ბრძოლა არ კმარა. აქ საჭიროა ფუნდამენტალური საინჟინერო მუშაობა. საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველომ გადასწყვიტა აუცილებლად დაიწყოს ცხენის-წყლის ნაპირების გამაგრება. თუ რამდენად დიდ საფრთხეს წარმოადგენს ამ მდინარის ადიდება გლეხების ავლა-დიდებისათვის, მოწმობს აგრეთვე ისიც, რომ ყველა სოფლებში მდინარის მარჯვენა ნაპირზე მთელ ზაფხულის განმავლობაში დღე და ღამე მორიგეობენ სპეციალური დარაჯები, რომლებიც მუდამ თვალყურს ადევნებენ მდინარეს და მოულოდნელად ადიდების საფრთხის შემთხვევაში, აფრთხილებენ მოსახლეობას.

ჯებირის აგება სოფ. გეზათთან

სურათზე—გლეხების მიერ შესრულებული მუშაობა ცხენის წყალის ნაპირების გასამაგრებლად: ნაპირიდან დაცილებული, ბოძებზე დამაგრებული ეგრედწოდებული „დეზი", რომელიც ნაწილობრივ იცავს ამ ადგილს მდინარის ადიდებისაგან.

# ნათესების მდგომარეობა

აგვისტოს პირველ ნახევარში, როგორც წინათვეშიაც, ადგილი ჰქონდა ნიაღვრებს და სეტყვას, უმთავრესად შორაპნის. სენაკის; ქუთაისის; გორის, თბილისის, დუშეთის, სიღნაღის და თელავის მაზრებში, აფხაზეთში და სამხრეთ-ოსეთში.

აღნიშნულ მაზრებში ნიაღვრებმა და სეტყვამ საგრძნობლად დააზარალა ნათესები, ვენახები და ხეხილის ბაღები.

თავთავიანი პურეულის შეგროვება ყველგან დამთავრებულია, გარდა მთიან რაიონებისა. სიმინდის ნათესების მდგომარეობა გაუარესდა, განსაკუთრებით ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებში და აფხაზეთში.

დანარჩენი ნათესების მდგომარეობა 15 აგვისტოსათვის შემდეგ სურათს იძლევა: ბამბა—3.2 ნიშანი. თამბაქო—2;0. ვენახები 2,3 ხეხილის ბაღები 2.4.

ბამბის ნათესების მდგომარეობა პირველ აგვისტოსთან შედარებით გაუარესდა 10 პროცენტით. გაუარესდა აგრეთვე თამბაქოს პლანტაციების მდგომარეობა; მათი მდგომარეობა ეხლა საშუალოზე ნაკლებია.

რამოდენიმეთ გაუარესდა ვენახების (6.6 პროცენტი) და ხეხილის ბაღების (3.3 პროცენტი) მდგომარეობა

# ცეკავშირის ინსტრუქტორთა ყრილობა

10 სექტემბრისათვის დანიშნულია ცეკავშირის ინსტრუქტორთა ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ძირითად სამომხმარებლო ქსელის მდგომარეობა და რაიონის ინსტრუქტორთა მუშაობა 1926-27 წ. პირველ ნახევარში, 2) საორგანიზაციო მუშაობის მორიგი ამოცანები, 3) სამომხმარებლო კოოპერატივების საქონლით მომარაგების მეთოდები, 4) ფასების დაკლების შედეგები და მუშაობის გაღრმავების მეთოდები ამ დარგში, 5) კოოპერატივის რევიზია და საინსტრუქტორო გამოკვლევა, ანგარიშწარმოების საკითხები, 6) სამომხმარებლო კოოპერატივის სამუშაო გეგმა და ინსტრუქტორული ხელმძღვანელობა ამ დარგში, 7) კოოპერატიული ქსელის მშენებლობა, 8) გამგეობის დამხმარე ორგანოები და მათი მუშაობის გამოცოცხლების მეთოდები, 9) კულტ - მუშაობის ამოცანები და მეთოდები, 10) ინსტრუქტაჟი, მისი მეთოდები და ინსტრუქტორის მუშაობის რაციონალიზაცია.

# საქართველოს ცაკში

### დახმარება მუშათა კლუბს

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ თავისი სპეციალური სახსრებიდან სამტრედიის რაიონის მუშათა კლუბს გადასცა 300 მანეთი კულტურული მუშაობის გასაძლიერებლად.

### სუბსიდია გლეხკომებს

სრ. საქართველოს ცაკის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ თავისი სპეციალური სახსრებიდან გადასცა თბილისის სამაზრო გლეხკომს 200 მანეთი საორგანიზაციო მუშაობის გასაძლიერებლად.

### დახმარება თვითმფრინავ „ახალი სოფელს"

სრ. საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ თავისი სპეციალური საშუალებებისაგან საქართველოს სახკომსაბჭოს გამოწვევით გადასცა გაზეთ „ახალი სოფელს" 100 მანეთი, თვითმფრინავ „ახალი სოფლის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად.

# სას.-სამ. გადასახადი

1927 წ. სასოფლო - სამეურნეო გადასახადით დასაბეგრ ობიექტების აღნუსხვისა და გადამხდელთათვის სპეციალურ საგადასახადო ფურცლების დარიგების კამპანია საქართველოში დაიწყო ა.-წ. მაისში.

ამჟამად ყოველგვარი წინასწარი სამუშაოები ჩატარებულია თითქმის ყველა მაზრებში.

გადასახადის გამოანგარიშებისა და საგადასახადო ფურცლების დარიგების ვადა გაგრძელებულია 1 სექტემბრამდე.

როგორც ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, საქართველოს ფინსახკომში, გორის მაზრაში უკვე შეუდგენ გადასახადის აკრეფას, იქ ჯერჯერობით შეკრებილია 300 მანეთამდე.

წრევანდელ გადასახადის აკრების თელავის, სიღნაღის და დასავლეთ საქართველოს მაზრებში განაცხადეს საქართველოს ფინსახკომში— ხელს შეუშლის ის სტიქიური უბედურებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა იქ.

საერთოდ გლეხობა კმაყოფილია გადასახადის გაწერის სისტემით.

# მეფუტკრეობა

მიწად - მოქმედების კომისარიტმა გლეხებისათვის მეფუტკრეობის შესასწავლად წელს მეფუტკრეობის კურსები გახსნა თბილისში და მის მაზრაში — ნორიოში, მეაბრეშუმეობის სადგურებთან. ორივე კურსები დაასრულა 32 გლეხმა, რომლებიც ჩამოსული იყვნენ სხვადასხვა მაზრებიდან.

კურსებს ხელმძღვანელობდენ მიწსახკომის მეფუტკრეობის ინსპექტორი პ. ლოლაძე და ინსტრუქტორი ყანჩაველი, ლაბორანტი ქალი—ქავრიშვილი და ერისთავი. ასეთივე კურსები შარშან დაასრულა 33 გლეხმა, ამჟამად საქართველოში არის 65 მეფუტკრე გლეხი, რომლებიც კურსებზე მიღებულ ცოდნას უნაწილებენ გლეხებს და საერთოდ ხელმძღვანელობენ მეფუტკრეობის საქმეს მაზრებში.

# სახკომსაბჭოში

### ზარალის გამორკვევა

აფხაზეთის მოსახლეობისათვის წყალდიდობისაგან მიყენებული ზარალის გამორკვევა დაევალა სპეციალურ კომისიას. —

### ტირიფონის არხი

სახკომსაბჭოს - განმწესრიგებელმა სხდომამ საჭიროდ სცნო მიეცეს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს 100.000 მან. კრედიტი ტირიფონის არხის გადაუდებელ სამუშაოთა საწარმოებლად.

### მედიკამენტების შემოზიდვა

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ საჭიროდ სცნო ეთხოვოს ა. კ. სახკომსაბჭოს მისცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ლიცენზია 200.000 მან. ღირებულების მედიკამენტების შემოსაზიდად.

### რადიოთი სარგებლობის უფლება

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ ნება მისცა განათლების სახალხო კომისარიატს ისარგებლოს რადიოთი ხამეცნიერო მიზნით. ამასთან ერთად დაევალა მას შეადგინოს რადიო გადაცემის პროგრამა და გეგმა საქართველოს ფარგლებში.

### გზატკეცილების სიების შესახებ

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ მოიწონა ა. კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს პროექტი იმ გზების სიების შესახებ, რომელნიც შეტანილ უნდა იქნეს საკავშირო მშენებლობის გზების სიაში.

### შვებულება ამხ. ვაშკლევიჩს

ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ვაშკლევიჩს მიეცა ერთი თვის შვებულება აგვისტოს 22-დან. მისი მოვალეობის შესრულება დაევალა ინჟ. პეგუშინს.

# დახმარება გლეხობას

უკანასკნელმა დიდმა წვიმებმა და ნიაღვრებმა დიდად დააზარალა სასოფლო მეურნეობა, როგორც ჩვენში, ისე ა.-კავკასიის სხვა ადგილებში.

სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო სისტემა დაზარალებულ მეურნეობათა აღსადგენად იღებს პრაქტიკულ ღონისძიებებს: გაგრძელებულია გაცემული სესხების ანაზღაურების ვადა, გლეხობას აწვდიან ახალ გრძელვადიან სესხს და სხვ.

ა.-კ. სასოფ. სამ. ბანკმა ახალქალაქის სასოფ. სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას —5.000 მანეთის რაოდენობით გაცემულ სესხის გადახდის ვადა გაუგრძელა ერთი წლით.

კერძოდ საქართველოს სასოფ. სამ. ბანკმა გასცა განკარგულება სტიქიისაგან დაზარალებულ გლეხებისათვის ვალის გადახდის ვადების გაგრძელების შესახებ, ამასთანავე ახლო, ხანში მიღებულ იქნება რეალური ზომები, დაზარალებულ მეურნეობათათვის კრედიტების მისაწოდებლად.

# ქრონიკა

### ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ხსნის საავადმყოფოებს, სამალარიო სადგურებს, საექიმო პუნქტებს და სხ.

ქალაქ ქუთაისში ამ დღეს მოეწყობა სასწრაფო დახმარების სადგური. გორის და ბორჩალოს მაზრაში და სამხრეთ - ოსეთში გაიხსნება სამალარიო სადგურები.

თბილისში იმავე დღეს გაიხსნება ფსიქონევროლოგიური დისპანსერი და ბოროტმოქმედთა ფსიხოლოგიის შესასწავლი კაბინეტი. დაიწყება აგრეთვე თვალის სნეულების სამკურნალო ინსტიტუტის შენობის აგება.

მაზრებში გაიხსნება აფთიაქები, ვენეროლოგიური დისპანსერები და სხვ.

### საბინაო მშენებლობის ფონდი

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ რესპუბლიკებს შორის გაანაწილა საბინაო მშენებლობის ფონდი, რომელიც დაარსდა ა. კ. სავაჭრო და საკრედიტო წარმოებების მიერ 1926 წლის პირველ ოქტომბრამდე ღებულ ანარიცხებიდან.

სულ განაწილებული იქნა 85.313 მანეთი: აზერბეიჯანს მიეცა 38.391 მანეთი ანდა 45 პროც., საქართველოს—34.125 მანეთი 40 პროც. და სომხეთს—12.797 მანეთი—15 პროც.

### „საქართველოს ჩაი"

საზოგადოება „საქართველოს ჩაის" ამჟამად აქვს ჩაის 6 ფაბრიკა, რომლებიც ყოველწლიურად ამუშავებენ ორ მილიონ 600 ათას გირვანქა ჩაის ფოთოლს

საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს მომავალ წლიდან ააგოს კიდევ ოთხი ახალი ფაბრიკა ქარხნები აგებული იქნება: გურიაში, აჭარისტანში, სამეგრელოში და აფხაზეთში.

### საბეითლო-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა საბეითლო-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, გაფართოების მიზნით, კობის ქუჩიდან გადაიტანა ვაკეში, სამ სართულიან შენობაში სადაც ლაბორატორიის გარდა მოეწყო ლაბორატორიის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინები. ლაბორატორია უმთავრესად ამზადებს ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო შრატს.

### თბილისის აღმასკომში

◆ **ზოოლოგიური ბაღის მოსაწყობად** წინასწარი მუშაობის ჩატარების მიზნით თბილისის აღმასკომმა გადასდო 300.000 მან.

◆ **ახალი ხიდები.** კეთილმოწყობის განყოფილებამ [illegible] და ორთაჭალაში მდ. მტკვარზე ახალი ხიდების ასაგებად.

◆ **ქუჩის გაფართოება.** კომუნალურ ქუჩის გასაფართოებლად აღმასკომმა გადასდო 16.000 მან.

◆ **ავჭალის წყალსადენი** დღე-ღამეში ქალაქს აწვდის 1.500.000 ვედრო წყალს.

◆ **კახეთის მოედანზე** სადაც უმთავრესად თავს იყრის სოფლებიდან ჩამოსული გლეხობა, აღმასკომი დგამს ხმამაღლა მოლაპარაკე რადიო აპარატს.

◆ **ტრამვაის ახალი ვაგონები.** ტრამვაის დირექცია სექტემბრის პირველ რიცხვებში მოსკოვიდან მიიღებს ტრამვაის 20 ახალ ვაგონს.

### ჯანსახკომში

◆ **საზღვარგარეთ მივლინება.** ბერლინში, სანიტარულ კურსებზე, ჯანსახკომმა მიავლინა ექიმი **მარუაშვილი.**

◆ **კბილის საექიმო ტეხნიკუმში** 1927—28 წელს მიიღებენ მხოლოდ 40 კაცს. განცხადების მიღება უკვე დაიწყო.

◆ **დახმარება.** ახალციხის საავადმყოფოს დახმარების სახით მიეცა 15.000 მან.

◆ **აეროპლანი „ახალი სოფლის"** ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად ჯანსახკომმა გადასცა 100 მან.

◆ **პედაგოგიური ლაბორატორია.** თბილისში ახლო ხანში გაიხსნება პედაგოგიური ლაბორატორია.

### ფ. ტ. კომისარიატში

◆ **ქარხანა ფ. ტ. კომისარიატმა** გადასწყვიტა თბილისში მოაწყოს ფ. ტელეგრაფის დაწესებულებებისათვის საჭირო მასალების დამამზადებელი ქარხანა.

◆ **სახლის აგება.** ა. კ. ფ.-ტ. კომისარიატი თავის საჭიროებისათვის თბილისში აგებს სახლს.

### შრომის კომისარიატში

◆ **ამხ. ბურკოვის გამგზავრება.** საქ. შრ. სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო დარგის მთავარი ინსპექტორის ამხ. ბურკოვი გუშინ გაემგზავრა მოსკოვს.

◆ **გამოკვლევა.** შრომის დაცვის განყოფილება დღეს თბილისის მაზრაში აგზავნის შრომის ინსპექტორების ჯგუფს შრომის პირობების გამოსაკვლევად.

◆ **ხელფასის გადიდება.** შრომის კომისარიატის დადგენილებით მანგლისის ელსადგურის მუშებს ხელფასი გაუდიდდებათ 10 პროცენტით.

◆ **მოჯამაგირეთა შრომის პირობების** გამოსაკვლევად კომისარიატმა ბორჩალოს მაზრაში,—მიავლინა შრომის მთავარი ინსპექტორი **მიროტაძე.**

### წითელ ჯვარში

◆ **წითელ ჯვარის საზოგადოების** და ნახევარ მთვარის აღმასკომის სესია შესდგება 20 სექტემბერს თბილისში.

◆ **დამხმარე წრეები.** წითელი ჯვარის საზოგადოებამ გადასწყვიტა მაზრებში წელს გახსნას პირველ საექიმო დახმარების ახალი 60 წრე.

### განათლების კომისარიატში

◆ **სახ. უნივერსიტეტის** აგრონომიული ფაკულტეტი გადატანილია ყოფ. სემინარიაში.

◆ **მოსწავლეთა რიცხვი.** გასულ სამოსწავლო წელში თბილისის სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი უდრიდა 36.713 კაცს.

◆ **კურსები.** 1 სექტემბერს გაიხსნება სკოლის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურსები.

### სხვადასხვა

◆ **მუშკოოპის პასაჟში** არსებული კაფე იხურება. კაფე მოწყობილი იქნება სხვა დარაბაში რუსთაველის პროსპექტზე.

◆ **თბილისის კომუნალურმა ბანკმა** ახალციხეში გახსნა თავის განყოფილება.

◆ **„საქართველოს ღვინო".** სოხუმში ხსნის თავის განყოფილებას.

### შემთხვევები

◆ **გვამის აღმოჩენა.** 23 აგვისტოს ხოჯევანქის ეკლესიის უკან რკინის გზის ლიანდაგზე იპოვეს უცნობი მამაკაცის გვამი.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 23 აგვ. გაქურდეს ანდრო მელაშვილის ბინა. (მარტყოფის ქუჩა № 8).

◆ **სურფ-კარაპეტის აღმართზე** სიმთვრალის გამო გზაში დაძინების დროს იოსებ ნადირაძეს მოპარეს ვერცხლის ქამარი, ფათები და ოთხი მან. ფული.

◆ **ბოქლომის შემტვრევის** საშუალებით 23 აგვისტოს ელისაბედის ქუჩა № 26 პავლე გაგნიძის ბინიდან მოიპარეს 230 მანეთის ნივთები.

◆ **შეპყრობა.** 23 აგვისტოს ქურდობისათვის შეიპყრეს სერგო გოგიაშვილი.

◆ **ზვინების დაწვა.** სოფელ წინწყაროში [illegible] ისაგულოვს დაუწვეს 3 ზვინი თივა.

◆ **დაჭრა.** სოფ. სამშვილდეში, აღბულაღის რაიონში, ერივანე დანიელიმ წალდით მძიმედ დასჭრა თავისი ცოლი ლიმო. დამნაშავე შეიპყრეს.

◆ **ვერცხლის საათი.** ცენტრალურ ბაზარში ერასტო ვარნიძეს მოპარეს ვერცხლის საათი.

◆ **ხორბლის დაწვა.** 23 აგვისტოს სოფ. ამბოკში (აღბულაღის რაიონი) დიმიტრი ფეოდოროვს დაეწვა კალოზე მიტანილი 200 ფუთი ხორბალი და 120 ფ. ქერი. ზარალი უდრის 618 მან.

### ხელოვნება

◆ **ბოშურ სიმღერების საღამო.** დღეს მედსანშრომის კლუბში **იუდინის** მონაწილეობით გაიმართება ბოშურ სიმღერების საღამო.

◆ **ბალეტი.** 26 აგვისტოს მედსანშრომის კლუბში გაიმართება პრიმა-ბალერინა, ვიქტორიას საბალეტო საღამო.

◆ **თეატრის შეკეთება.** ამჟამად სწარმოებს რუსთაველის თეატრის რემონტი.

### დღეს კინოებში

**დარბაზში** — „სკარამუშ"
**ეთერში** — „ცრუ ატორნეი"
**პალასში** — „ტანკრედი და კლორინდა"
**მინიონში** — „ზელლა დონნა"
**აპოლოში** — „სკარამუშ".

# საკო და ვანცეტი

მილიონების
პროტესტის ხმები
მოადგა გულს ვით
დაღვრილი შხამი;
განწირულია
ძვირფასი ძმები,
სდგას მოლოდინში
ელექტრო სკამი.
უკანასკნელი
სიცოცხლის ღამე
მოდის ელვით
და გიდრკებათ მკერდი;
ჰქრება ბრძოლების
ტკბილი სიამე,
გეხვევათ თავზე
სიკვდილის ღვედი.
ხედავთ წუთები
სწრაფად მიდიან,
უეცრად დაგკრავთ
ელექტროდენი;
ყაჩაღთ ქვეყანა
თქვენთვის ბინდია,—
მიგაქვთ მწუხრი და
ტანჯვა იმდენი.

მიხვალთ, გეშორდებით,—
შორს კი ღალადებს
ბნელ სასამართლოს
შენობის ქვანი;
საკო, ვანცეტი,
ელვით დაგდაღეს,
გიღმუით ციხის
ცივი საკანი.
ეხლა ხართ მხოლოდ
დამწვარი ფერფლი,
ხსოვნაში მარად
დაუვიწყარი;
არ გენათება მზის
ცხელი ღველფი,—
მანდ ამერიკის
ღრუბლებში მდგარი.
შვიდი წელი კი!—
შვიდ საუკუნეს
გაუძლის როგორც
სიკვდილის ქროლას,
ქვეყანა ძველი
დაიგუგუნებს
მოვლენ, გეტყვიან:
„დაიწყო ბრძოლა".

**ვარლამ ჟურული.**



აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. მემედ გოგიბერიძის და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს წევრის ამხ. სპირიდონ ფოფხაძის გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი ესკადრილიის „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს"-ს ფონდის გასაძლიერებლად და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: დავით ხარაბაძეს, გიორგი ქავთარაძეს, მიხეილ სტეფანოვს, დავით ბზიავას, ჩაჩბას, რომან შომახიას, შალვა დადიანს, ჭიჭიკო იმედაძეს, მიხაკო მეგრელიძეს. ჩხიკვაძე - სვირსკის, ალია ჩეჩელაშვილს, სერიოჟა ქავთარაძეს, ნოე ჭინჭარაძეს, გედეონ გაბუნიას, როინიშვილს, ნიკოლოზ მიქელაძეს, დიმიტრი მიქელაძეს, გრიშა ქორქაშვილს, ლევან ულენტს, გრიშა აბაკელიას, აფთონ კალანდაძეს, სერაპიონ კაკაბაძეს, პლატონ ჯიქიას, ვანიჩკა კანდელაკს.

**გონდო წულუკიძე.**

—:—

ამხ. ილარიონ თულაძეს გამოწვევით შემომაქვს „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: დათიკო იოსელიანს, შუქრი ჯოჯუას, ტარიელ გეგეჩავას, ეპიფანე ძიძიგურს, ზინა ხორავას, გერმანე გაგუას, კოსტა გაგინავას, გალაქტიონ გუდავას ვალოდია ქავთარაძეს, აკაკი აბულაძეს, ჭიჭიკო ჩხიკვიშვილს, დიმიტრი კილასონიას, ბეგლარ ჩაგუნავას, სევერიან კაკაიას, პარმენ გაგუას, ტრიფონ ფირცხალავას, ერმინე გვილავას, ალექსანდრე პერტაიას, დომენტი საბახტარაშვილს, მიხა ფარულავას.

**აკაკი დგებუაძე.**

—:—

კოწია ორჯონიკიძის გამოწვევით შემომაქვს „თბილისის პროლეტარიატი"-ს სასარგებლოდ 3 მანეთი და ვიწვევ: შურა კვაჭაძეს, კოწია აბრამიძეს, რომან მუმლაძეს, ქეთო სუხიშვილს, საშა ფორჩხიძეს. გრიგოლ ფხაკაძეს, აბო საყვარელიძეს, საშა გამცემლიძეს, ქეთო ფერაძეს, ლავრენტი აზნიანიძეს, საშა ხუსკივაძეს, ნინო ცქიტიშვილს, დათიკო მაჭავარიანს, გრიშა ულენტს და გიგა ჯულელს.

**თამარ ლავთაძე.**

—:—

ამხ. მელიტონ ყურუულიანის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს სასარგებლოდ შემომაქვს 6 მანეთი და ვიწვევ ალექსანდრე ლუკას ძე ჟორდანიას, დავით ლუარსამიძის ძე ყიფიანს, ვასილ პეტრეს ძე კოკოჩაშვილს. დარიკო იამანიძისას, მასტრიდია ბოჭორიშვილისას, აგრაფინა კვიციანიძისას, ლოლა კუჭავასას, ლეო იმნაძისას, ანეტა ცაგარელისას, ციცინო მაკაროვისას, ექიმ მიშა მინდიაშვილს, ფილიმონ შათირიშვილს, შალვა გოგიას, ილია მანდარიას, სერგო ბახტაძეს, მარუსია ჩხენკელს.

**ევგენია ჩახუნაშვილისა.**
**ალექსანდრე ჩახუნაშვილი.**

—:—

ამხ. ალ. ჩიჩინაძის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ: ივანე ბუაჩიძეს, ივანე ცინცაძეს, კარპეზ ბერიძეს, ტერენტი ვეფხვაძეს, საშა მიხაილოვს, ლავრენტი აბზიანიძეს, საშა ხუსკივაძეს, გალაქტიონ აბესაძეს, პავლე კვანტრიშვილს, გრიშა შანიძეს, ალექსანდრე ერიქოვს, ვარლამ ლექვინაძეს.

**თ. მანჯავიძე.**

—:—

ალექსანდრე ნიჟაძის და კოწია ორჯონიკიძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს სასარგებლოდ 3 მანეთი და ვიწვევთ: ჟორჟიკ მიქაძეს, სიმონ ურუშაძეს, გიორგი ისიდორეს ძე ქიქოძეს, ილია კვირკველიძეს, კატუშა ცერცვაძეს, ლადო ფერაძეს, ლავრენტი ფერაძეს, ლეო ნიორაძეს, კალისტა ბარათაშვილს, კოლია ლავთაძეს ვალერიან თუთბერიძეს, ქეთო მხატვრიშვილს, ალექსანდრე კეთილაძეს, დათიკო მაჩიტაძეს, თეოდორე კაპანაძეს, ბესარიონ ძნელაძეს, ირაკლი ჯორჯიშვილს, ვალიკო არევაძეს, გრიგოლ ციციშვილს, ნიკო მიქაძეს, ნიკო თაბუკაშვილს, ალექსანდრე შჩეპანსკის, კოწია, ნიორაძეს, გიორგი ქურდოვანიძეს, შალვა ქიქნაძეს, გიორგი ზუმბაძეს, კოლია ბარამიძეს, იაკინთე ცეცხლაძეს, კირილე კვირკველიძეს, დიტო მგალობლიშვილს და შალიკო ჩანტლაძეს.

**ირაკლი ილიას ძე ფერაძე.**

—:—

ამხ. აკაკი გაგუას გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ლავრენტი ზარქუას, იაკობ დიხამინჯიას, პართენ დიხამინჯიას, ანტონ დიხამინჯიას, ტარასი ცეკვავას, ვარლამ ცეკვავას, ალექსანდრა ცეკვავას ასულს, პეტრე ზარქუას, სტეფანე კარტოზიას, ვარლამ ბალათურიას, ვლადიმერ დიხამინჯიას, დიმიტრი დიხამინჯიას, გრიშა ხუხუნს, სანდრო ქადარიას, ესტატე მიშველიას, ფუშა ძაძაძის ასულს, იასონ ჯავახიას, ლევან ჯავახიას, საშა გვასალიას ასულს, ბაგრატ გოროზიას, ელპიტი სართანიას ასულს, კაპიტონ კარტოზიას, კოკი ცეკვავას, ალექსანრე სისოს ძე ცეკვავას, რაჟდენ ცეკვავას, მიშა ცეკვავას და ამხ. იოსებ გაბრგანჯიას.

**ტრიფონ პავლეს ძე მიქავა.**

—:—

ამხ. ვლადიმერ მანჯგალაძის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ: ნესტორ სორდიას, კოლია ჯიქაშვილს, პარმენ ხურცილავას, ვარლამ შელიას, იაკობ თითიმერიას, აქვსენტი აშლოთიას, მიხა ლაგვილავას, რაჟდენ გახარიას, კალისტრატე შენგელიას, დომენტი ქირიას, იოსებ ბუბუტეიშვილს და აქვსენტი შონიას.

**ალექსანდრე ლუკავა.**

—:—

ამხ. მიშა ნარსიას გამოწვევით შემომაქვს „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად ხუთი მანეთი და ვიწვევ: ნესტორ კაკუბერს, სევერიან წოწონავას, საშა ჩიქოვანს, ბაბუცა ხაინდრავას ასულს, ნინუცა მიქავას, მიხა ჭოჭუას, პლატონ კოკიას, სევერიან მიქავას, სამსონ წოწონავას, რაჟდენ ყურუას, მიხა ჯახუას, ივლიანე ბარათულს, კოსტა ქუთელიას, ანდრო გიორგის ძე დიხამინჯიას, თედორე დიხამინჯიას.

**სამსონ დიხამინჯია**

—:—

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად ერთი მანეთი და ვიწვევ: როსტომ აბაშიძეს, სერგო სირაძეს, ლელიკო ჯაფარიძეს, ვალოდია კეთილაძეს, პეტრე კაციტაძეს, ჯაჯია თოდაძეს, აგრაფინა გაბაძეს, გრიშა ნადირაძეს, ივლიანე ხვედელიძეს, ნესტორ სამხარაძეს, ნინა კავთელიძეს, ყარამან ცხადოშვილს, სერგო ქურცაძეს, ქაჯაია გივის, ნადირაძეს კოწიას, წერეთელი გიგუშას, გველესიანი პაზუს, ცომაია ივანეს, ერგემლიძე ვანოს, მიშა გოგორიშვილს, ილუშა მარკოზიას, ხოშტარიას, შალიკო აბრამიშვილს, მიხა ლომიძეს. გოგია დემეტრაშვილს, ნინა ცაბაძეს, ირაკლი ლაბაძეს, შიხომ ულენტს, ვალიკო ფირცხალის და ნინა გაბაძეს, ელენა გაბაძეს, მანია ფალავანდიშვილს, პოლიკარპე გაბაძეს, მიშა აბჟანდაძეს,

**კოლია აბჟანდაძე**

—:—

ამხ. აკაკი გაგუას გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ: კონსტანტინე ჟუჟუნიანს, დავით ჭკადუას, მიხეილ პირველს, სევერიან ნოველიანს, ეგნატე გაბილიანს, ვარლამ გელოვანს, დავით კოპალიანს, ილარიონ კოპალიანს, ვალიკო გუგავას, ვარლამ მახარობლიძეს, ევსევი ახვლედიანს, ტიტე ფირცხალავას, გიორგი წივწივაძეს, აკაკი იმნაძეს, ნიკოლოზ ორაგველიძეს, გერასიმე გაფრინდაშვილს, იერემია არაბიძეს, ივანე გვილავას, კლემენტი გაბუნიას, ვლადიმერ გაბუნიას, დაროთე უჩანეიშვილს.

**ონოღის შვიდწლედის გამგე ვას. ჯიქია.**

—:—

ამხ. გრიშა ქელიძის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ ამხანაგებს: კონსტანტინე კუტავას, აკაკი ჯაიანს, ალექსანდრე ლეფონავას, პოლიკარპე ვაშაკიძეს, იოსებ ჩიჩუას, გრიგოლ მამულიას, ალექსანდრე ხოშტარიას, ივანე ლომაიას, ელიზბარ ხუხუას, ესტატე ბერაიას, კალისტრატე გახარიას. ნესტორ სიჭინავას, იასონ ბულისქირიას, ეპიფანე ვარდოსანიძეს, ბეგლარ მუშკუდიანს, კონსტანტინე კოტიას, სპირიდონ ცანავას, გრიგოლ ხასიას, ნოე მაშავას, ირაკლი ცომაიას, სევასტი ხუროძეს, ჯოტო კვირკველიას, კოლია ჩხეიძეს, ლევან კოპაძეს, შალიკო მამალაძეს, აკაკი სართანიას, კოლია ვორონოვს. თეოფანე ხუჭუას, გრიგოლ იოსების ძე ქვარაიას.

**ხაიშის ფ. ტ. სააგენტოს გამგე კონსტანტინე დიმიტრის ძე სიმონია.**

—:—

სულ დღემდე შემოვიდა 6.850 მან. 62 კაპ. და ერთი მაჯის ოქროს საათი.

# ბრძოლა წყალდიდობასთან

წყალთა მეურნეობის სამმართველომ შეიმუშავა გეგმა და ხარჯთ - აღრიცხვა სამეგრელოში წყალდიდობასთან ბრძოლისათვის, პირველ რიგში განზრახულია შეუდგენ მდ. ინგურის ნაპირების გამაგრებას შამგონ - დარჩელს შორის.

ამ რაიონში უკანასკნელი დიდი ნიაღვრებისა და წყალდიდობის დროს ინგურის შენაკადებმა ძლიერ ადიდდენ და გააღრმავეს თავისი კალაპოტები. ერთ ადგილზე მდინარე ენგური გადავიდა მახლობელი მდინარის კალაპოტში, და წყალმა დაფარა 1 კვად. კილომეტრი. ვინაიდან მომავალი ნიაღვრებისა და წყალდიდობის დროს მოსალოდნელია რომ ინგურის შენაკადები ერთმანეთს შეუერთდეს, რის გამო შესაძლებელია სრულებით წაილეკოს შამგონ-დარჩელის რაიონი,—წყალ. მეურნ. სამმართველომ გადასწყვიტა ამ თავითვე შეუდგეს განსაკუთრებით საფრთხილო ადგილების გამაგრებას მდ. ინგურზე შამგონ - კოკის და დარჩელის რაიონში.

წინასწარი გამოკვლევით სამუშაოების ჩასატარებლათ გამოთხოვილია 5.000 მანეთი. ყველა საფრთხილო ადგილების გასამაგრებლათ კი საჭირო იქნება რამოდენიმე დიდი ჯებირის აგება. ყველა ჯებირების ასაგებათ გამოთხოვილია 30.414 მანეთი.

წინასწარ სამუშაოთა დამთავრება ნავარაუდევია 30 დღის განმავლობაში.

# კალატოზების სიმცირე

ამჟამად თბილისში სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა სახლების ასაგებათ. თითქმის ყოველ მთავარ ქუჩაზე და უბანში შენდება სახლები. ასეთი არაჩვეულებრივი აღმშენებლობის გამო დიდი მოთხოვნილებაა კალატოზებზე. ვინაიდან კალატოზების რიცხვი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, საზ-ბა „სამშენმა" აღძრა შუამდგომლობა შრომის კომისარიატის წინაშე კალატოზებისათვის 10 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ, სათანადო ჯილდოს მიცემით. კალატოზების სიმცირის გამო საზ-ბა „სამშენი" იძულებულია უარი სთქვას ახალი სამუშაოების აღებაზე, რაც თავისთავად იწვევს სხვა ხელოსნების უმუშევრობას.

# აბრეშუმის თესლი

საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახკომისარიატთან არსებულმა თათბირმა საჭიროთ იცნო ამიერ - კავკასიაში თესლის დამზადების შემცირება. მომავალში თესლის დამზადება უნდა შემცირდეს 220.000 კოლოფით: საქართველოში 85.000 კოლოფით, სომხეთში 60.000 კოლოფით და აზერბეიჯანში 75.000 კოლოფით.

თათბირმა გადასწყვიტა აგრეთვე კოლოფ თესლზე ფასები დაუკლოს 2 მან. 50 კაპეიკამდე.

# რკინისგზებზე

### ახალგაზრდა ინჟინერები

გზათა კომისარიატმა, ყველა რკ. გზების გამგობებს წინადადება მისცა, შტატების შემცირების დროს არ შეამოკლონ საექსპლოატაციო დარგის ახალგაზრდა ინჟინერები.

### საქმისადმი ცუდად მოპყრობისათვის

ბაქოს სახელოსნოს სავაგონო პარკის ხელოსანი პოკროვსკი უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ძალიან გულგრილად ეკიდებოდა დაკისრებულ საქმეს.

პოკროვსკის მიერ საქმისადმი გულგრილად მოპყრობამ გამოიწვია რამოდენიმე უბედური შემთხვევა. მათ შორის აღსანიშნავია უკანასკნელად ცისტერნის ღერძის გატყდა, რამაც გზას მიაყენა 4.000 მან. ზარალი.

შემთხვევებთან მებრძოლ საგზაო კომისიის დადგენილებით პოკროვსკი გადაყენებულია ხელოსნის თანამდებობიდან და დანიშნულია არა საპასუხისმგებლო სამუშაოზე.

### დაჯახება

**გუშინ მელაან - ბადიაურის შუა (კახეთის ხაზი) სახალხო მატ. № 18 დაეჯახა კამეჩს. ლიანდაგს ასცდა ერთი საკლასო ვაგონი.**

**შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა ორთქლმავალი მუშებით. მოძრაობა აღდგენილია.**

# სასამართლო

### ტრაგედია ქეიფის შემდეგ

სალამო ხანი იყო, როცა გ. ათაბეგოვი, ს. კტიანცი და მ. და ს. ბარსეღიანცები რესტორანში შევიდენ საქეიფოდ.

ქეიფის დროს მეგობრები წალაპარაკდენ. ამით ძლიერ გაბრაზდა რესტორანში სავახშმოდ შესული მოქ. პულარიანი, რომელმაც უსაყვედურა მოქეიფეებს აყალ-მაყალის გამართვა. შემდეგ პულარიანი დაერია მოქეიფეებს შეიქნა ხელჩართული ბრძოლა.

შეტაკების დროს პულარიანი კეფით დაეცა ურემის რკინის ბორბალზე და სასიკვდილოდ გაიპო თავი.

ათაბეგოვი და მისი „კამპანია" ძლიერ დაშინდა. როგორც იყო პულარიანი მიიყვანეს სახლში, მაგრამ მას არ აღმოუჩინეს საექიმო დახმარება.

მოქ. ათაბეგოვი გაიძახოდა:

— „არც ერთი არ წაზვიდეთ ექიმის მოსაყვანად. პულარიანი ღირსია სიკვდილისო".

მეორე დღეს პულარიანი გარდაიცვალა.

ათაბეგოვი და მისი „მეგობრები" დააპატიმრეს.

საქმე უკვე გაირჩა სასამართლოში.

თავმჯდომარეობდა **ხუციშვილი,** სახალხო მსაჯულები, **გალუსტოვი და ვორონოვი,** პროკურორი **ხოჯამიროვი** და მდივანი **ს. გეწაძე.**

სასამართლომ გ. ათაბეგოვი, ს. კტიანცი, მ. და ს. ბარსეღიანცები დამნაშავედ სცნო მასში, რომ ბრალდებულებმა დაჭრილი პულარიანი დასტოვეს უწყალო მდგომარეობაში, არ მიიღეს ზომები ექიმის მისაყვანად და მომხდარ ამბის შესახებ არ აცნობეს მილიციას.

ოთხივეს მიესაჯათ ექვს-ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა.

### ეტლით სეირნობის მოყვარული

ღამის 11 საათი იყო, როცა მ. მარქაროვი სამიკიტნოში შევიდა, ხელი მაგიდაზე დაჰკრა და ბრძანა:

— აბა, ხელად, ერთი კვარტი ღვინო თავის რამე-რუმეებით!

მარქაროვს საჩქაროდ მიართვეს ღვინო. ნახევარი საათის შემდეგ იგი ძალზე გალეშილი იჯდა სამიკიტნოში. შემდეგ ბარბაცით წამოდგა.

— აბა, რა გერგებათ სულ ამ სუფრაში,— დაიძახა მან. ფული გადაიხადა და გამოვიდა ქუჩაში.

მან საჩქაროდ დაუძახა მეეტლეს.

ორი საათის განმავლობაში სეირნობდა ეტლით მარქაროვი და ჩამოსვლას არ ფიქრობდა. მეეტლემ მოსთხოვა მას ჩამოსულიყო ეტლიდან და ფული გადაიხადა, მაგრამ მარქაროვმა მას შეუბღვირა და ხელი წაჰკრა.—გასწი, მეთქი!.. დაატანა მან.

მეეტლე მართლაც წავიდა. მაგრამ არა იმ მისამართით, როგორც მარქაროვმა შეუკვეთა, არამედ მილიციისაკენ.

მარქაროვს მილიციის შენობა თავის სახლი ეგონა, მეეტლეს მადლობა გადაუხადა „ფული ჩემზე იყოსო" უთხრა და შევიდა „თავის სახლში". მეეტლე შეჰყვა მას და აუხსნა კომისარს საქმის ვითარება. ძალიან გაუკვირდა მარქაროვს, როცა ოთახში მილიციელები დაინახა. მილიციის უფროსმა წინადადება მისცა. მეეტლისთვის ფული გადაეხადა, რამაც ძალზე გააჯავრა მარქაროვი.

— მე გთხოვთ ყველანი გარეთ გაბრძანდეთ.. ნება არ გაქვთ ჩემს სახლში გაჩერების—უთხრა მან მილიციელებს.

მარქაროვმა მხოლოდ დილით გაიგო, რომ თავის სახლში არ იყო.

მარქაროვის საქმე მალე გაირჩევა სასამართლოში.

### ვაჭრები-თავდამსხმელები

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ **ხუციშვილის** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულებისა **ხითარიშვილის** და **გალუსტოვის** და პროკურორ **ხოჯამიროვის** მონაწილეობით, ახალციხეში გაარჩია ვაჭრების: ა. პუშუჯიანცის, მ. სარქისოვის და მ. ხაცკიანცის საქმე.

1925 წ. პუშუჯიანცმა კონტრაბანდისტებს მისცა 125 ლირა და დაავალა მათ კონტრაბანდი საქონლის მიწოდება.

დანიშნულ დროზე პუშუჯიანცი თავისი ამხანაგებით თავს ესხმის კონტრაბანდისტებს.

მართლაც თავდამსხმელებმა შესძლეს კონტრაბანდისტების გაძარცვა და წაართვეს მათ 2.000 მან. საქონელი.

თავდამსხმელებმა საქონელი ჩააწყვეს ყუთებში, ზევიდან პამიდორი მოაწყვეს და რეალიზაცია უნდა მოეხდინათ, მაგრამ...

მილიციის მიერ მიღებული ზომებით, კონტრაბანდი საქონელი აღმოჩენილი იქნა და ვაჭრები დააპატიმრეს.

სასამართლომ პუშუჯიანცს მიუსაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით, ხოლო სარქისოვს და ხაცკიანცს კი ორი წლით.

ჯ.

# ნარევი

### იშვიათი ძეგლი

ერთად - ერთი თავისებური ძეგლი ააგეს კრაკოვში პოლონეთის ნაციონალური გმირის **ფ. კოსტიუშკოს** პატივსაცემად. ძეგლი წარმოადგენს მთელ რიგ წრისებურ მიწის სიმაგრეებს და ფორტებს, კოსტიუშკოს დროის საფორტიფიკაციო ტეხნიკის ნიმუშს. ამ სიმაგრეთა ცენტრში გაკეთებულია დიდი ხელოვნური გორაკი, რომელიც მწვერვალიდან მოსჩანს მთელი კრაკოვი.

### ბუზებთან ბრძოლა ელექტრონის საშუალებით

მიმდინარე წლის არაჩვეულებრივად ცხელმა ზაფხულმა შეერთებულ შტატებში მთელი სიმწვავით წამოაყენა ბუზებთან ბრძოლის საკითხი. ბუზები ისეთი დიდი რაოდენობით გამრავლდენ, რომ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდენ საზოგადოებრივი ჰიგიენისათვის. მთელმა რიგმა ამერიკულმა ფირმებმა ბაზარზე გასაყიდათ გამოუშვა ხელსაწყოები, რომლებიც ბუზებს კლავენ ელექტრონის საშუალებით, ყველაზე ტიპიურები ამ ხელსაწყოებიდან წარმოადგენენ ფაიფურის ცილინდრს, რომელზედაც, მცირე მანძილზე ერთმანეთისაგან, განაწილებულია განმხოლოებული ლითონის რგოლები. ეს რგოლები რიგ-რიგობით შეერთებული არიან უარყოფითი და დადებითი დენთან. ცილინდრზე ბუზის დაჯდომის დროს წარმოიშობა ელექტრო-დენი, რომელიც კლავს მწერს. დახოცილი ბუზები გროვდება ლამბაქზე, რომელიც ცილინდრის ქვეშ არის მოთავსებული. ელექტრონის მანქანასთან ბუზებს იტყუებენ სიხტლით ან ტკბილეულის სუნით.

ბუზების საკლავი ელექტრონის მანქანა მოქმედობს ელექტრონის განათების ქსელში ჩართული შტეპსელით.

# შრომის ბირჟაში

### მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს 25 აგვისტოს შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

**საწარმოო კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექცია:** ალექსანდრე თავართქილაძეს, ნინო ცაგარეიშვილს, სუსან ალეგიანცს, ჰნნა რახმანოვას, ვასკენ აბრამიანცს, შუშან ხაჩატუროვს, არმენაკ აკოფოვს, სოფიო გიორგაძეს პეტრე დრამპოვს.

**გონებრივ მუშაკთა მე-2 სექცია:** ნინო სუხიშვილს, ქსენია მამინაიშვილს, ამასთან ერთად სექცია უმუშევართა საყურადღებოდ აცხადებს, რომ საჭიროა ოთხი მემანქანე ქალი, ქართულ-რუსულ ენების მცოდნე.

**შავ მუშათა მე-3 სექცია:** ვერა მანფორიშვილს, ეფროსიმე კოვალენკოს, შუშანა ტერტეროვას, ბორის კანკანოვს, ელენე ლისტავოროვს, ნინო ხაჩატუროვას. მარია ვასილიევას.

**მშენებელ მუშათა მე-5 სექცია:** დავით ბაიაშვილს, მარტინ მატინიანცს, დუნე კარაბეკოვს,

**რკინის გზელ მუშაკთა მე-7 სექციას** ესაჭიროება თბილისის რკ.-გზის სადგურისათვის 20 მემუხრუჭე, მსურველები უნდა გამოცხადდენ ხსენებულ სექციაში.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### ნახშირის ტვირთვის რაციონალიზაცია

ამერიკის რკინის გზებზე შემოიღეს სპეციალური მანქანები, რომლებიც აადვილებენ ნახშირის ჩაყრას ორთქლმავლების ტენდერში. ამ მანქანების წყალობით ნახშირის დატვირთვას უნდა სულ 4 წუთი. წინანდელი რამოდენიმე საათის ნაცვლად.

დატვირთვა სწარმოებს სპეციალური კოშკის საშუალებით, რომლის თავზე აქვთ ნახშირით დატვირთული მთელი ვაგონი. ორთქლმავალი შეჰყავთ ისე, რომ ტენდერი მოხვდეს. ნახშირის ჩამოსაყრელი მილის თავთან. ნახშირით დატვირთული ვაგონი მექანიკურად იხსნება და ნახშირი მილიდან იყრება ტენდერში .



სურათზე—ნახშირის სატვირთავი კოშკი.

მთელი დატვირთვის ოპერაცია სწარმოებს ელექტრო-ენერგიით. მექანიზმი მეტად მარტივია.

### რამდენი ენერგია იხარჯება მსოფლიოში

ერთ ამერიკულ ჟურნალში მოყვანილია საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ენერგია (ადამიანის და მექანიკური) იხარჯება მთელ მსოფლიოში, ეს ცნობები შეკრებილია ამერიკის ინჟინერ-მელითონეთა სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ, ინსტიტუტმა აღრიცხა ადამიანისა და მექანიკური ენერგიის ძალოვნობა 1925 წ.

მექანიკური ენერგიის ყველაზე დიდი რაოდენობა იხარჯება შეერთებულ შტატებში. მეორე ადგილი უჭირავს ინგლისს და მესამე გერმანიას, შემდეგ—საფრანგეთს, კანადას, იაპონიას, მეშვიდე ადგილი — საბჭ. კავშირს. ადამიანის ენერგია ყველაზე მეტი იხარჯება ჩინეთში, შემდეგ ინდოეთში და საბჭ. კავშირში.

შეერთებულ შტატებში ადამიანის ენერგია იხარჯება 37-ჯერ ნაკლები, ვიდრე მექანიკური, საბჭ. კავშირმა, 1 ნახ.-ჯერ მეტი, ვიდრე მექანიკური.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 66

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 178 მუხ. რედაქციის შეცვლისა და ამ კოდექსისათვის $160^1$ და $190^1$ მუხლებისა და 59 მუხლის შენიშვნის დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მეორე მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 178 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 178. გაჩხრეკა და გამორკვევა იმ სადგომში, რომელიც დიპლომატიურ წარმომადგენლობას უჭირავს, აგრეთვე იმ სადგომში, სადაც სცხოვრობენ დიპლომატიური წარმომადგენელნი და დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრნი, სახელდობრ: მრჩეველნი (მათ შორის სავაჭრო მრჩეველიც), პირველი მეორე და მესამე მდივანი და ატაშეები (მათ შორის სავაჭრო, საფინანსო სამხედრო და საზღვაო) და მათი ოჯახები, შეიძლება მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლის თხოვნით ან და მისი თანხმობით, რაც გამოთხოვნილი უნდა იქნეს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს მეშვეობით: ამასთანავე ასეთ გაჩხრეკასა და ამორკვევას აუცილებლად უნდა დაესწროს პროკურატურის წარმომადგენელი და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, უკეთუ იგი უწყებულ ადგილას იმყოფება.

არ შეიძლება, აგრეთვე, ამორკვევა იმ სამსახურებრივი მიწერ-მოწერისა, რაც საკონსულო წარმომადგენლობის სამსახურის სადგომში ინახება საკონსულოს პერსონალის პირადი კორესპონდენციისაგან განცალკევებით და აგრეთვე იმ მიწერ-მოწერისა, რაც გადააქვთ უცხო სახელმწიფოს დიპლომატიურ კურიერებს და რაც იგზავნება სსრკ ტერიტორიაზე მყოფ უცხო სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობის ადრესით, ან სათანადო სახელმწიფო გარეშე საქმეთა სამინისტროს ადრესით, ან თავისი სახელმწიფოს იმ დიპლომატიურ წარმომადგენლობის ადრესით, რომელიც მესამე სახელმწიფოში იმყოფება, ან და ისეთი მიწერ-მოწერისა, რაც დიპლომატიური ფოსტის სახით ტრანზიტით გაიგზავნება სსრ ტერიტორიაზე. ეს ჩამოთვლილი უპირატესობანი დიპლომატიურ კურიერებს ეკუთვნის ურთიერთობრივობის საფუძველზე".

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატოს $160^1$ და $190^1$ მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. $160^1$. არ შეიძლება დაპატიმრებულ ან შეპყრობილ იქნეს არც ადმინისტრატიულის, არც სასამართლოს წესით უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი და დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრი, სახელდობრ: მრჩეველი (მათ შორის სავაჭრო მრჩეველიც), პირველი, მეორე და მესამე მდივანი და ატაშე (მათ შორის სავაჭრო, საფინანსო, სამხედრო და საზღვაო).

აგრეთვე არ შეიძლება დაპატიმრებულ ან შეპყრობილ იქნეს ადმინისტრატიული ან სასამართლო წესით დიპლომატიური კურიერი რომელსაც გადააქვს დიპლომატიური ფოსტა სსრკ ტერიტორიაზე მყოფი უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ადრესით, ან სათანადო სახელმწიფოს გარეშე საქმეთა სამინისტროს ადრესით, ან თავისი სახელმწიფოს იმ დიპლომატიური წარმომადგენლობის ადრესით, რომელიც მესამე სახელმწიფოში იმყოფება, ან და ის დიპლომატიური კურიერი, რომელსაც დიპლომატიური ფოსტა ტრანზიტით გადააქვს სსრკ ტერიტორიაზე.

ეს უპირატესობანი უცხო სახელმწიფოს დიპლომატიურ კურიერს ეკუთვნის მხოლოდ ურთიერთობრივობის საფუძველზე.

უცხო სახელმწიფოს საკონსულო წარმომადგენელს თავისუფლება შეიძლება აღეკვეთოს მართოდენ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით; ხოლო აღმკვეთ ღონისძიებად თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს მარტოოდენ სათანადო სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოს დადგენილებით, თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ სასამართლო დევნა მის წინააღმდეგ აღძრულია უზენაესი სასამართლოს, ოლქის სასამართლოს და სამხედრო ტრიბუნალის ქვემდებარე ქმედობის გამო".

„მუხ. $190^1$. იმ სადგომში შესვლა, რომელიც დიპლომატიურ წარმომადგენლობას უჭირავს, აგრეთვე იმ შენობაშიც, სადაც სცხოვრობენ ამა კოდექსის 178 მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული პირნი, შეიძლება მხოლოდ დიპლომატიურ წარმომადგენლის თანხმობით, რაც გამოთხოვნილ უნდა იქნეს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს მეშვეობით. ამასთანავე ასეთი სადგომის დაბეჭდვა არ შეიძლება.

არ შეიძლება, აგრეთვე, იმ სამსახურებრივი მიწერ-მოწერის [illegible], რაც საკონსულო წარმომადგენლობის სადგომში ინახება საკონსულოს პერსონალის პირადი კორესპონდენციისაგან განცალკევებით, და აგრეთვე იმ მიწერ-მოწერისა, რაც დიპლომატიურ კურიერებს გადააქვთ ამა კოდექსის 178 მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული წესით.

3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59 მუხ. დაერთოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„**შენიშვნა:** უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენელი და დიპლომატიურ წარმომადგენლობის წევრი, სახელდობრ: მრჩეველი (მათ შორის სავაჭროც.) პირველი, მეორე და მესამე მდივანი და ატაშე (მათ შორის სავაჭრო, საფინანსო. სამხედრო და საზღვაო) მოვალე არ არის მისცეს ჩვენება როგორც მოწმემ სასამართლო საქმეზე: ხოლო უკეთუ იგი ამაზე თანახმა იქნება, იგი მოვალე არ არის ჩვენების მისაცემად გამოცხადდეს გამომძიებელთან, სასამართლოში ან მოკვლევის ორგანოსთან.

ის წესი, რომლითაც გამოითხოვება ზემოაღნიშნული პირთა თანხმობა—მისცეს ჩვენება როგორც მოწმემ, აგრეთვე წესი მათი დაკითხვისა, უკეთუ ისინი ამაზე თანხმობას განაცხადებენ, განისაზღვრება იუსტიციის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ინსტრუქციით, რასაც იგი გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან შეთანხმებით გამოსცემს".

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. სტურუა.**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.**

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. აფციაური.**

1927 წ. ივლისის 30.
თბილისი-სასახლე.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი** საინსტრუქციო თათბირზე დასასწრებათ ხელმეორედ იწვევს შემდეგ უჯრედების მდივნებსა და აგიტპროპორგანიზატორებს:

ქალაქის აღმასკომის, გრეხილ ავეჯეულობის, „ხლებოპროდუქტის", განათლების სახალხო კომისარიატის, გემოკვების კავშირის, ტელეფონზე მომუშავეთა, პოლიგრაფტრესტის მეორე სტამბას, აგურის ქარხნების, ტრანსპორტის, „მუზმრეწის", სახელმწიფო ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის, „გეტის" და „ელექტროსელსტროის", მეღზოვეთა, ფოსტა-ტელეგრაფის, „რეზინოტრესტის", „მაშინოტრესტის" ამიერ-კავკასიისა და საქართველოს მუშათა დაგლეხთა ინსპექციების უჯრედებისას.

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი,** იტყობინება, რომ 25 აგვისტოს საღამოს 6 საათზე მუშათა კლუბის შენობაში შესდგება **ქალთა ორგანიზაციების სასწრაფო თათბირი** ქალთა კომისიებთან ერთად. სავალდებულოა დაუგვიანებლად გამოცხადება.

**საქ. კ. პ. (ბ) თბილ. ორგ. ქალაქის რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების** ოთახში, 25 აგვისტოს, ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე შესდგება **ქალაქის და სოფლის კავშირის დამხმარე საზოგადოების რაიონულ საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა,** რომელზედაც პრეზიდიუმის წევრების გარდა უნდა გამოცხადდენ აგრეთვე ქალაქისა და სოფლის კავშირის დამხმარე საზოგადოების ყველა უჯრედების წარმომადგენლები.

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი** წინადადებას იძლევა მორიგ პარტიულ დღისათვის (პარასკევს, 26 აგვისტოს) კომპარტიისა და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებულ კრებებზე გასარჩევად დაისვას შემდეგი საკითხები:

**1) პარტიისა და კომკავშირის მიერ ჩატარებულ საგანმანათლებლო მუშაობათა შედეგები 1926-27 სამოსწავლო წელში.**

2) პარტიისა და კომკავშირის საგანმანათლებლო ქსელის გაფართოების წესი და მოსამზადებელი მუშაობა 1927-28 სამოსწავლო წლისათვის.

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებასთან** არსებულ **თვითგანვითარების ბიუროს სხდომა** შესდგება ხუთშაბათს, 25 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობათა ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის თეატრის შენობაში, მესამე სართული).

თვითგანვითარების ბიუროს წევრებისა და კონსულტანტების დასწრება სავალდებულოა. უნდა გამოცხადდნენ: ამხ. შტიკოვი, ადამიანი, გავრილოვი, ტატულოვი, სალუქვაძე.

**ლენრაიკომის მ.-გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება** იუწყება, რომ ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე. მე-6 უბნის კლუბში შესდგება საერთო კრება **მუშა - მოსამსახურეების ოჯახის ქალებთან ერთად.** ყველა ზემოაღნიშნულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე რებეკა. შვილი შალვა, რძალი აგნესა, შვილის შვილი კიტი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარ

**ისაკ იესეს-ძე**
**ნუცუბიძის**

გარდაცვალებას სოფელ ფარცხანაყანებში ა-წ. 21 აგვისტოს.

„კომუნისტი"
ხელისმოწერა მიიღება
თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34
პროვინციაში
1. ხაშურში—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. სამტრედია—განყ. გამგე ვლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
5. სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
6. აბაშა—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. ფოთი—ფოსტა ტელეგ. კანტორაში.
8. ბათუმი—„კომუნისტი"-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
9. ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, აჯამეთი. ათ. ცხომელიძე.
10. დიდი ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
11. ოზურგეთი—განყ. გამგე პოლ. ინწკირველთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათვის
12. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
13. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან სიღნაღის მაზრისათვის.
14. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
15. სოხუმში—ფოსტა ტელეგ. კანტორაში
16. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შიშნიაშვილი ესტატე
17. სად. ბორჯომი—რ. თარგამაძესთან
18. ბორჯომ-ბალი—მაკაცარია
19. აბასთუმანი—ნაზარიანი.
20. კოჯორი—ზაკავტოპრომტორგი.
21. მანგლისი—მელიქ-ალაიანცი.
22. წალკერი—ორაგველიძე.
23. ბაკურიანი—რუხაძე.
24. ნავთლუღი—კიოსკი.
და სპეციალურ რწმუნებულების საშვალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით
0—1 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)
აპოლლო
(არტოს ბაღში).
ამერიკის გამოჩენილი ძსახიობი რიჩარდ ტოლმეჯი მხატვრულ შედევრში
„ცრუ ატტორნეი"
მსოფლიოში განთქმული კინო-სურათი, რომელმაც მიიღო პირველი ჯილდო ამერიკაში გამართულ კონკურსზე
„სკარამუშ"
რეჟისორი—რექს ინგრემ
მთავარ როლებში: რამონ ნავარრო და ალისა ტერრი
1 სეანსის დასაწყისი 7 ს. 45 წ.
0—18 ნ. 1388
ანონსი: ამ დღეებში მხატვრული შედევრი „წარსული და მომავალი" კარინ გრაფიტის და კონვეი ტირლის მონაწილეობით.

„კომუნისტი"
გაზეთზე ხელის მოწერა
— და —
განცხადებების მიღება
სწარმოებს
მთავარ კანტორაში
რუსთაველის პრ. № 34
ტელეფონი 8—81.

# თბილისის ქალაქის ბანკის ბალანსი

1-ლ აგვისტოს 1927 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| სალარო და სახელდახელო ანგარიშები. | 530.219—67 | თანხები ა) ძირითადი. | 3.000.000—00 |
| საფასენი. | 352.995—72 | ბ) სათადარიგო. | 223.922—33 |
| თამ. გან. და სპეც. სახ. ანგ. თამას. | 3.302.849—45 | საპ. თანხა მთავარ საგანგ. და 5 სააღმშ. | 4.390196—27 |
| საქონლის სესხის ოპერაცია. | 2.874.783—85 | სპეც. სახ. ანგ. უზრ. თამას. | 2.007.199—10 |
| მიზნობრივი სესხი მოკლე ვადიანი. | 1.136.488—40 | ანაბარი და სხვა ანგ. | 4.704.041 76 |
| მიზნობრივი სესხი გრძელვადიანი. | 7.782.829—91 | ფულის ბარათები. | 61.943—85 |
| კორესპონდენტები. | 303.382—48 | კორესპონდენტები. | 1.367.267—62 |
| შემოსასწორებელი ანგარიშები | 649.214—65 | შემოსავალ. ანგ. | 748.791—56 |
| სხვადასხვა დებიტორები. | 18.123—41 | სხვადასხვა კრედიტები. | 32.755—00 |
| ქონება და წამოწყ. მონაწ. | 790.312—98 | საურთიერთო ანგ. | 2.245.367—91 |
| საურთიერთო ანგარიშები. | 2.125.896—43 | შემოსავალი მოქავალი წლის ანგარიშ. | 630.337—66 |
| გაპროტესტებული თამას. და საეჭვო ვალებ. | 75.282—86 | სარგებელი კომისია და სხვა შემოსავ. | 1.162.869—79 |
| გაცემ. % %-ბი კომისია და სხვა. | 231.740—99 | | |
| მიმდინარე და სხვა ხარჯები. | 400.572—05 | | |
| ბალანსი | 20.574.692—85 | ბალანსი | 20.574.692 85 |

ნ. 1615

კინო-ეთერი დღეს და ყოველდღე
ამერიკის განთქმული მსახ. რიჩარდ ტოლმეჯი მხატვრულ კინო-პიესაში
„ცრუ ატორნეი"
რიჩარდ ტოლმეჯი ტყუილად კი არ ედავება პირველობაზე დუგლას ფერბენქსს. მხოლოდ ფერბენქსისაგან იგი განსხვავდება სიახალგაზდავით და მოძრაობის სრულიად განსაკუთრებული ელასტიურობით. კინო-გაზეთი № 13.
ანონსი: მალე ჩვენს ეკრანზე „სკარამუში".
1—1. ნ. 1616.

1927 წ. სახელმწიფო შინაური 12% სესხი
საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წ. 1 ივნისის დადგენილების თანახმად ს. ს. რ. კ. ფინსახკომის მიერ გამოშვებულია 1927 წ. სახელმწიფო შინაური 12% სესხი
1. სესხის პირობები. ახალი სესხი გამოშვებულია 10 წლის ვადით (1927 წ. 1 ივნისიდან 1937 წ. 1 ივნისამდე) 200.000.000 მან. რაოდენობით 50, 100, 500 და 5.000 მან. ღირებულების ობლიგაციებით. სესხის ობლიგაციების გამოსაშვები ფასი ინიშნება 98 მან. 100 მანეთიან ობლიგაციაში.
სესხის ობლიგაციებს მოაქვთ შემოსავალი წლიურად 12 % რაოდენობით, რომლის გადახდაც სწარმოებს წელიწადში ორჯერ, ყოველი 6 თვის გასვლის შემდეგ, ვადიანი კუპონებით 1 დეკემბრისა და 1 ივნისისათვის 1927 წ. 1 დეკემბრიდან დაწყებული.
სესხის დაფარვა იწყება 5 ნახ. წლის შემდეგ დღიდან მისი გამოშვებისა, ე. ი. 1932 წ. 1 დეკემბრიდან, და სწარმოებს ყოველ 6 თვის შემდეგ.
ტირაჟში გასულ ობლიგაციების კუპონების გასანაღდებლად და ღირებულების გასასტუმრებლად, წესდება სამი წლის ვადა.
ახლად გამოშვებულ სესხი ისეთივე შეღავათებით სარგებლობს, როგორც სხვა სესხები
2. სესხის რეალიზაციის წესი. სესხის ობლიგაციები იყიდება გამოსაშვები ფასით (98—100-ში)
1927 წ. 1 ოქტომბრიდან სესხი შედის საფონდო ბირჟების „კოტიროვკაში".
სესხის ობლიგაციების გაყიდვა სწარმოებს ნაღდზე და არა ნაწილ-ნაწილად.
ობლიგაციების გაყიდვას აწარმოებენ ფინსახკომის ყველა სალაროები, ბანკები, საურთიერთო კრედიტის საზოგადოებები და დამოუკიდებელი შემნახველი სალაროები.
ნ. 1613 საქართველოს ფინსახკომი

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის ხნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სას ტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. , № 20 25—1

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი.
ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

დაკარგა მატრიკული, გაცემული საქართვ. სახელმწ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის მიერ, დავით ნიჟარაძის სახელზე, ჩ. გ. 3656

დაკარგა პირადობის მოწმობა. კავშირის წიგნაკი, რკინის გზის სამგზავრო ბილეთი, და ორჯონიკიძის სახელობის კლუბის წიგნაკი თევდორე ვახტანგისძე ნიკოლაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3655

### ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
### გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 31 აგვისტოს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 119 კლარა ცეტკინას ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ივანე ალიბეგოვის მოძრავ ქონებას: ავტომანქანას, ექვს ადგილიანს, 4 ცილინდრიანს 12 ძალიანს ფირმა „სამბიმ"-ს № 705 შეფასებულს 2000 მანეთად, მოქ. მოქ. ქსენია სადჩენკო და დიმიტრი ეფრემოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 8 და 13 აგვისტოს 1927 წ. თარიღით, № 3028-3056 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს შემოძლეულ ფასიდან. ნ. 1612

### ქ. თბილისის მე-3 რაიონის სასამართ. აღმასრულებელი
### კ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 27 აგვისტოს 1927 წ. დღის 3 საათზე სახლში № 7 შირაკის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დათა მაჭულოვის უძრავ ქონებას: სახლს შეფასებულს 5000 მანეთად, ტაბტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა მოხდება როგორც მეორე შეფასებიდგან დაცვით 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. საპრ. სამართ. კოდექსის. 3654

### ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი
### კ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 27 აგვისტოს 1927 წ. დღის 10 საათზე სახლში № 65 კომუნალურ ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ალექსანდრე და ბაღდასარ ქოროღლიანთა მოძრავ ქონებას: საფეიქრო ქოოხანას და ამავე დღის დილის 11 ნახ. საათზე ზორაბაშის ქუჩ. № 45 იმათვე უძრავ ქონებას საფეიქრო კავშირის და სხვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის და სხვა სახალხო სასამართლოსაგან გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1617

### ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
### გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 30 აგვისტოს 1927 წ. დღის 2 საათ. სახლში № 52 ალექსანდროვის ქ **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არამ მარანჯიანცის მოძრავ ქონებას: ბრონზის გედებს, სკამებს და სხვა სხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 397 მან., 70 კაპ. „ზაკპოგრუზის" და „ზაკავტოპრომტორგის" ვალის დასაკმაყოფილებლად თანახ ად ბათუმის უზენაეს სასამართლოსაგან 25 ოქტომბერს და 3 სექტემბერს 1926 წ. თარიღით, № 4591—3908 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1611

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის ბილეთი № 444 | 15ძ ვლადიმერ გერასიმესძე მამალაძის სახელზე, ჩ. გ

დაკარგა ინვალიდობის მოწმობა № 3291 მარიამ ნანიას ასული ტოგონიძეს სახელზე, ჩ. გ. 3653

დაკარგა ფოთის სატრანსპორტო კავშირის წიგნაკი № 5290, ივანე პეტრესძე ჭანტურიას სახელზე, ჩ. გ.

დაკარგა სამიო-მადნო კავშირის წიგნაკი № 8333 სოლომონ ალექსისძე აბჟანდაძეს სახელზე, ჩ. გ. 3648

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 6ა.